

# აპოლონ მახარაძე

## ლიტერატურული შეკრება-საღამოები საქართველოში

(XIX საუკუნის მეორე ნახევარი)

საქ.ალკვ ცკ საბავშვო და ახალგაზრდობის  
ლიტერატურის გამომცემლობა  
თბილისი 1939

## წიგნის ტექნიკა

ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულად შესწავლა-დამუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული წრეებისა და შეკრებების შესწავლას. ლიტერატურული წრეები და შინაური შეკრება-სალამქები ფრიალ საპატრიო ადგილს იქერენ ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში. მათი სრული შესწავლა — დამუშავება ხანგრძლივი და სისტემატური მუშაობის საქმეა. წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს გააშუქოს ამ დიდი თვის მხოლოდ ერთი პერიოდი, კერძოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი.

შრომა ძირითადად ემყარება ისეთ მასალებს, რომლებიც მიუწვდომელია მკითხველთა ფართო წრეებისათვის. გამოყენებულია წინამდებარე შრომით გათვალისწინებული პერიოდის ჟურნალ-გაზეთები, ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა კერძო წერილები და თანამედროვეთა მოგონებები. ეს ცნობები შეიძლება ზოგჯერ თავისი მოცულობით დიდ იყოს, მაგრამ ამ ფართო ამონაწერებს თავისი მნიშვნელობაც ექნება საკითხის შემდგომი შესწავლა — დამუშავებისათვის.

წინამდებარე შრომაში წარმოდგენილია ისეთი მასალებიც, რომელთაც უშუალო მნიშვნელობა აქვს ქართული თეატრის ისტორიისათვის. მასალების ეს ჯგუფი უმთავრესად სამოცდაათიან წლებს შეეხება. ეს ის პერიოდია, როდესაც ოფიციალური სცენიდან დევნილი ქართული წარმოდგენები თავს ინახავდნენ შინაური საღამოების სახით. ეს საღამო-წარმოდგენები კი ამავე დროს ლიტერატურული ხასიათისა იყო და მათი ამ შრომაში გამოყენებაც ამდენადვეა გამართლებული.

მიუხედავად იმ სიფრთხილისა, რომელიც თან ახლდა შრომაში წარმოდგენილი მასალების ძიებას, შესაძლებელია გამოჩენილი იყოს რომელიმე საყურადღებო ლიტერატურული საღამო-შეკრება, მაგრამ ეს ნაკლი უნდა შევსებულ იქნას მომავალში, ამ მუშაობის კიდევ უფრო გაფართოებით, თვითეული შეკრება-საღამოს ცალკე და გულდასმით შესწავლის საფუძველზე.



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

XIX საუკუნის დასრულებიდან საქართველოში თვითმპყრობელური რუსეთის მმართველობის დამკვიდრებით ქართველი ფეოდალური არისტოკრატია გადაგვარების გზას დაადგა. დაკნინებამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში თავისი გამოხატულება პოვა რჩევის გზაზე დამდგარი კლასის ყოფაცხოვრებაშიაც. ამ მხრივ დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი. „თუ ქალაქის ამბავი გინდა,—წერდა ბარათაშვილი,—ჰსწორე გითხრა, ბევრი კორიანობაა და ქირიანობა; ორივე ერთია; მაგრამ ქირი ტყუილია ამ ხელად და ქორი კი მართალი,—დიდი დამგერებაებია ქალებისა; დიდი აყალ-მაყალი; დიდი ღამის თევზბი; დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით“.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის თქმით, მე-XIX საუკუნის პირველ ოცეულ წლებში თბილისში მხოლოდ იშვიათად თუ გაიმართებოდა შინაური წარმოდგენა. ქვეყნის კულტურული ცხოვრება აშკარად მოდუნებული იყო, თვითმპყრობელური რუსეთი ყოველმხრივ ცდილობდა მის განადგურებას.

„იმ დროს, რომელზედაც მე ვლაპარაკობ,—წერს დიმიტრი ყიფიანი,—ე. ი. მეოცე წლებში, ტფილისში არაერთი საზოგადო დროს გატარება არ იყო, საიდანმე გაჩნდებოდნენ მოხეტიალე ჟონგლიორები ან ჯანბაზები და ისევ წავიდოდნენ. იშვიათად თუ გაიმართებოდა შინაური წარმოდგენა, სადაც ქალების როლსაც მამაკაცები ასრულებდნენ. ხანდახან შეიკრებოდნენ საცეკვაოდ, მაგრამ საზოგადოთ ჯერ კიდევ ოცტანი იყვნენ მოცეკვავე მანდილოსნები და, დროს მიხედვით, ქავალრები უფრო კიდევ ნაკლები<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დიმიტრი ყიფიანი—„მემუარები“, ს. ზუნდაძის რედაქტორობით, 1932 წ., გვ. 4.

ალ. ქავკავაძის, ორბელიანების, ბაგრატიონების და სხვა-თა ბინებზე შეკრება-წაკითხვები იმ დროის ლიტერატურული ცხოვრების ძირითად კერებად მოჩანან.

XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელთან არსებული მოსწავლეთა ლიტერატურული წრე.

მოსწავლეთა წრე 1832 წლის ცნობილი შეთქმულების ერთი ხელმძღვანელის, სოლომონ დოდაშვილის, იდეური გავლენის კვეშ უნდა ყოფილიყო. გარდა იმისა, რომ სოლომონ დოდაშვილი წლების მანძილზე ამ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად ითვლებოდა და ბოლოს გრამატიკის სახელმძღვანელოც კი შეუდგინა, ზაქარია ქიქინაძის გადმოცემით, იგი დიდ გავლენას ახდენდა იმ დროის ქართველ ახალგაზრდობაზე. „მის წრეებში დაიარებიან ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი და ბევრიც სხვანი. მათ უნერგავს ყველას მამულის შვილობის და საქართველოს აღორძინების სიყვარულს, მათ ყოველ კრებაზე ს. დოდაშვილი ლაპარაკობს მართლთ საქართველოს შესახებ, ქართველების დაწინაურებასა და ამაღლებაზედ“ — წერს ბ. ქიქინაძე<sup>1</sup>.

მოსწავლეთა წრეში ნ. ბარათაშვილთან ერთად შედიოდნენ პეტრე ბაგრატიონი, ლევან მელიქიშვილი, ალ. ჩიქოვანი, მონასტირსკი და სხვ.

კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეთა წრე, გარდა იმისა, რომ მას ჰქონდა თავისი ჟურნალი „Цветок гимназии“, აწუბდა აგრეთვე ქართულ საღამო-კონცერტებს.

1831 წელს წრემ მორიგი კონცერტი გამართა. ეს კონცერტი მეტად საყურადღებოა თავისი საბედისწერო შედეგებით, როგორც წრის, ისე ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაში.

ქართულ კონცერტს სასტიკად დასცინა ქალაქის მემჩანურმა ნაწილმა, დაცინვამ კი თავის მხრივ მოსწავლეთა უკმაყოფილება გამოიწვია. დაცინვამ განსაკუთრებით ააღელვა ნ. ბარათაშვილი. ახალგაზრდა პოეტი არ დაერიდა სასწავლებლის

<sup>1</sup> ბ. ქიქინაძე — „სოლ. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“, გვ. 5.

სულშენხუთავ რეგიმს და დაწერა სატირა კონცერტის დამკრ-  
ნათა წინააღმდეგ. მოსწავლეებმა სატირა კონვერტით გადააგ-  
დეს ქუჩაში, მაგრამ როცა უბრალოდ გადაგდებას არაეითარი  
შედეგი არ მოჰყვა, მაშინ ხელმეორედ გადაწერეს იგი. იონა  
მეუნარგიას თქმით, „ლევან მელიქიშვილმა გადასწერა და როცა  
სასწავლებელში მოვიდა ფოსტის დამტარებელი, ლექსი „ქნი-  
ლაში“ ჩაუდეს დაბეჭდილის პაკეტით. პეტრე ბაგრატიონმა  
ჩასწერა ამ „ქნილაში“, რომ პაკეტი მირთმეოდა თავად-აზნა-  
ურობის წინამძღოლს თავად ფალავანდიშვილს<sup>1</sup>.

მოსწავლეთა წრე ასეთი მოქმედებისათვის სასტიკად და-  
ისაჯა ი. მეუნარგიას ცნობით, „იმავე საღამოს სასწავლებელში  
მოვიდნენ უეცრივ: ეანდარმის ოფიცერი, პროკურორი, პოლი-  
ციის უფროსი“ და სხ. მიუხედავად მოსწავლეთა მიერ წინას-  
წარ ზომების მიღებისა მოქმედების კვალის დასაფარავად, „მთაე-  
რობამ სულ ყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაბოლავდა:  
მთავარ-ნაოთებლის გოლოენის ბრძანებით, დაზნაშავენი: ნიკო  
ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი გაიგზავნენ თავიანთ  
მშობლებთან დასასჯელად“—წერს ი. მეუნარგია.

ნ. ბარათაშვილს, როგორც მომხდარი ამბების მეთაურს, ამ  
საქმესთან დაკავშირებით სასჯელიც მოუხდია. მთავარმართებ-  
ლის ბრძანებით, მისი დასჯა მამას მიენდო. სასჯელის ეს ფორ-  
მა კი ახალგაზრდა ბარათაშვილისათვის მეტად დამამცირებე-  
ლი უნდა ყოფილიყო.

„წინ მიდიოდა დაზნაშავე,—გადმოგვცემს ი. მეუნარგია,—  
იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი  
„როაზგით“. აღვილად წარმოსადგენაა, რაც დღე დადგებოდა  
ამ თოთხმეტ-თუთხმეტი წლის ვოლტერს თავის სატირისა-  
თვის. იმის სიხარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიც-  
ხეს, მამამ კინალამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა<sup>2</sup>.

ასე დამთავრდა კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავ-  
ლეთა წრის მოღვაწეობა.

<sup>1</sup> ი. მეუნარგია—„ცხოვრება ნ. ბარათაშვილისა“, იხ. ნ. ბარათაშვილი,  
1922 წ., გვ. XIV

<sup>2</sup> იქვე, გვ. XVI.

ორმოციანი წლების წარმოდგენების შესახებ ი. მეუნარგია სამართლიანად წერდა: „ის რამდენიმე წარმოდგენები, რომელნიც გაუმართლიათ ქალაქში ვარანცოვის წინათ, როგორც შაგ. გრიზოდოვის კამედიის წარმოდგენა პეტრე ბაგრატიონთან და ალექსანდრე კავკავაძესთან, ან კიდევ მუხრანთან ქუჩაზე, დიდ დარბაზში, აფიკრებისა და ჩინოვნიკებთან გამართული სპექტაკლები—ხალხისთვის არ იყო. ერთად-ერთი ადგილი, საცა ხალხს შეეძლო თავის მოყრა და დროს გატარება, იყო ქალაქის კლუბი, რომელიც დაარსდა 1839 წელში“<sup>1</sup>.

მე-XIX საუკუნის 50-იანი წლები ერთგვარი გარდატეხის ხანაა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. დამპყრობელი რუსეთის შიშველი ადმინისტრირება ახლა ერთგვარი გულის შოგებისა, ზედმეტი დაპირებებისა და მათი მსგავსი ხერხებით იესება.

კავკასიის ხალხთა დაპყრობის საქმეში ამ უკანასკნელმა ხერხმა განსაკუთრებით იჩინა თავი მ. ს. ვორონცოვის მთავარმართებლობის დროს. ერმოლოვის, როზენის, გოლოვინის, ნეიდჰარტისა და სხვათა მიერ ჩატარებული პოლიტიკა იყო უდიდესი გაკვეთილი ვორონცოვისათვის, რომ მას ეს ძალდატანება ახალი, შედარებით უმტკივნეულო, მზაკვრული ხერხებით შეევესო.

ვორონცოვი ჩქარა დარწმუნდა, რომ ამ საშუალებით იგი უფრო ადვილად შეძლებდა კავკასიის ხალხთა დამორჩილებას თვითმპყრობელური რუსეთის ინტერესებისათვის.

ვორონცოვის მიერ ქართველი ხალხის პრივილეგიური ნაწილის გულის მოსაგებად გამოყენებულ საშუალებათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 50-იან წლებში დაარსებული პირველი ქართული ეურნალი („ცისკარი“, 1852—1853 წ.) და ქართული თეატრი.

იონა მეუნარგიას ცნობით, „50-იან წლებში თბილისის ერთდღეობილთა სასწავლებლის დარბაზში, ვორონცოვმა გააწყო

<sup>1</sup> ი. მეუნარგია—„გორგი დავითის-მე ერისთავი“. იმ. გ. დავითის-მე ერისთავის თბზულება, 1884 წ., გვ. XXXVII

შინაური სცენა, რომელზედაც კვირაში ერთხელ თამაშობდნენ მისი ადიუტანტები და სხვა კაცები, რომელთა რიცხვში იყვნენ გრაფი ეორონცოვი-დამკოვი, თ. დონდუკოვი-კარსაკოვი, თავადი გალიცინი, თავადი გაგარინი, გრაფინია შუაზელი და სხ. მშვენიერი სცენა იყო, გაგარინისაგან დახატული“<sup>1</sup>.

ამ სცენაზე რუსული, ფრანგული და იტალიური სალამო-წარმოდგენები და კონცერტები იმართებოდა თბილისის მა-ლალი თანამდებობის პირებისათვის, ფართო ქართული საზო-გადოებრიობა კი მოკლებული იყო ამ სახანაობას.

ამავე ხანებში ეორონცოვის მითითებით იწყება ქართული წარმოდგენების დადგმა. „გიორგი ერისთავი, რომელიც ამ დროს ხიდისთავში ემსახურებოდა,—წერს ი. მეუნარგია,—საჩ-ქაროზედ დაიბარეს ქალაქში და წარუდგინეს ვარანცოვს. ვა-რანცოვმა დიდის აღერსით და დიდის სიამოვნებით შიილო პოეტია, რომელმაც წარუდგინა მას „გაყრის“ ხელ-ნაწერი“.

გ. ერისთავმა სიამოვნებით შიილო ეორონცოვის დავალება „გაყრის“ სცენაზე წარმოდგენის შესახებ და შეუდგა სამზა-დისს. „გიორგი ერისთავი,—განაგრძობს ი. მეუნარგია,—გულ-მხურვალედ შეუდგა ვარანცოვის ბრძანების ასრულებას. მისი სამარადისო ნატვრა სრულდებოდა, ქართული თეატრი არს-დებოდა და „გაყრა“ უნდა დადგმულიყო მის კურთხევაზე, მის საძირკველის ჩაყრაზე. სკენის მოყვარებებთან იმას ბევრი ხეიწ-ნა არ დაქირდა, ყველამ დიდის სიხარულით შიილო მონაწი-ლეობა კამედიიაში. გიორგი, რომელიც თითონ მკიცრტუმას როლს თამაშობდა, რეეისორის მოვალეობას ასრულებდა და სწვრთნიდა უჩვევთა მოთამაშეთა“<sup>2</sup>.

1850 წლის იანვრის 2-ს თბილისის კეთილშობილთა სას-წავლებლის სცენაზე პირველად დაიდგა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“. აი ამ წარმოდგენის განცხადება-აფიშა:

---

<sup>1</sup> ი. მეუნარგია — „გ. დავითის-ძე ერისთავი“. იმ. გიორგი ერისთავის თხზულება, 1884 წ., გვ. XL

<sup>2</sup> ი. მეუნარგია — იქვე, გვ. XL



თხილვისის ზიგნაჟიის ზალაში  
ძალადის ღარიბ ხალხისათვის

ორშაბათს 2-ხ იანვარს 1860 წელსა.

წარმოდგენილი იქნება.

I

მ ი ხ ე ი ლ დ ა ქ რ ი ს ტ ი ნ ე

(ფრანციუკულად)

ითამაშებან ა. დონდუკოვი-კარსაკოვი, ბარონესს.  
მეიენდორფი, მიჩნაკი და ბაშმაკოვი.

II

შემდეგ წარმოდგენილი იქნება პირველჯერ ქართულად  
გ ა უ რ ა

კამეჟია სამ მოქმედებად, თხზ. თ. ერისთავისა:

მომდებელი პირნი

თავადი ანდუყაფარ	თ. ილ. ორბელიანი
პაღლე, ძმა მისი	თ. ოქ. ერისთავი
ივანე .	დ. ი. ყიფიანი
კნენა მაკრიპე	ბ. გ. ანდრეევსკისა
კნიაჟნა ნინო .	კნ. ა. ორბელიანისა
მიკირტუმ გახპარიჩ	თ. გ. ერისთავი
თათელა. კოლი მისი	კნ. ქ. ორბელიანისა
შუშანა, ქალი მათი .	კნ. ან. ორბელიანისა
თავადი რაჰაზ, სეკრეტარი	გ. ო. შანშიევი
თავადი ბარძიშ	თ. ა. ერისთავი
ბარაშ, მოურავი	თ. ნ. ერისთავი
გაბრიელ	მ. გ. ქილაევი
იშერელი	თ. გრ. ერისთავი
ყარდაშვერდი	კნ. მ. ერისთავისა

ეს იყო პირველი ქართული წარმოდგენა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოფიციალურ სცენაზე. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. გადმოცემით, სასწავლებლის პატარა დარბაზი ვერც კი იტევდა მოზღვავეებულ ქართველობას. ევრონ-ცოვმა, რომელიც ამ წარმოდგენას თავისი ოჯახითა და ამა-ლით დაესწრო, ეს ქართული წარმოდგენა მოიწონა.

პირველი წარმოდგენიდან ხუთი თვის შემდეგ, ე. ი. 1850 წლის 3 მაისს, დაიდგა გ. ერისთავის: მეორე კომედია „დავა“. ევრონცოვი ამ წარმოდგენასაც დაესწრო. წარმოდგენის წარმატებით ჩატარებამ საბოლოოდ გადაწყვიტა ქართული თეატრის დაარსებისა და ქართული დასის შექმნის საკითხი.

ი. მენუნარგიას ცნობით, „დავა“ დადგმულა ახლად აშენებულს თეატრში თამამშევის „ქარვასლაში“ და როლები განაწილებული ყოფილა შემდეგნაირად:

თავადი ამირიხლა	ოქ. დ. ერისთავი
ბეგლარ	ვახ. ვ. ორბელიანი
თავადი ონოფრე	პლ. ეგ. იოსელიანი
სიდონია	ს. ი. სულხანოვისა
მიხეილ	მ. გ. ქილაევი
ნინა	ბარ. გ. ანდრეევსკისა
თავ. იაია ჭიორელი	დ. ივ. ყიფიანი
ლომინ გოღობრელიძე	რევ. ერისთავი
შაალ არწიშანოვი	სოლ. ერისთავი
სარქის ბუღდანიჩი	გ. დავ. ერისთავი
ხარიტონ ფილიპიჩი	მ. პ. შჩეგზინინი
მდივანბეგი	რ.დ. თარ.—მოურავი
სოროშან, ნაზირი	ნ. დ. ერისთავი
ლომისეული, გამდელი	ქ. გ. ორბელიანისა
მოწყალისეული, გამდელი	მ. გ. ერისთავისა
წენე, ახალგაზრდა გამდელი	ეკ. ი. ორბელიანისა
მარქრიტა	გ. იოს. შანშიევი
აბრამა, ბიქი	მ. ტ. ლორის-მელიქოვი
ბერუა	კ. გ. სუმბათოვი
ივანე	კ. ე. ბულდაკოვი

ვორონცოვის დავალებით გ. ერისთავმა შექმნა მუდმივი ქართული დასი და, თუ მართალია ი. მეუნარგიას ცნობა ბარტო 1851 წელს ოცდაორი ქართული წარმოდგენა ჩაუტარებიათ რუსულ სპექტაკლებთან შეერთებული.

1850 წ. ოქტომბერს ვორონცოვმა თბილისის თეატრის დირექციისადმი ასეთი ბრძანებაც კი გასცა: „ჩემთან მყოფ განსაკუთრებულ დავალებათა მოხელეს, თავ. ერისთავს, დაევალოს შეუდგეს ადგილობრივ თეატრში ქართულ ენაზე მუდმივი წარმოდგენების მოწყობას. წინადადება ეძლევა დირექციას გ. ერისთავს წლიურად მიეცეს მოთხოვნილებათა მიხედვით ოთხი ათასი მანეთი მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბრიდან არტისტების ჯამაგირების დასაფარავად, რის დასამტკიცებელი საბუთებიც უნდა მოეთხოვოს მას. ამასთან ერთად წინადადებას ვაძლევე დირექციას თავად ერისთავს ამ დავალების აღსრულებაში გაუწიოს ყოველივე მისგან დამოკიდებული დახმარება და დაინიშნოს დღეები ქართული წარმოდგენისათვის“<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ გარდა ამ ოთხი ათასი მანეთისა, რომელიც ზემოაღნიშნული ბრძანებით დაენიშნა ქართულ თეატრს ყოველწლიურად, ვორონცოვი მას აძლედა აგრეთვე ერთდროულ დახმარებებსაც.

ასეთი იყო 50-იანი წლების მუდმივი ქართული დასის პირველი ნაბიჯები.

პირველ ქართულ დასს 50-იან წლებში სხვადასხვა დროს დაუდგამს: გიორგი ერისთავის „გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“, „თილისმის ხანი“ და „უჩინ-მაჩინის ქული“; ზურაბ ანტონოვის — „მზის დაბნელება საქართველოში“, „მე მინდა კნენია გავხდე“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“, „ტივით ზოგზაურობა ლიტერატორთა“, „ქორაოლი“ და „ორი ბღმური“; გიორგი დვანიძის — „სახლი კუკიაში“; გიორგი ჯაფარიძის — „იკვიანი ქმარი“; მეიფარიანის — „ქმრები გაეაბით მახეში“ და სხვ.

<sup>1</sup> პაროგ. მიხ. ზანდუკელი — „ახალი ქართული ლიტერატურა.“ ტ. II, გვ. 38, 1934 წ.

ვორონცოვს, როდესაც იგი ხელს უწყობდა ქართული თეატრის დაარსება-განმტკიცებას, როგორც უკვე ითქვა, გარკვეული მიზანი ამოქმედებდა: ამით მას უნდოდა ქართველი ხალხის პრივილეგიური ნაწილის, თავად-აზნაურობის, საბოლოოდ გადაბირება და მათზე დაყრდნობით მთელი ქვეყნის დამორჩილება თვითმპყრობელური რუსეთის ინტერესებისათვის.

ამ პირობებში შეიქმნა პირველი მუდმივი ქართული თეატრი ჩვენში; რაც თავისი დროისათვის უდაოდ დიდი შოვლენა იყო. 50-იანი წლების ქართული თეატრი, როგორც ქვევით უფრო გარკვევით გამოჩნდება, იყო ის რგოლი, რომელსაც ხელს სჭიდებდა 60—70-იანი და აგრეთვე მომდევნო წლების ყველა წრე თუ ჯგუფი, რომელიც კი ქართული თეატრის სასარგებლო საქმეს წამოიწყებდა.

თითქმის ყველა ასეთ წრესა თუ ჯგუფს თავისი მოქმედების მთავარ დევიზად გ. ერისთავის თეატრის განახლება ჰქონდა. ისინი ახლის შექმნაზე თითქმის არც კი ლაპარაკობდნენ, არამედ იმაზე, რომ აღედგინათ 50-იანი წლების ქართული თეატრი, დაებრუნებინათ ის, რაც მათ ჰქონდათ და რაც უკანონოდ წაერთვათ.

შეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლები მუდმივი ქართული თეატრის საფუძვლის ჩაყრის ხანაა. 1900 წ. იანვრის 2-ს „ქართული დრამატული საზოგადოების“ ინიციატივით გადახდილ ექნა ქართული თეატრის არსებობის 50 წლის აღსანიშნავი დღესასწაული (1850—1900 წ.წ.), ე. ი. მუდმივი ქართული თეატრის ისტორია საქართველოში 1850 წლის იანვრის 2-ს ქეთილშობილთა სასწავლებლის სცენაზე გ. ერისთავის ხელმძღვანელობით გამართული წარმოდგენით იწყება.

ასეთი იყო ქართული თეატრის პირველი ნაბიჯები. ორმოცდაათიანი წლების ქართული თეატრი და ამავე პერიოდის პირველი ქართული ეურნალი „ცისკარი“ XIX საუკუნის 50-იანი წლების საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლებისა და წინსვლის ნიშანი იყო.

შაგრამ ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა, ორმოცდაათიანი წლების დასასრულიდან მისი დაწყება იწყება. 1854

წლის დამდეგიდან ეურნალი „ცისკარი“ შეწყდა, ხოლო 1855 წლიდან ქართული თეატრიც დაიხურა. მისი არსებობის დასასრული თბილისიდან ეორონცოვის გადაყვანის ხანას დაემთხვა. აკაკი წერეთლის დამოწმებით, „დაინიშნა მურავიოვი, რომელიც სულ სხვა შეზედულებისა იყო: ყველაფერს, რაც კი ქართველობის სასარგებლოდ იყო დაწყებული, აღმაცერად შეხედა და მათ რიცხეში წიხლი ჰკრა ქართულ თეატრსა: ჩამოართვა უსასყიდლო თეატრი, მოუხპო სუფსილია და ულუკმაპუროდ დარჩნენ ყველანი. ერისთავი თბილისიდან სიფელში წავიდა“<sup>1</sup>.

გ. ერისთავის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება ივანე კერესელიძემ სცადა, მაგრამ ქართული თეატრის არსებობა უკვე განწირული იყო. ი. კერესელიძემ გ. ერისთავის დასის ერთი ჯგუფით (აბრამიძეები, უზნაძე, ელიოზიშვილი და სხვა) 1855—1856 წწ. სეზონში მხოლოდ რამდენიმე წარმოდგენა დადგა ვართანოვის დარბაზში.

ივ. კერესელიძეს და მის ჯგუფს არა ერთხელ მიუმართავს მთავარმართებლისათვის ქართული თეატრისათვის დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ეს მიმართვები ყოველთვის უშედეგოდ რჩებოდა. კიდევ მეტი: ხშირად ქართული წარმოდგენები დაცინვისა და დამცირების საგნადაც იქცეოდა რუსული თეატრის მესვეურთაგან. ქართული თეატრისადმი ამ დამამცირებელი, გამანადგურებელი დამოკიდებულების დამთავრებულ გამოხატულებას წარმოადგენს მთავარმართებლის კანცელარიის ოფიციალური პასუხი ივ. კერესელიძის ერთერთ განცხადებაზე.

ივ. კერესელიძე თავის განცხადებაში მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორისადმი, 1855 წელს, აღწერდა ქართული დასის უმწეო მდგომარეობას, რომ მათ არ გააჩნიათ დარბაზი, სცენისათვის საჭირო მოწყობილობანი და სხვა. ბოლოს ივ. კერესელიძე ითხოვდა იმ დახმარების ნაწილობრივ განმეორებას, რომელსაც ქართული დასი ეორონცოვისაგან იღებდა.

მთავარმართებლის კანცელარიამ ივ. კერესელიძის ამ განცხადებას დამცინავად უპასუხა: „რადგან მისი განცხადება და-

<sup>1</sup> აკაკი წერეთელი— „ქართული თეატრის დაარსება საქართველოში“, „თემი“, 1912 წ., № 55.

წერილია უბრალო ქალაქზე და მასში აღნიშნული არ არის მისი შემადგენელისა და გადამწერის სახელი, კავკასიის მთავარმართებლის 1855 წლის მაისის 6-ის ცირკულარის თანახმად, დატოვებულია უშედეგოდ<sup>1</sup>.

ასე დაიშალა პირველი მუდმივი, ქართული დასი. ამის შემდეგ ქართულ თეატრს ორი გზა ჰქონდა: ოფიციალური სცენიდან დევნილი, იგი უნდა გადასულიყო კერძო სახლებში, მოქალაქეთა ბინებზე, შინაური წარმოდგენების სახით, და ამით შეენარჩუნებინა თავისი არსებობა, ან არადა განადგურებულიყო საბოლოოდ, და მართლაც, როგორც ქვევით მოტანილი ნიმუშები დაგვარწმუნებენ, მთელი ოცეული წლის მანძილზე, ცალკეული ჯგუფებისა და სცენისმოყვარეთა წრეების ინიციატივით, იგი თავს აფარებდა კერძო ბინებს.

50-იანი წლების თეატრის დახურვის შემდეგ ქართული წარმოდგენები მხოლოდ 70-იანი წლებიდან იღვებოდა ოფიციალურ სცენაზე და ისიც იშვიათად. ამ ხნის განმავლობაში მათი ასპარეზი უმთავრესად კერძო ბინებია, შეძლებული ოჯახები, სადაც მოსახერხებელია სცენის გამართვა და სხვა. მათ მაყურებელთა წრეც ზოგჯერ მეტად შეზღუდულია, აქ პიოველრიგშია მასპინძლის ოჯახი და მათი ახლო ნაცნობები.

თვით 70-იანი წლების ერთერთი საღამოს შესახებ გაზეთი „დროება“ წერდა, —ამ ვეჩერში ყოფნა. ბევრსა სურვებით, მაგრამ, რასაკვირველია, ვერ იქნებოდნენ, რადგანაც მხოლოდ ნაცნობთა და მეგობართათვის ჰქონდათ და არა საპუბლიკოთა<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეკრება-წარმოდგენები, არა იშვიათად, ვიწრო ხასიათისა იყო, მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ. ისინი ხელს უწყობდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით დევნილი ქართული კულტურის შენახვა—გადარჩენას. ეს შეკრებები, გარდა იმისა, რომ იხახავდნენ ლიტერატურულ ტრადიციას, ამავე დროს აღვიძებდნენ ინტერესს ნაციონალური, ქართული კულტურისადმი. მხოლოდ ამით

<sup>1</sup> „Театр в Тифлисе“, с 1845—1856 г., გვ. 164.

<sup>2</sup> „დროება“, 1871 წ., №—1.

უნდა აიხსნას, რომ ეპოქის ისეთი ადამიანები, როგორც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები, ამ ლიტერატურული შეკრება-სალამოებისა და შინაური წარმოდგენების ინიციატორებად მოჩანან. ისინი წერდნენ და უკითხავდნენ დამსწრეებს ჩვენი ხალხის დუბკირი ცხოვრებიდან ამოღებულ სურათებს, უკითხავდნენ და აცნობდნენ ფართო წრეებს რუსთაველის უკვდავი ქმნალებიდან ადგილებს სიყვარულის, მეგობრობისა და თანასწორობის შესახებ. ეს შეკრება-სალამოები გამოყენებული იყო როგორც საუკეთესო საშუალებები ხალხის ფართო მასებთან მისვლისათვის, მათთან დაახლოებისათვის. ეს განსაკუთრებით ითქმის მეორე პერიოდზე, როდესაც ეს სალამო-წარმოდგენები აშკარად გამოდიან შედარებით ვიწრო, საოჯახო უარგლებიდან და მათი ასპარეზი ფართო და მრავალმხრივი ხდება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში როგორც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება, ისე ეს წრეები და შეკრებებიც ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილან. როგორც ზიცხობრივად, ასევე შინაარსეულად, სხვადასხვა დროს, ეპოქასთან შეფარდებით, მათი მუშაობის ხასიათიც იცვლებოდა, და ეს მოძრაობა, მეტად თუ ნაკლებად, თითქმის ყოველთვის უპასუხებდა საზოგადოებრივი აზროვნების მოძრაობას. ამ თვალსაზრისით XIX საუკუნის მეორე ნახევარი (90-იანი წლებით დამთავრებული) ლიტერატურული წრეებისა და შეკრებათა განვითარების მიხედვით უნდა გაყოფილ იქნას ორ ძირითად პერიოდად.

ამ მოძრაობის პირველი პერიოდი იწყება 50-იანი წლების დასასრულიდან, როდესაც ბოლო მოეღო პირველ ქართულ თეატრს, და გრძელდება 70-იანი წლების მიწურულამდის.

1850 წლიდან მუდმივი ქართული დასის შექმნამ ერთგვარად ბოლო მოუღო შინაურ წარმოდგენებს. სისტემატურად გამართულმა წარმოდგენებმა ქართულ თეატრს მაყურებელთა საკმაოდ ფართო წრე გაუზიანა. მუდმივი დასის მიერ დადგმული პიესების გვერდით შინაური დადგმები, ცხადია, ვერ იხერხებდნენ, ისინი მოდიდან უნდა გამოსულიყვნენ.

ნიჭიერი დრამატურგების გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის პიესებმა ქართული თეატრი თბილისის ქართველ

პოქალაქეთა მიმზიდველ კულტურულ დაწესებულებად აქცია ისინი მას შეეთვისნენ, და ბუნებრივია, რომ ამ თეატრის დახურვის შემდეგ შინაურ შეკრებათა ტრადიციის აღდგენა საკმაოდ ძნელი საქმე უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამით თუ აიხსნება ის მდგომარეობა, რომ ქართული თეატრის დახურვის შემდეგ თითქმის 70-იან წლებამდის შინაური წარმოდგენები იწვიათად, აქა-იქ, იმართებოდა.

უმთავრესი, რითაც ხასიათდება მთელი ეს პერიოდი, არის თერგდალეულთა გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. ილია ქავჭავაძისა და მისი ჯგუფის გამოჩენამ აამოძრავა ამ დროის ქართველი საზოგადოებრივი აზროვნება.

როგორც ცნობილია, რუსეთის სამოციანხელთა მოწინავე იდეებზე აღზრდილ თერგდალეულებს, ქართული საზოგადოებრივი აზრის ამოძრავებისა და მისთვის ახალი ძიმართულების მიცემის მიზნით, წილად ხედათ მეტად მწვავე და ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება ე. წ. „შამათა“ ბანაქის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში თერგდალეულები მასების გადმობირებისა, მათთან დაახლოებისა და მათში განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩაბერვისათვის არა ერთ გზით იყენებდნენ ამ საღამო—შეკრებებს. თვით 70-იან წლებშიაც კი ილია ქავჭავაძის „გამოცანები“, სადაც ილია თავისებური დაუნდობლობით ჰკიცხავდა მოხელეთა იმ ჯგუფს, რომელმაც ქართული ენა, ქართული კულტურა და, საერთოდ, ქართველი ხალხის ბედი რუსეთის ჩინ-მედლებზე გაცვალა, დიდხანს ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა.

ლიტერატურული წრეებისა და შეკრებათა ბეორე პერიოდი იწყება 70-იან წლების მიწურულიდან და გრძელდება 90-იან წლებამდის.

ამ პერიოდის დასაწყისიდანვე შინაური წარმოდგენების ტრადიცია უკვე ოფიციალური სცენისაკენ მიისწრაფვის. ქართული თეატრის განახლებისათვის გაშლილი საზოგადოებრივი მოძრაობა 1879—1880 წ.წ. მუდმივი ქართული სცენისა და „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დაარსებით დაგვირგინდა.



ამავე პერიოდში კიდევ უფრო ფართოდ, ვიდრე პირველში, სალამო-წარმოდგენების ტრადიცია უფხვს იკიდებს პროვინციალურ დაბა-ქალაქებშიაც.

ამ ეპოქაში სიახლედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ფართო ხასიათის ლიტერატურული და მუსიკალური სალამოები, რომელთა რიცხვი უეჭველად მეტი იყო, ვიდრე ჩვენ ამას ქვევით განვიხილავთ.

ამის შემდეგ ჩვენ უფრო დაწვრილებით გავეცნობით ამ მოძრაობის დამახასიათებელ მომენტებს, რომელთაც აუცილებლად ჰქონდათ თავისი მნიშვნელობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

## რამდენიმე შეკრება „ცისკართან“

1857 წელს ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემას წინ უსწრებდა რამდენიმე შეკრება-მსჯელობა. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით. „ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს უთქვამს: „რამდენ გზისმე აქა-იქ კრებებიც დაენიშნეთ და იქ ჟურნალის გამოცემაზე საუბარი ავტეხეთო“.

ჟურნალის გამოცემისათვის საზოგადოებრივი აზრის შექმნა იწყება ჯერ კიდევ 1855 წლიდან, ამ მოძრაობის სათავეში ივ. კოესელიძესთან ერთად არიან: ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ვახტანგის-ძე ორბელიანი და სხვ.

1856 წ. ალექსანდრე ორბელიანის ბინაზე ზედიზედ ორი შეკრება მოხდა. პირველ ამათგანზე საბოლოოდ გადაწყდა ჟურნალის გამოცემისა და მისი სახელწოდების („ცისკარი“) საკითხი. ამავე შეკრებაზე დიმიტრი ყიფიანს დაევალა პროგრამის შედგენა „ცისკრისათვის“<sup>1</sup>.

მეორე შეკრებაზე ძირითად საკითხად იდგა ჟურნალის პროგრამა. პროგრამის პროექტი, რომელიც წარმოდგენილი იყო დიმ. ყიფიანის მიერ, შეკრებამ არ მიიღო, რადგან იგი, გარდა ლიტერატურულისა, ითვალისწინებდა ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა მთელ რიგ სოციალურ საკითხებს, ასეთი პროგრამით ჟურნალის დაარსების უფლებას კი მეფის სულშემზუთავე ცენზურა, რა თქმა უნდა, არ მისცემდა. ამის შენახებ წერდა ივ. კერესელიძე: „ეს პროგრამა დასტოვეს (ე. ი. უარყვეს. ა. მ.) და მერე სხვა შეადგინეს,

---

<sup>1</sup> თავის მხრივ ამ შეკრებას წინ უსწრებდა არა ერთი შეხვედრა-მოლაპარაკება.

უბრალო პროგრამა, ისევე, როგორც წინეთ "შედგინათ და მეც ეს წარვადგინო".

ქურნალის დაარსების შემდეგ რედაქციაში შეკრება-მსჯელობა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც „ციხკარი“ ფულადი დავალიანებების წინაშე აღმოჩნდებოდა. ასეთ შემთხვევებში რედაქტორი ყოველთვის სახელდახელო მოლაპარაკებას გამართავდა ხოლმე დაინტერესებულ პირებთან და საქმეს ასე გაიტანდა.

1860 წლის მიწურულს „ციხკარი“ განსაკუთრებული საფართობის წინაშე აღმოჩნდა. ძველი ვალებიდან 300 მანეთი ჯერ კიდევ ტვირთად აწვა და ამ დროს საბეჭდი დაზგაც გაუტყდა. ქურნალი დახურვის პირას იყო მისული, მაგრამ გულმოდგინე რედაქტორი ამასაც არ შეუშინდა.

„ერთ დღეს“ დავსწერე რამდენიმე წერილი,—ამბობს ივ. კერესელიძე,—ეს წერილები აქა-იქ ქართველ დიდ-კაცობას დაურიგე და ყველას ვსთხოვე საჭირო საქმის გამო ჩემს რედაქციაში მობრძანება სალამოს მ საათზე, მცირე ღროს დაკარგვა და მით მოსმენა ერთის საყურადღებო საქმისა. იმ დღეს პოლიციასაც გაუაგებინე, რომ სალამოს ჩემს სახლში რამდენიმე კაცი მოვა და გთხოვთ გზაში დარაჯათ კაცი დააყენოთ, რომ მათ გზა უჩვენონ. სალამოს რვა საათზე დაიწყო ფაიტონებზე გრიალი და ცხრა საათამდე ოცამდე ქართველთა მოწინავე პირნი მოვიდნენ, მე მივიღე, ჩაი, ხილი და სასმელი მივართვი“<sup>1</sup>.

ვანშაბზე ივ. კერესელიძემ სტუმრებს გააცნო „ციხკარის“ მდგომარეობა, დამსწრეები დაარწმუნა, რომ სერიოზული დახმარების გარეშე იგი იძულებული გახდებოდა ქურნალი სამუდამოდ დაეხურა.

ამ შეკრებამ ფრიად მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. „ციხკარს“ ათასი მანეთი მიეცა, ეს კი მისთვის სიცოცხლის დაბრუნებას უდრიდა. „მაშინათვე ქალაღი დამიწერეს, მეორე დღეს ეს ქალაღი მთავარმარხებლის გამგეობაში ვ. მუხრანსკის წარუდგინე. მან მაშინათვე რჩევას გადასცა და თან დასძინა, რომ 1000 მ. დახმარება მივცეთო. ფული მალე მომ-

<sup>1</sup> ხ. კიჭინაძე—„ივ. კერესელიძე“, გვ. 19.

ცეს. მე სტანოკი მალე გამოვიწერე, „ცისკრის“ გამოცემის საქმეც გაიწალდა—გადმოგვცემს ივ. კერესელიძე<sup>1</sup>.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ქართული თეატრი თითქმის დაეიწყებას ეძლეოდა, ამ დროს თბილისში მხოლოდ რუსული თეატრი და იტალიური ოპერა მოქმედებდა.

1859 წლის შემოდგომაზე პეტერბურგის უნივერსიტეტიდან დროებით, ავადმყოფობის გამო, ჩამოსული ილია ქავჭავაძე მთელ რიგ წინააღმდეგობათა დაძლევის შემდეგ ახერხებს ცოცხალი სურათების დადგმას შექსპირის „მეფე ლირიდან“. მაგრამ ი. ქავჭავაძის ცდა მოწინავე წრეების გამოფხიზლებისა და მასაში ახალი სულის ჩაბერვისათვის ნაადრევი აღმოჩნდა, ამისათვის საჭირო იყო ისეთი დიდი და თანმიმდევარი ბრძოლა, როგორც შემდგომ თვით ილია ქავჭავაძესა და მის თაობას ხვდა წილად. „მეფე ლირიდან“ ცოცხალი სურათების დადგმით დასრულდა კიდევ ეს აღტყინება.

აკაკი წერეთლის პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, რაფიელ ერისთავისა და აკაკის ხელმძღვანელობით, ქუთაისში დაარსდა სცენისმოყვარეთა წრე, რომელიც დროგამოშვებით მართავდა ქართულ შინაურ წარმოდგენებს. თბილისში ამ დროს, აკაკი წერეთლისავე მოგონებით, თეატრის „ხსენებაც კი არ იყო.“

„ერთხელ მხოლოდ,—ამბობს აკაკი,—დაგვიბარეს თბილისში, რომ გვეჩვენებია მათთვის მივიწყებული მათგან თეატრი. მაშინ ჯერ კიდევ რკინის გზა არ იყო. ჩამოვედით და სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოვადგინეთ „ყვარყვარე ათაბაგი“. ყვარყვარე ათაბაგის ცოლს, მენახშირის ქალის როლს თამაშობდა შესანიშნავი მსახიობი ქალი ეფროსინე კლდიაშვილისა და ისე ჩაითრია მაყურებლები, რომ ზოგიერთ ქალებს ლოქაში ისტერიკა მოუვიდათ. მაშინ იყო რომ თ. ყაფლან

<sup>1</sup> ნ. კვიციანი — „ივ. კერესელიძე“, გვ. 21.

ორბელიანმა, პირველ წრეში მჯდომმა და ბატონ-კაცურად მუხლზე ფეხ-შემოდგმულმა დაიყვირა: დაანებეთ თავი შავ წარმოდგენას, თორემ ქალები დაგვეხოცებიანო. ვორონცოვის შემდეგ ეს იყო პირველი წარმოდგენა თბილისში<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> აკაკი—„კართული თეატრ“-ს დაარსება საქართველოში“.

## ლიტერატურული შეკრება ზ. წერეთელთან

1870 წლის დეკემბერში ცნობილმა მწერალმა გიორგი წერეთელმა თავის ბინაზე მოაწყო ლიტერატურული შეკრება. შეკრებამ მეტად ფართო ხასიათი მიიღო, მასპინძელმა მისაწვევი ბარათებიც კი დაგზავნა. შეკრებაზე ილია ჭავჭავაძემ წაიკითხა თავისი „კაცია აღაშიანი?!“

გ. წერეთელთან მოწყობილი შეკრება მეტად საყურადღებო იყო. ილია ჭავჭავაძემ დამსწრეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოხადინა. შეკრების ერთერთ მონაწილეს, მწერალ ეკატერინე გაბაშვილს, ოთხი ათეული წლის შემდეგ, ილიას კუმოსთანაც კი თვალწინ უდგა ეს ბედნიერი შეშთხვევა.

ეკატერინე გაბაშვილის, როგორც ამ შეკრების ცოცხალი მოწმის, ეს მრავლის მენტყველი მოგონება საჭიროა მთლიანად გავიცნოთ.

„1869 თუ 70 წელს,—წერს ე.კ. გაბაშვილი,—საშობაოთ ქალაქში ჩამოველ და უდიდესი სადღესასწაულო საჩუქარი მივიღე. განსვენებული გიორგი წერეთელი თავის სახლში იწვევდა თბილისის მცხოვრებ შეგნებულ ქართველობას: „ილია ჭავჭავაძე წაიკითხავს თავის „კაცია აღაშიანი“, იწერებოდა მოსაწვევ ბარათში. მეც, თვრამეტი წლის ქალი, ერთი-ორი სტრიქონის დამბლაჯნი, ქართველ შეგნებულ წრეში ჰოვექციე. ჩემს აღტაცებას სიხარულის საზღვარი არა ჰქონდა, რომ მისრულდებოდა უდიდესი ნატვრა: „მგზავრის წერილების“ ავტორის ნახვა, ჩემის გონების გამოღვიძების და იდეალების ჩამსახველის გაცნობის სურვილი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ე.კ. გაბაშვილი აქ ცდებდა. ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ ამ დროს ჯერ კიდევ გამოქვეყნებული არ იყო, იგი დაიბეჭდა 1871 წ. ჟურნალ „კრებულში“.

„ვინც ლუარსაბის და დარეჯანის სახეში თავის თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის თავზე მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლათის სროლას დაიწყებს და გიყს დაუძახებს ამ მოთარობის უხეირო დამწერს. ეს კი კარვად იცოდნენ ყველამ, რომ ჩვენ პიროვნებათან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო კირზედ ვწერთ.

სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავაიხსნევემ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა ამ გონიერი სიტყვების მთქმელო?— ვიცი, სადაც ხარ! ხალხში ხარ, უხილაო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან; ისიც ვიცი, რა თვისებისაც ხარ: შეუცდომელი და მართალი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, „ვცსაც სხვისთვის“ გული სტკივა, მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულის ტკივილს. რა უყოთ? ზოგი გულის ტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდს უქებს, და ზოგი იმითი, რომ ცუდს უწუნებს, ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და კემშიარიტი გულის ტკივილი და სიყვარული აქვს, ეს თითონ შკითხველმა, გამოიცნოს“.

ასე დაიწყო წინასიტყვაობა ბრწყინვალე, მშვენიერმა, ყოველის ადამიანის ღირსებით შემკულმა და ღვთისაგან მირონცხებულმა ვაჟაკმა და მსწენელები მოხიბლა. მე, მე კი ისედაც ექსტაზამდინ მისული მისი თაყვანისმცემი, ფანატიკოს თაყვანისმცემელ მონად გადამაქცია“<sup>1</sup>.

ასეთი იყო გიორგი წერეთელთან მოწყობილი ლიტერატურული შეკრება. ასეთი გავლენა მოახდინა ილია ჭავჭავაძემ დამსწრეებზე თავისი „კაცია-ადამიანი“.

XIX საუკუნის 70-იანი წლები საქართველოში ლიტერატურული და საერთოდ კულტურული ცხოვრების ერთგვარი გაცხოველების ხანაა. 1869 წლის მაისის 2-ს გამოვიდა სალიტერატურო და სამეცნიერო ეურნალ „მნათობის“ პირველი ნომერი. 1871 წლიდან გამოდის ეურნალი „კრებული“ და ა. შ.

<sup>1</sup> ე. წ. გაბაშვილი—„ფიქრი და მოგონებანი ილია ჭავჭავაძის შესახებ“, შტრ. „განათლება“, 1908 წ., № 1.

1870 წლის ნოემბრის 19-ს თბილისში ივანოვმა „სამწიგ-  
ნობრო და საკითხავი ოთახი“ გახსნა, სადაც თითო შესვლა  
და წიგნით სარგებლობა თითო შაურად ფასობდა. ეს ამბავი.  
როგორც არაჩვეულებრივი და „საკვირველი“ მოვლენა, გაზე-  
თმა „დროება“ მთელ საქართველოს მოჰფინა. „ამ თვის ცხრა-  
მეტს, ხუთშაბათს, დილის ცხრა საათზე, თფილისში საკვირ-  
ველი, გასაოცარი საქმე მოხდა: ფოჩტის ქუჩაზე, სემინარიის  
პირდაპირ, ზეზალოვას სახლში სამწიგნობრო და საკითხავი  
ოთახი გაიხსნა“—წერდა გაზეთი<sup>1</sup>.

სამა წლის შემდეგ (1873 წ.) „დროება“ სიამოვნებით აშუ-  
ქებდა ცნობებს ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის მიერ ბიბ-  
ლიოთეკის გახსნაზე. გაზეთი კმაყოფილებით აღნიშნავდა იმ  
მოვლენას, რომ ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკამ ასი ხე-  
ლის მომწერი გაიჩინა და სხე.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> „დროება“, 1870 წ., № 47.

<sup>2</sup> „დროება“, 1873 წ., № 45 და № 404.



## შინაური საღამო—ზექრებები სამოცდაათიან

### წლებში

1867 წელს ნიკო ავალიშვილისა და ვახტანგ თულაშვილის შეთაურობით თბილისში დგება ახალგაზრდობის ჯგუფი, რომელსაც მიზნად აქვს ქართული თეატრის განახლება და მისი ახალ ნიადაგზე დამკვიდრება. ამ ჯგუფში შედიან: ნიკო ავალიშვილი, ვახტ. თულაშვილი, ვლადიმერ (ლადო) აბაშიძე, ვანო ელიოზიშვილი, ვასო თარხნიშვილი, ქარუმ ნაცვლიშვილი იასონ ნათაძე, დიმიტრი ბარათაშვილი, კოტე მაისუროვი, ეგნატაშვილი, ალხაზიშვილი და სხვ.

წრის ორგანიზაციული ჩამოყალიბება და მისთვის სახელის წოდება („არტიტული წრე“) მოხდა 1869 წ. ნოემბერში. ამის შესახებ გაზეთი „დროება“ წერდა: „წარსულ კვირას, 23 ნოემბერს შესდგა თბილისში ერთი საზოგადოება, სახელად „არტიტული წრე“, რომლის დანიშნულება ის არის, რომ ხელი გაუმართოს ადგილობრივ ნიჭიერ არტიტებს—მოსაკრავებს და რიგიანი დროს გატარების საშუალებაც მისცეს აქაურ საზოგადოებას, ამისათვის ის გამართავს დროგამოშვებით მუზიკალურ და სხვაგვარ საღამოებსა“<sup>1</sup>.

„არტიტული წრე“ სამოღვაწეო ასპარეზზე.

შეტად მძიმე პირობებში გამრვიდა მას არ გააჩნდა არავითარი მატერიალური დასაყრდენი და, რაც მთავარია, მას არ ჰქონდა სცენა და მისი მოწყობილობა. აი როგორ ახასიათებს ნიკო ავალიშვილი ამ წრის სამოქმედო სარბიელზე გამოსვლის პირველ წლებს:

<sup>1</sup> „დროება“, 1869 წ. № 48.

...ეს წრე წარმოდგენებს ნემსების კლუბის სცენაზე მართავდა. ეს იყო 1867—1869 წ.წ. იმ წარმოდგენების დროს ბევრი შავი დღეები უნახავს წრეს. სცენის ათას ნაკლულევა-ნებას გარდა, ბევრი ქირის ოფლი გამოიუვლია, მაგალითად, იმ დროს, როდესაც კლუბის გამგენი დარბაზის კარებს ჩაუკეტავდნენ ხოლმე ხალხს, წარმოდგენის დროს, იმ საბუთით, რომ ჯერ ქირა გადაგვიხადეთო, ბევრი რბინა დასკირებია წრეს ამ ქირის საშოვნელად, რა კი კასაში საქირო ფული არ აღმოჩენილა და ა. შ.

ასე მწვავე იყო „არტიკული წრის“ პირველი ნაბიჯები, მაგრამ იგი მაინც უკან არ იხევდა, ახალგაზრდული ძალითა და გაბედულობით წინ მიიწევდა.

ეს წრე 1870 წელს, ლუარსაბ მაღალაშვილის სახლში, აწყობს ფართო ხასიათის შეკრებას, რომელზედაც დგას საკითხი ქართული თეატრის დაარსების შესახებ. შეკრებაზე არჩეულ იქნა კომიტეტი. კომიტეტს შინაური წარმოდგენების შემოსავლისა, საზოგადოებრივი დახმარებისა და მსგავსი საშუალებებით უნდა მოემსახურებინა პირობებში ქართული თეატრის შექმნისათვის.

პირველ კომიტეტში არჩეულ იყვნენ ნიკ. ავალიშვილი, ვახტ. თულაშვილი და ანკონ აკურცელაძე, მაგრამ ამ კომიტეტის წევრობას შემდგომ არ ასცდენია თითქმის არც ერთი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე. 1870—1880 წლებში, სხვადასხვა დროს, კომიტეტის შემადგენლობაში, გარდა დასახელებული პარტებისა, შედიოდნენ: ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიპ. ყიფიანი, კონსტ. მამაცაშვილი, გ. თუმანიშვილი, დავით ერისთავი, იოსებ ანდრიაშვილი, იოსებ ბაქრაძე, გ. ქართველიშვილი და სხვ.

„არტიკული წრის“ მოღვაწეობა კერძო ბინებით დაიწყო. 1867—1869 წლებშიაც კი, როცა იგი წარმოდგენებს გერმანელების კლუბში მართავდა, რეპეტიციების წარმოება მაინც დიპ. ყიფიანის, გიგო ორბელიანის, დარია შალიკაშვილის, კოლია ხერხეულიძისა და სხვათა ბინებზე უხდებოდა. ეს რეპეტიციები იგივე წარმოდგენებიც იყო ამავე დროს, ხოლო 1870 წლიდან წრე თითქმის მთლიანად სტოვებს კიდევ ამ

კლებს და მისი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი გადატანილია კერძო სახლებში, ბინებზე.

-ახლა, —წერს ნ. ავალიშვილი, —საქმე საყმაწვილო წარმოდგენებით დაიწყო. შესაფერი პიესების დამწერიც თავისივე წრეში აღმოჩნდა, ეს იყო თ. ვასო თარხნიშვილი. ამ წარმოდგენებზე ადგილების ფასები მეტად მცირე დანიშნა და იმ მცირე შემოსავალსაც ისევ მაყურებელთა გამასპინძლებად ჰხარჯავდა. ამისთანა წარმოდგენები სამი იყო: კნ. დარია შალიკაშვილის სახლებში (აეჭალის ქუჩაზე) და შიხ. ყაზაროვის სახლებში (ნიკოლოზის ქუჩაზედ). შემდეგ ჩვეულებრივი პიესები მიაყოლა. ესეთი წარმოდგენები ექვსი იყო: იმავე ყაზაროვის სახლებში, ფეოდოროვის სახლებში (გოლოვინის პროსპ.), ანდრონიკაშვილის სახლებში (საპერნის ქუჩაზე), არჩილ მუხრან ბატონის სახლებში (მუხრანიანთ ქუჩაზე). ყველა იმ წარმოდგენებს აპოლაგებდა ცეკვა-ტანცაობით და ამ ხერხმა, ცოტა არ იყო. საზოგადოება შეაჩვია თეატრში სიარულსა და როლების აღმასრულებელი ქალებიც შესძინა“<sup>1</sup>.

„არტიტული წრე“, მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომლებიც მას ყოველ ნაბიჯზე წინ ელობებოდა, დღითიდღე იზრდებოდა და მტკიცდებოდა. ეს წრე, მის მიერ დაარსებული კომიტეტი, იყო ის დასაწყისი, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა მუდმივი ქართული სცენა და ქართული დრამატული საზოგადოება“. ეს აძლევდა საფუძველს ნიკ. ავალიშვილს, რომ 1900 წ. ქართული თეატრის 50 წლის დღესასწაულზე დამსწრეთათვის მიემართა: „ეხლანდელი ქართველი დრამატული საზოგადოებაც“, რომლის საგანგებო კრებას დღეს პატივი ეციო და მოპრძანდით, 1870 წელში დაფუძნებულ კომიტეტის მკვიდრი შვილია, იმის ნიადაგზე ამოსული“.

„არტიტული წრე“ XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში მოწოდებულ ყველა შინაური საღამო-წარმოდგენის სულის ჩამდგმელია, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა, თუ ასეთი შეიძლება სადმე მომხდარიყო.

<sup>1</sup> ნაკო ავალიშვილი — „ქართული თეატრის მოკლე ისტორიული მიმოხილვა (1855—1900)“, მოხსენება 1900 წ. იანვრის 2-ს ქართული თეატრის 50 წლის დღესასწაულზე, „ივერია“, 1900 წ., № 5—7.

1858 წლის დამდეგს „არტისტულმა წრემ“ დასადგმელად მოამზადა აკაკი წერეთლის კომედია „ძველსა და ახალს შუა“. ეს წარმოდგენა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი პირდაპირ ადასტურებს ნ. ავალიშვილის სიტყვებს წრის ხელმოკლეობისა და სიძნელეთა შესახებ.

განზრახული ყოფილა, რომ ეს პიესა დადგმული ყოფილიყო გერმანელების კლუბში. ამის შესახებ გაზ. „დროება“ იუწყებოდა: „შომავალ კვირაში, ყველიერში წარმოსდგება ნემეციის კლუბში ქართული კომედია „ძველსა და ახალ შუა“, თხზულება თ. აკაკი წერეთლისა“<sup>1</sup>.

მაგრამ, როგორც ჩანს, წრემ ვერ დაამყარა საკირო შეთანხმება კლუბის მენეჯერებთან და იძულებული გახდა წარმოდგენა კერძო ბინაზე გადაეტანა. „ძველსა და ახალს შუა“ წარმოდგენილ იქნა არჩილ მუხრანბატონის სახლებში 1868 წ. თებერვლის 9-ს<sup>2</sup>.

1869 წლის თებერვალ—მარტში „არტისტული წრის“ მიერ ჩატარებული იყო ორი შინაური წარმოდგენა. პირველზე წარმოდგენილ იქნა გ. ერისთავის კომედიები „გაყრა“ და „ძუნწი“, ხოლო მეორეზე, მარტის 2-ს—ზურაბ ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“ და მოლიერის კომედია „ცოლის შერთვეინება“, თარგმანი დ. ყიფიანისა.

ეს წარმოდგენები საკმაოდ კარგად ჩატარდა, როგორც ქვევით დავინახაეთ, მაყურებელთა ქებაც დაიმსახურეს, მაგრამ წარმოდგენების მცირე შემოსავალმა არტისტული წრე ცოტათი კიდეც დააზარალა. პირველ წარმოდგენაზე შემოსავალი ყოფილა 221 მანეთი, გასავალი 178 მანეთი და 95 კაპეიკი, ამრიგად, დარჩენილა ნაშთი 42 მანეთი და 05 კაპეიკი. მეორე წარმოდგენაზე შემოსავალი ყოფილა 134 მანეთი და 10 კაპ. გასავალი—155 მან. და 90 კაპ. ამრიგად, წრეს ვალად დასდებია 21 მან. და 80 კ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> „დროება“, 1868 წ. № 5.

<sup>2</sup> „დროება“, 1868 წ., № 6.

<sup>3</sup> ნ. ავალიშვილი—„ქართული წარმოდგენა თბილისში და საზოგადო მდგომარეობა აწინდელი ქართული წარმოდგენებისა“,—ქურობ. „მნათობი“, 1869 წ. მარტი.

მეორე წარმოდგენის ეს დავალიანება შეიძლებოდა დაფარული ყოფილიყო პირველის ნაშთით (42 მან. 05 კაპ.), მაგრამ თუმოვიგონებთ იმასაც, რომ პირველ და მეორე წარმოდგენაზე 38 მანეთის ბილეთი გაცემული იყო ნისიად და განაღდებაზე არავინ თქვობდა, ნათელი გახდება, რომ წრე საბოლოოდ ვალში რჩებოდა. ამიტომაც იყო, ნიკ. ავალიშვილი რომ ამბობდა: „მარცხენა ხელს არა ერხელ უგვრძენია ცუდი მდგომარეობა, რომ მარჯვენა ხელისასთვის დიდა გაჭივრებით მოუცია წარმოდგენისაგან დარჩომილ ვალებში დასარიგებელი ფულები“.

დასახელებული წარმოდგენები ფართო მაყურებელმა მეტად გულთბილად მიიღო. მათ შესახებ ბევრი ითქვა და საკმაოდაც დიფწერა, მაგრამ „დროების“ ერთერთი რეცენზენტო მაინც ამ წარმოდგენებს პირდაპირ ალტაკებაში მოჰყავდა. მას იზიდავდა არა მარტო ქართული ჰიესები, არამედ იგი ალტაკებული იყო აგრეთვე ქართული მუსიკითაც, რომელიც ამ წარმოდგენებს თან ახლდა. ეს სტატია ჩვენთვის მრავალმხრივ არის საინტერესო. გარდა იმისა, რომ ის არის პირველი ვრცელი მიმოხილვა ქართული წარმოდგენებისა ამ ეპოქაში, იგი, ამავე დროს, თუმცა გაკვრით, მაგრამ მაინც ეხება მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებს მაშინდელი ქართული თეატრისას.

„წლებანდელს ყველიერში, — წერდა რეცენზენტი, — წარმოსდგა ორჯერ ქართული თეატრი ქართული სცენის მოყვარეთაგან. ვიდრე არ შენახა ეს წარმოდგენები, მეგონა ვერ წავა რიგზედა მეთქი. ამ აზრზედ უფრო ის ნამკვიდრებდა, რომ პირველათ უნდა წარმოდგარიყო სცენის მოყვარეთაგან, ე. ი, გაუვარჯიშებელთ აქტიორებისაგან და მეორე უადგილო ადგილას, როგორც იყო ნემეცის კლუბი — პატარა, უდევკორაციო და ყოვლის მხრივ უბერხო. ამიტომაც არ ვაპირებდი წასვლას თეატრში. მერე რაღაც შემთხვევამ მოიქაზა და დავესწარი წარმოდგენას, რომელმაც ჩემი უწინდელი აზრი იმაზედ უმაღვე დაჰკარგა. ისე საუცხოვოთ შეერჩიათ როლები და ისე მშვენიერად არდგენდნენ, რომ სრულებით ნამდვილს ემსგავსებოდა“.

რეცენზენტი განავრძობს: — „განსაკუთრებით მოეწონა პუბლიკას ჩვენებური საკრავები ანტრაქტებში. ის ერთი ბეწო

ხალა, რომელშიაც იყო წარმოდგენა, ისე გატენილი იყო ხალხითა, როგორც წარმოდგენის დროს, აგრეთვე იყო ანტრაქტებში და დიდის სიამოვნებით უგდებდნენ ყურს საკრავებსა, არც სიტყვს, არც სიმქიდროვეს არ დაერიდნენ. მაგრამ ეს არის საკვირველი, რომ ევროპულს მუსიკას რაღათა ხმარობენ ხოლმე ანტრაქტებში ქართული წარმოდგენის დროს? ხომ ცხადია რიმ ჩვენებური უფრო კარგად გვაძლევენ ხ'ის ჩვენი გული ტანჯვაზე, სიხარულს და სხვ. და ეს უფრო მოსაწონი პრ იქნება ჩვენთვის? ან რითი არის ჩვენი მუსიკა ნაკლები ევროპულს მუსიკაზე? რამდენი სინაზე, მელოდია და არის დეეს იმაში. მერე მელოდია ჩვენებური. მაგრამ ეს ოხერი სხვათა მიბაძვა ლუპაეს! ხალხს უთუოდ ევროპიული უნდა გექონდეს ანტრაქტებშიო. ეს უფრო წესიერი და მიღებულია მაღალ ხალხშიო. მაღალი ხალხი... ფრანციცული ენაც არის მიღებული მაღალ ხალხში, მაშ რატო სიტყვებსაც ფრანციცულად არ ადავთარგმნით, რომ უფრო წესიერი და მაღალ ხალხში მიღებული უფილიყო. მაგრამ კარგია მაღალი ხალხის სურვილს არ მიჰყოლოდნენ წარმოდგენი და დაენიშნათ ჩვენებური საკრავები. ამ საკრავებმა თეატრს სულ ქართული ხასიათი მისცეს, ასე რომ რაღაც ფანტასტიკურს მეჯლისს დაემსგავსა“

„ერთის სიტყვით, წელს ქართული თეატრი ძალიან წარმატებით წარმოსდგა, პუბლიკაც და აკტიორებიც სიამოვნებით დარჩენ და სხვ. <sup>1</sup>

ასე აფასებდა ამ წარმოდგენებს გაზ. „დროების“ რეკენზენტი, მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ შეფასებას მხარს არ უჭერდა ამ წარმოდგენების სულის ჩამდგმელი ნიკ. ავალიშვილი.

ნიკ. ავალიშვილი თავის სტატიაში „ქართული წარმოდგენათბილისში და საზოგადო მდგომარეობა აწინდელი ქართული წარმოდგენებისა“ მკაცრად აკრიტიკებდა ან შეფასებებს. იგი თავს ესხმოდა რეკენზენტს იმის გამო, რომ მან ჩატარებული წარმოდგენები ერთობ უნაკლოდ გამოაცხადა, ერთხმად მოიწონა.

<sup>1</sup> „დროება“, 1909 წ. № 11 — „ქართული თეატრის წარმოდგენა თბილისში“.

ჩენის აზრით,--წერდა ნ. ავალიშვილი,—ხსენებული სტატიების მწერალი იმ განზრახვით იხსენებენ კარგად თავიანთ ნახულს (თუ არ ნახულს) ქართულ წარმოდგენას, რომ მით გაუკეთონ წარმომდგენლებს გული და წააქეზონ კვალად წარმოდგენაზედ, ხოლო საზოგადოებასაც კარგად უჩვენებენ, რომ ისიც ყოველთვის დაესწროს წარმოდგენაზე. ეს კარგი განზრახვაა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, როგორც ვიცით, ამ გვარ მწერლების გულკეთილობას ქართული წარმოდგენისათვის აქობამდე სრულებით ვერა ურგია რა და არცა გვეგონია თუ ან კვლავ უშველოს რამე. ჩენის აზრით, ქართული წარმოდგენები მაშინ იწარმოებენ კარგად, როდესაც ყველა წარმოდგენისათვის საჭირო მოთხოვნილებანი აღსრულდებიან და ყველა მისი გარემოება ჯეროვნად მოწყობილი და მოხერხებული იქნება,—და არა მაშინ, როდესაც ტყუილად იქება და იდიდება და განზრახვით დაიფარება მისი ნაკლულეგანებანი (თუნდა ეს განზრახვა კეთილიც იყოს)<sup>1</sup>.

ნიკ. ავალიშვილის აზრით, ჩატარებული წარმოდგენების სუსტი მხარეები კი არ უნდა მიიჩქნალოს, არამედ უნდა გაიგოს ხალხმა, რომ ისიც დაინტერესდეს მათი ვამოსწორებით. „თუ ჩვენ,—წერს ნ. ავალიშვილი,—საზოგადოებას არ შევატყობინეთ ჩვენი სცენის მდგომარეობა და არ ვაჩვენეთ ის მიზეზები, რომლისა გამო სუსტად მდის ქართული წარმოდგენები, ჩვენ რა გზით უნდა გვექონდეს იმედი მისი წარმატებისა? ჩვენ ქართული წარმოდგენები, ან როგორც ქართველები ხმარობენ—ქართული თეატრი, მიგვაჩნია საზოგადო საქმედ, ამის გამო ყოველთვის უნდა გამოვიაშქარავთ საზოგადოების წინაშე ის უხერხული გარემოებანი, რომელნიც სუსტად აწარმოებენ მას, როგორც საზოგადო საქმეს ანუ დაწესებულებას და აბრკოლებენ მისს წარმატებას“.

ამავე სტატიაში ნ. ავალიშვილი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ქართული წარმოდგენები ჯერჯერობით მიჩნეულია როგორც სასხვათაშორისო საქმე და მოითხოვს მის გადაქცევას

<sup>1</sup> ნ. ავალიშვილი—ქართული წარმოდგენა თბილისში და საზოგადო მდგომარეობა აწინდელი ქართული წარმოდგენებისა, ჟურ. „მნათობი“, 1869 წ. მარტი.

სერიოზულ და საპასუხისმგებლო მოვალეობად ყველა მოწინავე ქართველისათვის.

—:—

1870 წლის ნოემბრის 23-ს თბილისში, ჩითახოვის სახლებში, მორავი შინაური წარმოდგენა იყო. დადგმულ იქნა გ. ყრისტაეის კომედია „ძუნწი“, რაფიელ ერისთავის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული ვოლკილი — „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და ილია ქავჭავაძის — „გლებთა განთავისუფლების პიროველდროების სცენები“. ეს შინაური წარმოდგენა დიდის წარმატებით ჩატარდა და დიდი შთაბეჭდილებაც დატოვა მაყურებლებზე.

„სცენების“ დადგმამ ისედაც დიდი ავტორი კიდევ უფრო საყვარელ და მიმზიდველ ადამიანად აქცია ფართო წრეებისათვის. აი, რას წერდა ამ შინაური წარმოდგენისა და „სცენების“ შესახებ გაზ. „დროება“:

„...23 ნოემბერს მესამე შინაური წარმოდგენა იყო გალავინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლებში. ამ შენიშვნის დამწერი ამ უკანასკნელ წარმოდგენაზე დაესწრო და ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილებაც გამოიტანა; როგორც შევატყუთ, სხვებმაც სიამოვნებით გაატარეს იქ დრო“ — წერდა „დროების“ რეცენზენტი.

„ძუნწი“ და „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ რამდენჯერმე უნახავს სცენაზე ჩვენს საზოგადოებას. ეფ. \*\*\*-ის (ილია ქავჭავაძის ერთერთი ფსევდონიმია. ა. მ.) „სცენების“ ნახვა კი პირველი იყო და, მართალი გითხრათ, მე არ მეგონა, თუ წარმოსადგენად ივარგებდნენ ეს მშვენიერი „სცენები“, რადგანაც თეატრისთვის არ არიან დაწერილნი, მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოთ, მე მოვტყუედი: თითქმის ყველა პიესებზე მომეტებული ყურადღება ამას მიაქცია საზოგადოებამ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი მართა ის კი არ იყო, რომ ამ „სცენებს“ პირველად ხედავდა ჩვენი საზოგადოება. „სცენებს“ არა აქვს, მართალია, სცენური მოძრაობა, სასცენო ეფექტი, მაგრამ მის ნაცვლად ყოველი სიტყვა მომქმედო პირობისა და ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა თვით ნამდვილი ცხოვრებიდან გამჭირახე თვალით არის შენიშნული და ხელოვნური



კალმით დაწერილი. აი, ნამდვილი მიზეზი იქნისა, რომ „სცენებში“ ასე მოეწონა საზოგადოებას“<sup>1</sup>.

მოტანილი ამონაწერით ნათელი ხდება, თუ როგორ მიიღო მაყურებელმა დიდი მწერლის მიერ გლახთა დუბჰირი ცხოვრებიდან ამოღებული „სცენები“, თუმცა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გაზიარებულ იქნას რეცენზენტის აზრი იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის „სცენებს“ არ ჰქონდეს „სცენური მოძრაობა“ და „სასცენო ეფექტი“, როგორც ამას იგი ერთ ადგილას შენიშნავს.

1870 წლის დეკემბრის 23-ს, ე. ი. ილიას „სცენების“ დადგნიდან ერთი თვის შემდეგ, კვლავ ჩატარდა შინაური სალამო-წარმოდგენა. სადაც წარმოდგენილ იქნა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“ და სხვა. მაგრამ ამ სალამოს განმასხვავებელ ნიშნად „დროების“ რეცენზენტს მაინც ის მიაჩნდა, რომ აქ ადგილი ჰქონდა ლიტერატურულ გამოსვლებს.

„ამ ვეჩერში, —წერდა რეცენზენტი, —საკმაოდ კარგად წარმოდგენილ იქნა „გაყრა“ და უფრო მზიარულად გაატარეს დრო იქ მყოფთა, ვიდრე წინათა. ამისი მიზეზი ის იყო, რომ პიესა ერთი წარმოდგენეს და ანტრაქტებში ორიოდ ლექსები წაიკითხეს: „იანიჩარი“ \*\*\*-ისა, „საშინელი სიზმარი“, ფალერსლემბენის მიბაძვა ანტ. ფურცელაძისა, ნაწყვეთი გრიგოლ ორბელიანის ახალის ლექსებისა „სადღეგრძელო“<sup>2</sup>.

1871 წლის იანვარში თბილისის გუბერნიის მარშლის რევავ ანდრონიკაშვილის ბინაზე ზედიზედ ორი შინაური წარმოდგენა გაიმართა: პირველი—იანვრის 25-ს და წარმოდგენილი იყო „ძალად ექიმი“ მოლიერისა და „ტრავით მოგზაურობა ლიტერატორთა“—ზურაბ ანტონოვისა. მეორე კი იანვრის 29-ს და წარმოდგინეს იგივე „ტრავით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და „გაყრა“—გ. ერისთავისა<sup>3</sup>.

XIX საუკუნის 70-იან წლებში შინაური სალამო-წარმოდგენების წინაშე გარკვეული მოთხოვნები ყოფილა წაყენებული.

<sup>1</sup> „დროება“, 1870 წ., № 47.

<sup>2</sup> „დროება“, 1871 წ., № 1.

<sup>3</sup> „დროება“, 1871 წ., № 4.

თუ წინათ იგი უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ახლა ერთგვარ კალაპორტში უნდა ჩაპდგარიყო და მის მუშაობას ორგანიზებული ხასიათი მისცემოდა.

პეტრე უმიკაშვილი, რომელიც ირჩევს ერთერთ შინაურ წარმოდგენას, პირდაპირ ამბობს: „ამ გვარი ვეჩერები ევროპაში და რუსეთში დიდი ხანია შემოღებულნი არიან და აქეთ მრავალი სასარგებლო მხარე. ჩვენში ეს ევროპული ჩვეულების შემოღება და გავრცელება დიდათ სასურველია, ნაყოფი მრავალი იქნება“.

პ. უმიკაშვილი მუხლობრივ ჩამოთვლის იმ დადებით შედეგებს, რომლებიც ამ მოძრაობას უნდა მოჰყვეს. ეს შედეგები ასეთი უნდა იყოს:

პირველი—„ქორების და ცუდ-უბრალო ლაპარაკის მაგიერათ მსჯელობას დაეიწყებთ ჩვენს საქციელზე და ჩვენის ხასიათის გამშვენიერებაზე“.

მეორე—„ჩვენ უფრო მკიდროთ დავახლოვდებით ერთმანეთთან. ეს დაახლოვება ლოტოსთვის და ქალაქის თამაშისათვის კი არა, არამედ კვუის სასწავლებლის საქმისათვის, სპიქტაკლისათვის შეგვაჩვევს ერთად კეთილი საქმის გაკეთებას“.

მესამე—„ეს წარმოდგენები შინაურობაში გაავრცელებენ ქართული სცენის პატივისცემას და სიყვარულს. ამ სახით, მაშასადამე, ქართულს სცენას და ჩვენს ოჯახებს ერთმანეთს შეაკავშირებენ, დაახლოვებენ, დაამოყვრებენ... ამ მხრით ქართული თეატრის საქმე წინ წავა თვითონვე საზოგადოების მეცადინეობით და დახმარებით. რაკი ქართული სცენის საქმე წინ წაიწევს, რასაკვირველია, ლიტერატურასაც წარმატება მიეცემა: გამოჩნდებიან პიესების მწერლები და ჩვენს ლარიტ რეპერტუარს გაამდიდრებენ“.

დასასრულ, პ. უმიკაშვილი აჯამებს შინაურ შეკრებათა ღირსებებს და ერთ მთლიან, ეპოქისათვის დამახასიათებელ დებულებას იძლევა:

„მოკლეთა ვსთქვათ, — დაასკვნის პ. უმიკაშვილი, — რამდენი სარგებლობა მოგეცემა ამ შინაური წარმოდგენებისაგან: ჩვენ ხელს აგვადებინებს ცრუპენტელა დროს გატარებაზე, ქალაქის თამაშობაზე და ქორიკანობაზე; შეგვაჩვევს

მსჯელობას და აზრიან ცხოვრებას მოგვაფიქრებინებს; შედეგად ვეცხვართ მანეთს დახმარებას და შეგვაერთებს საზოგადო კეთილის საქმისათვის; ბოლოს, ჩვენს ქართულ სცენას და ლიტერატურას შეგვაყვარებს და შეაწყოებს მოუპოვებს საზოგადოების მხრითა<sup>1</sup>.

ასე ფართო ამოცანები დაუსახა შინაურ წარმოდგენებს პ. უმიკაშვილმა. პ. უმიკაშვილის ეს მოთხოვნა სრულიად დროული პასუხი იყო ეპოქისადმი. თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოითხოვდა ქართული ენისა და კულტურის გადარჩენას, ქართველი ხალხის მობრუნებას ამ მოძრაობისაკენ, რაშიაც შინაურ შეკრება-წარმოდგენებს ფრიად საპატიო როლი უნდა შეესრულებინათ.

XIX საუკუნის საბოცდააღიანი წლებიდან შინაურ საღამო-შეკრებათა ტრადიცია ფებს იკიდებს საქართველოს პროვინციებშიც. გარდა იმისა, რომ ქუთაისი თბილისს თითქმის არც-კი ჩამორჩება, თვით პატარა დაბა-ქალაქებშიაც, თუქცა სუსტად, მაგრამ მაინც აღდილი აქვს ამ მოძრაობის დასაწყისს. სერგი მესხის სიტყვით, „პატარა ქალაქებში, დაბებში და თვით სოფლებშიაც თითქო შოდათ შენოვიდა, თითქო საკიროებად შეიქნა ქართული წარმოდგენების გამართვა. გორში, თელავში, ოზურგეთში, შორაპანში, თუმცა, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც იმართება ქართული წარმოდგენები“<sup>2</sup>.

ჩვენ აქ ვერ მოვახდენთ მათი ბუშაობის დაწვრილებით შესწავლას, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ნაწილობრივი გაცნობა კი აუცილებელია ეპოქის ზოგადი დახასიათებისათვის. ისინი ხშირად მეტად საინტერესო ცნობებს იძლევიან ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების მოძრაობის შესახებ.

გავეცნოთ ზოგიერთ ამათგანს.

---

<sup>1</sup> პ. უმიკაშვილი—ქართული შინაური თეატრი, „დროება“, 1970. წ., № 34.

<sup>2</sup> ს. მესხი—ქართული თეატრი სოფელში, „დროება“, 1875 წ. № 88.

ჯერ კიდევ სამოციან წლებში ქუთაისში, აკ. წერეთლისა და რაფ. ერისთავის ხელმძღვანელობით, შედგენილ იქნა სტენისმოყვარეთა წრე, რომელიც არა იშვიათად მართავდა შინაურ საღამო-წარმოდგენებს და ერთხელ თბილისშიაც იმოგზაურა. შინაურ საღამო-წარმოდგენათა ეს ტრადიცია, რა თქმა უნდა, მომდევნო წლებშიაც არ შეწყვეტილა.

სამოცდაათიან წლებში ქუთაისში მომხდარ შეკრებათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა 1874 წლის აპრილის 18-ს ჩატარებული ლიტერატურული საღამო. ეს საღამო საყურადღებოა იმიტაც, რომ მისი მთავარი მოქმედი — მონაწილე იყო ილია ქავჭავაძე. ილიამ აქ წაიკითხა თავისი უკვდავი „მგზავრის წერილები“ და ივანე მაჩაბელთან ერთად შესრულებული უილიამ შექსპირის „მეფე ლირის“ ქართული თარგმანი.

ამ ლიტერატურული საღამოს შესახებ გაზ. „ღროება“ წერდა: „ქუთაისიდან იწერებიან, რომ აქ ამ თვის (ე. ი. აპრილის. ა. მ.) თვრამეტს შინაური ლიტერატურული საღამო ყოფილა. ამ საღამოზედ ორმოც კაცამდე შეკრებილან, წაუკითხავსთ: ილ. ქავჭავაძეს „მგზავრის წერილები“, შერე ეტ. ბებურიშვილს — სცენები ხალხის ცხოვრებიდან, ბოლოს „მეფე ლირი“ — მთარგმნელს ილ. ქავჭავაძეს. მსმენელები ძალიან კმაყოფილი დარჩენილან საზოგადოდ საღამოთი, განსაკუთრებით მოსწონებიან „მეფე ლირის“ თარგმანი.

ჩვენც დავესწარით თბილისში „მეფე ლირის“ კითხვაზედ და, მართალი უნდა ვთქვათ, თარგმანი სწორედ სამაგალითოა. არც ჩვენ და არც სხვებს არ გვეგონა, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენივრად გადმოიღებოდა ქართულს ენაზედა“<sup>1</sup>.

ასე ჩატარდა ეს დიდი ლიტერატურული შეკრება ქუთაისში.

<sup>1</sup> „ღროება“, 1874 წ., № 420.

XIX საუკუნის 70 წლებში გორში არა იშვიათად ხდება ლიტერატურული შეკრება. კიდევ უფრო ხშირად იმართება შინაური სალამო-წარმოდგენები, რაც შემდგომ სცენისმოყვარეთა წრის დაარსებით მთავრდება.

ამ წლებში გორში ჩატარებულ სალამოთაგან განსაკუთრებით გამოიყოფა ორი ლიტერატურული სალამო, რომლებიც თავივანე ერისთავის სახლში იქნა მოწყობილი.

პირველი ამათგანი იყო 1872 წლის მარტის 8-ს გაჰართული ქართულ-რუსული ლიტერატურული სალამო. იგი მოწყობილ იქნა დავით ერისთავის, ექიმ ვიშნევსკის, ივ. ერისთავის და სხვათა ინიციატივით სტუდენტთა ერთი ჯგუფისათვის დულადი დახმარების აღმოსაჩენად. ამ ლიტერატურულ სალამოზე წაკითხულ იქნა რუსი მწერლების — ლერმონტოვის, ნეკრასოვის, მაიკოვის, გორბუნოვის, ქართველი მწერლების — ნიკ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, გრ. ორბელიანის და სხვათა ნაწერები. სალამოს დამსწრეთა საკმაოდ დიდი რიცხვი ჰყოლია. გაზ. „კავკაზის“ ცნობით, სალამოზე შესასვლელი ბილეთი ღირდა ერთი მანეთი და გაიყიდა სულ 70 მანეთის<sup>1</sup>.

სალამო დიდის წარმატებით დამთავრდა და დამსწრეებზე ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა, რითაც შეიძლება ახსნილ იქნას ის მდგომარეობა, რომ სულ რამდენიმე დღის შემდეგ მას მოჰყვა ახალი. უფრო ფართო შინაარსის შემცველი ლიტერატურული სალამო.

მეორე ლიტერატურული სალამო ჩატარდა 1872 წლის მარტის 26-ს იმავე ივანე ერისთავის სახლში. მაღალი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებთა წაკითხვა და დამსწრეთა დიდი რიცხვი, გორის პირობებში, ამ ლიტერატურული სალამოს ნიშანდობლივი თვისებაა. ცნობილმა დავით ერისთავმა აქ წაიკითხა ილია ქავჭავაძის „დედა და შვილი“ და სხვა ლექსები. აქვე წაკითხულ იქნა აგრეთვე გ. ერისთავის და რუსი მწერლების (ნეკრასოვის, გორბუნოვის და სხვ.) თხზულებანი.

დროების რეცენზენტი მ. ტ. (ტატიშვილი) ამ ლიტერატურული სალამოს შესახებ წერდა: „ამ სალამოზე შეიკრიბა

<sup>1</sup> გაზ. „Кавказ“, 1872 წ., № 33.

საზოგადოება ფრიად ბლომად ქალი და კაცი და, რასაკვირ-  
 ვლილია, ყველა მოუთმენლად ელოდა გამოსვლას თ. დ. ერის-  
 თავისას, რადგანაც პროგრამაში იყო, რომ პირველად იმას  
 უნდა წაეკითხა. მართლაც კარგად წაიკითხა „დედა და შვი-  
 ლი“ \*\*\*-სა, რომ დიდის ტაშის კერით გამოუძახეს მეორეთ.  
 შემდგომ წაიკითხა სხვადასხვა თხზულება. ი. ქაეკავაძი-  
 სა, გ ერისთავისა და რუსულ ენაზედ სხვადასხვა ავ-  
 ტორების თხზულება. მართლაც, ძალიან კმაყოფი-  
 ლი დარჩა გორის საზოგადოება თ. დ. ერისთავის კითხვა-  
 ზედ, ისე, რომ დიდის სიამოვნებით ამეორებინებდნენ  
 კითხვას. შესანიშნავ კარგათ წაიკითხეს აგრეთვე ექიმმა ვიშ-  
 ნევსკიმ და თ. ვ. თარხანოვმა. პირველმა—სცენები ვორბუნ-  
 ვისა, მეორემ თ. გ. ერისთავის თხზულებიდან. თ. ივანე ერის-  
 თავის კითხვაზე ნეკრასოვიდან საზოგადოებაში მეფობდა დი-  
 დი სიჩქმე, ეტყობოდა დიდი კმაყოფილება ხალხში. მართლა-  
 დაც, გაათავა თუ არა კითხვა, დაჰკრეს ტაში. ამათ ვარდა  
 აგრეთვე წაიკითხა თ. ვ. თარხანოვმა.

კითხვა დაიწყო 8 საათზედ და გათავდა თერთმეტზედ. სა-  
 ზოგადოება დიდის სიხარულით უხდიდა მადლობას ზემოხსე-  
 ნებულ პირთა და სთხოვდა, რომ არ მოსწყვიტონ ამგვარი  
 სალიტერატურო საღამოები“<sup>1</sup>.

ასეთივე ორი ლიტერატურული საღამო-შეკრება გორში.

— : —

გორი წრეობრივი მუშაობის საქმეში გამოირჩევა ყველა  
 დანარჩენი დაბა-ქალაქისაგან, მაგრამ ეს მოძრაობა უცხო არ  
 არის სხვა რაიონებისათვისაც.

ზონში, თუ გადაქარბებული არ არის გაზ. „დროების“  
 ცნობა, 70-იან წლებში თეატრიც კი აუშენებიათ<sup>2</sup>.

ოზურგეთში 1870—1873 წ.წ. კერძო ბინებზე წარმოუდ-  
 გენიათ „გაყრა“ და „უჩინ-მაჩინის ქული“—გ. ერისთავისა,  
 „ძალად ექიმი“—მოლიერისა, „ადვოკატის დილა“—აკაკი წე-  
 რეთლისა და სხვ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> „დროება“, 1872 წ., № 14.

<sup>2</sup> „დროება“, 1874 წ., № 408.

<sup>3</sup> „დროება“, 1871 წ., № 32, 1872 წ. № 27, 1873 წ., № 41.

კახეთში 1875 წ. ქალთა ერთი წრეც შეეძგარა, რ. პელსაუ ბიბლიოთეკის შექმნის გარდა ფულიც შეუგროვებია და ურთიერთ შორის დახმარე შინაურული სალაროც ეწოდებოდა. „დროება“ სიამოვნებით აღნიშნავდა: „კახეთიდან მოგვივიდა ამბავი, რომ ერთს იქაურს სოფელში, იყალთოში წრე შემდგარა იქაური ქალებისა, რომელთაც პატარა ქართული ბიბლიოთეკა შეუღგენიათ. ბიბლიოთეკის გარდა, როგორც გვაცნობენ, ამ წრეს მოუგროვებია 650 მანეთამდი და შინაური ურთიერთ დახმარე კასა გაუმართავთ. ამ საგნის თაობაზე მალე უფრო დაწვრილებითი ამბებს მოველით.

ყოვლად საქები, მიბაძვის ღირსი საქმეა. საქები შით უფრო, რომ ეს პიოველი მაგალითია ჩვენს დროში, რომ ქართველა ქალები ამგვარს საქმეებს ჰკიდებდნენ ხელსაო<sup>1</sup>.

მსგავს საქმიანობას ადგილი ჰქონდა სხვა დაბა-ქალაქებშიც. ს. მესხის თქმით, შინაური სალამო-წარმოდგენები „მოლად შემოვიდა“, მოთხოვნილებად იქცა. შემდეგ წლებში ისინი, თანდათან, საყოველთაო სახალხო ხასიათს იღებდნენ. მაგრამ აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ჩვენს პროვინციებში, სათანადო ტრადიციის უქონლობის გამო, წრეობრივი მუშაობა მეტად მტკივნეულად მკვიდრდებოდა, სათანადო წამოწყება ხშირად უშედეგოდ მთავრდებოდა. კალაპოტიდან ამოვარდნილი თავად-აზნაურობა ქეიჯსა და ქალაღდის თამაშში მეტს ხელავდა შიშხიდველს, ვიდრე ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობაში. ამ მხრივ დამახასიათებლად შეიძლება მიჩნეულ იქნას გაზ. „დროების“ ერთი კორესპონდენცია ოზურგეთიდან. იგი პირდაპირ ნიმუშია იმ დროის. თავად-აზნაურობის დიდი ნაწილის დამოკიდებულებრსა შინაურ შეკრებათა და სალამო-წარმოდგენებისადმი, რომლებშიაც ისინი მხოლოდ გართობისა და დროის მოკელის საშუალებას ხედავდნენ.

ერთმა აქაურმა მკებოვრებმა, — წერს კორესპონდენტი, — სახელდობრ გ. გ., მოინდომა ამ ზამთარ, რომ გაემართა ლიტერატურული სალამოები და ქართული სცენა თავის სახლში. ამ ჩინებული აზრისათვის მან გამოიმეტა მშვენიერი თავისი

<sup>1</sup> „დროება“, 1875 წ., № 52.

სახლი და ჩინებული ვახშმები: საზოგადოებამაც თანაუგრძნო და პირველსავე დანიშნულს შაბათს მოუკლებლად შეიკრიბენ იმისას ზევრი ქალები და კაცები. დაიწყეს კითხვა პირველად რუსულად და, როგორც მახსოვს, ერთი უმეტეს ამ საქმის თანამგრძობელი რუსი პკიანხულობდა ლაბულის თხზულებას, მაგრამ ნახევარს საათამდის როგორც იყო გაუძლო საზოგადოებამ ჩუმად კითხვის ყურისგდებას; შემდეგ კი თითო-ორ-ორი გაიპარნენ აქეთ-იქით და საკითხავ ოთახში დარჩა მხოლოდ სანთლეძი, სკამები, მკითხველი და მასპინძელი ორის თუ სანის სტუმრით. ბევრი იძახა ჩვენმა კეთილმა მასპინძელმა, ზევრი იხვეწა მიუღლიყვენ და ყური ეგდოთ კითხვისათვის, მაგრამ კაცებმა მას ერობხათ შამოსძახეს: „სადაური ლიტერატურა, სათამაშო ქალაღი და კარგი საუზმე მოგვიტანე, ის გვიჩჩვენია“ და ქალებმა ნაზი ხმით ძიაწიელეს: „ამ კითხვას მუსიკა რომ მოიყვანოთ და ტანცაობა დავიწყოთ, ის სჯობიაო“. ამ სახით თავიდანვე მოისპო ლიტერატურული საღამოები და ნაცვლად ამ ჩინებული საქმისა გაჩნდა ქალღდის თანაში და ქეიფი“.

კორესპონდენტი ნღვლიანად ამთავრებს წრის ჩაშლის ამბავს: „საბრღო მასპინძელს აზრშიაც არ მოსვლია დავწესებინა თავის სახლში ასეთი რამ, მაგრამ, უნდა თუ არა, ყოველ შაბათობით უნდა მიიღოს ეს მოთამაშეები და ამგვარად გაატარებინოს იმათ დროება“<sup>1</sup>.

ოზურგეთში მომხდარი ფაქტის შესახებ გულუბრყვილოდ მოთხრობილი ამბავი, კერძობითი არ არის, იგი საერთოა ჩვენი პროვინციღღური დაბა-ქალაქების თითქმის უმრავლესობისათვის. ასეთი ძწვავე ტკივილების გადატანით იკიდებდა ფეხს საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლების ეს საშუღლება საქართველოს პროვინციებში.

სამოცღაათიანი წლების ლიტერატურულ შეკრებებსა და შინაურ საღამო-წარმოდგენებს, ამავე ხანებში, ერთგვარი შეფასება მისცა ცნობიღმა სურგი მესხმა თავის სტატიღში „თბი-

<sup>1</sup> „დროება“, 1872 წ., № 27.



ლისის დროის გასატარებელი ადგილები და ქართული თეატრი".

ს. მესხის ეს სტატია განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ნიშნით, რომ იგი იძლევა ნათელ წარმოდგენას ამ საღამო-წარმოდგენების მაცურებელთა ძირითადი მასის შესახებ. ს. მესხის მოწმობით, „ყველა ამ ადგილებში ეგრედ წოდებული საზოგადოების „მოწინავე“ და შემძლე პირები დაიარებიან რა ატარებენ დროსა“.

„როდესაც ამისთანა დროს გასატარებელ ადგილებზე ლაპარაკობენ,—მობედნილად შენიშნავს ს. მესხი, „ბრალო ხალხი არასოდეს არ ჰყავთ სხედველობაში. ჩვენს უბრალო ხალხს ამჟამად მხოლოდ ერთი „ორთაქალის“ ბალი დარჩენია, სადაც მას თავისუფლად შეუძლია ჩაითვრეს კახური ღვინითა და აქას გარდა ათასში ერთმა იქნება აილოს თეატრის ბილეთი და რაიოკში წავიდეს, უფრო ხშირად იტალიურ ოპერაზე, ერთი სიტყვით, ჩვენს უბრალო, მუშა ხალხს, თუ არა სანიკიტნობები, სხვა ადგილი არ მოეძებნება დროს გასატარებლად, და ვინ იცის, შემდეგში მოესწრება ის ამისთანა ადგილს“.

ს. მესხი ამავე სტატიაში პირდაპირ აყენებს საკითხს მულდ-მივი ქართული დასისა და თეატრის შექმნის შესახებ. ავტორი ხაზს უსვამს, რომ „ქართული სცენის მოყვარულთა“ წარმოდგენები ვერ აკმაყოფილებენ მაცურებელს. გაიზარდა მაცურებელთა მოთხოვნილება, დღითიდღე იზრდება მათი რიცხვიც და საქიროა ამას ანგარიში გაეწიოს.

„ეხლა ივენ უნდა დავანებოთ თავი ამ ქართული სცენის მოყვარულების წარმოდგენებსა,—წერს ს. მესხი,—და მულდმივი ტრუპის შედგენას უნდა შეუდგეთ. ამ „მოყვარულების“ წარმოდგენას ბევრი დრო, ხარჯი და წვადება უნდა და სარგებელი კი, ღმერთმანი, იმდენი არა არის რა, არც მატერიალური და არც სწეობითი. მაშ ისევ მულდმივი ქართულ-სომხური ტრუპა. თუ ქართულ თეატრს რაივე სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებისათვის (იმედია, ამაში არავის არა აქვს ახლა ეჭვი)—ისევ აჰ მულდმივი ტრუპისა და რიგიანათ თავთავის დროზე გაპართული წარმოდგენების საშუალებითა და არა სხვაფრივ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „დროება“, 1872 წ., № 28.

ს. მესხის ეს მოთხოვნა, ქართული თეატრისა და მუდმივი ქართული დასის შექმნის შესახებ, წხოლოდ XIX საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა ილია ჭავჭავაძის, დიმ. ყიფიანის, აკ. წერეთლისა და სხვათა ინიციატივით.

—:—

ჩვენ გზადაგზა ვეცნობით იმ წინააღმდეგობებს რომლებიც ქართულ სალამო-წარზოდგენებსა და ლიტერატურულ შეკრებებს ელოებოდნენ, მაგრამ საკიროა განსაკუთრებით გამოიყოს ერთი ოფიციალური „წრე“, რომელიც მთელი თავისი საქმიანობით პირდაპირ ემსახურებოდა თვითმპყრობელი რუსეთის კოლონიურ ზრახვებს. ასეთი იყო ის დაწესებულება, რომელიც ცნობილია „თბილისის წრის“ („Тифлисский кружок“) სახელწოდებით.

„თბილისის წრე“ თავისი კლუბით წარმოადგენდა ერთგვარ ბაზას „ორთავიანი არწივის“ სასარგებლო აგიტაციისათვის. იგი ცნობილია თავისი მრავალრიცხოვანი სალამო-კონცერტებითა და ბალებით, მაგრამ „თბილისის წრე“ განსაკუთრებულ კვალს სტოვებს ეგრედწოდებული „საჯარო ლექციებით“, რომელთა რიცხვი ათეულებით და შეიძლება ასეულებითაც კი იქნას დათვლილი<sup>1</sup>.

„თბილისის წრეს“ ლექციებისათვის ერთიანი დღეებიც ჰქონდა დადგენილი, ეს იყო საშაბათი და პარასკევი. იგი განსაკუთრებულ მაჩვენებლებს აღწევს თებერვალ-მარტის თვეებში, ეგრედწოდებულ „დიდშარხვაში“.

„თბილისის წრე“, ქართული სალამო-კონცერტების საპირდაპიროდ, განსაკუთრებით შლის მუშაობას XIX საუკუნის 70-იან წლებში. „წრეში“ ტარდებოდა აშკარა ანტიხალხური, გამხოწნელი „ლექციები“, სადაც ლექტორები თავისი უბადრუკი „თეორიებით“ პირდაპირ ილაშქრებდნენ დარვინისა და დარვინიზმის წინააღმდეგ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სხვათაშორის, 1875 წ. შემოდგომაზე აქ წაიკითხა რამდენიმე ლექცია ფიზიოლოგიიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველმა პროფესორმა იაკობ თარხნიშვილმა.

<sup>2</sup> „დროება“, 1874 წ., № 418, 1875 წ., № 37.

1875 წლის გაზაფხულზე (მარტი—აპრილი) „თბილისის წრე-ში“ ვინმე ერიცოვმა წაიკითხა ხუთი „ლექცია“. იგი თავის „ლექციებში“ პირდაპირ ჭადაგებდა თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკის სასარგებლოდ. ერიცოვმა, ველიკორუსული კონდრაბანდის უფრო იოლად გაპარების მიზნით, თავის „ლექციებს“ ასეთი შემპარავი სათაური გაუკეთა: „ისტორიული მიმოხილვა პოლიტიკური კავშირისა რუსეთსა და კავკასიის პროვინციებს შუა საზოგადოთ და განსაკუთრებით საქართველოს შუა“.

## პირველი ლიტერატურული საღამოები

### თბილისში

ფართო, საყოველთაო ხასიათის ლიტერატურული საღამოების მოწყობის ცდები თბილისში XIX საუკუნის 60-70-იან წლებშიაც ყოფილა, მაგრამ ამის განხორციელება იმ დროისათვის ჯერ კიდევ ვერ ხერხდებოდა და ბევრ შემთხვევაში ისინი პრიმიტიული ფორმებით ტარდებოდნენ, ზოგჯერ მათ მაყურებელთა წრეც მეთად განსაზღვრული იყო.

ამ მხრივ ფრიად საინტერესო ცნობას იძლევა ილია ჭავჭავაძის ერთი კერძო წერილი სერგი ძესხისადმი 70-იან წლებში<sup>1</sup>. როგორც ჩანს, ს. მესხს ი. ჭავჭავაძისათვის, სხვა ამბებთან ერთად<sup>2</sup>, მიუწერია, რომ ჩამოსულიყო თბილისში, რათა გაემართათ ფართო ლიტერატურული საღამო, მაგრამ, წინააღმდეგ თავისი დიდი სურვილისა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ილია იძულებული იყო უარი ეთქვა ს. მესხის ამ მოწოდებაზე.

აი რას სწერდა ი. ჭავჭავაძე საპასუხოდ წერილში ს. მესხს:

„მწერ ჩამოდით, სალიტერატურო საღამო გაემართათო, მეც ძალიან მინდა, მაგრამ ოფიციალურად გამოცხადება ქალაქში არ შემიძლია, რადგანაც არ დამიძხოვენ, ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა, ეს ოხერი ვერ დავაღწიე თავი ამ უგემურს სამსახურს. მაღე კი მოუღებ ბოლოს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> წერილი უთარილოა, იგი მიეკუთვნება ი. ჭავჭავაძის ცხოვრება—მოღვაწეობაში ე. წ. დუშეთის პერიოდის უკანასკნელ წლებს.

<sup>2</sup> უგზავნიდა ანდრონიკაშვილის პროექტს. სარწყავი არხის გაყვანაზე და სხვ.

<sup>3</sup> ს.ა. ს.ა. მუხეზი. ქართველთა შორის წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი, № 5103.

ასე მარცხით მთავრდებოდა საყოველთაო ხასიათის ლიტერატურული საღამოების ცდები თვით სამოცდაათიან წლებშიაც. ასეთი საღამოების ტრადიცია თბილისში ფეხს იკიდებს მხოლოდ სამოცდაათიანი წლების მიწურულსა და ოთხმოციანი წლების დამდეგიდან.

1875 წლის აპრილში თბილისში, სააფხულო თეატრში, ორი ფართო ხასიათის ლიტერატურული საღამო ჩატარდა.

პირველი ამათვანი იყო 4 აპრილის ლიტერატურული საღამო, რომელშიაც მონაწილეობდნენ ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი და სხვ.

სერგი მესხის გადმოცენით. „არც ერთ ქართულ წარმოდგენას, არცერთ სხვა რომელსავე თავის შესაქცევარს დროს გატარებას არ მოუხდენია ჩვენში არასოდეს ისეთი კარგი, ისეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება, როგორც ამ სალიტერატურო საღამოს“.

„თუმცა საღამო მეტიმეტის აჩქარებით იყო გამართული,— წერს ს. მესხი,—თუმცა აფიშები ქალაქში მხოლოდ ხუთშაბათს საღამოს ააკრეს და ბილეთების ყიდვა პარასკევს დღეს დაიწყეს, მაგრამ თეატრში მაინც იმდენი ხალხი იყო, რომ ცარიელი ადგილი ბევრი არ დარჩენილა. და ვინც დააკლდა ამ საღამოს, დარწმუნებული ვართ, ბევრს ინანებდა“<sup>1</sup>.

გაზეთი „დროება“ თავის მიმოხალვას 4 აპრილის ლიტერატურული საღამოს მონაწილეების შესახებ, სრულიად სამართლიანად, ამ საღამოს უხუცესი მონაწილის, დიმიტრი ყიფიანის დახასიათებით იწყებს.

„დ. ი. ყიფიანი.—წერს „დროება“,—ნამდვილი ოვაციით მიიღო საზოგადოებამ: გამოვიდა თუ არა ეს პატივისაცემი გაქალაქებული მოხუცი, ყველამ ერთხმად დაჰკრეს ტაში და ეს ტაშის კვრა რამდენიმე წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ამ ოვაციით, სხვათა შორის, საზოგადოებამ, ჩვენის ჰაზრით, თანაგრძნობა გამოუცხადა შკიპხველს იმისათვის, რომ ახალგაზრდებთან ერთად ჰკიდებს ხელს საზოგადო საქმის დახმარებას.

<sup>1</sup> „დროება“, 1875 წ., № 42.

სცენა საკუთარი თარგმანის შექსპირიდან და აგრეთვე „ვეფხისტყაოსანის“ ერთი თავი დ. ყიფიანმა კარგად წაიკითხა: ზაგრამ, საუბედურათ, ისე დაბალი ხმით, რომ სოფიერობებს, ვინც სცენაზე მოშორებული იყვნენ, არ გაუგონიათ“.

ამ სალამოზე რაფიელ ერისთავმა წაიკითხა გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოს“ ერთი ნაწყვეტი და თავისი „სცენები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“.

დავით ერისთავის შესახებ „დროება“ წერდა, რომ იგი „ახლა ბევრად უკეთ ჰკითხულობს ქართულს, ვიდრე ამ ორისამი წლის წინათ ჰკითხულობდა. უამისოდაც მშვენიერი და ძლიერი ლექსები პოემის „აჩრდილისა“ დ. ერისთავისა წაიკითხვაში უფრო მშვენიერად და ძლიერად გამოისმოდა“.

დასასრულ, გაზეთი ხაზს უსვამს ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გამოსვლებს. იგი პირდაპირ წერს, რომ „ნამდვილი დამამშვენიებელი და გამაცოცხლებელი ამ სალამოსი იყვნენ აკაკი წერეთელი და ილია ქავჭავაძე“.

ილიამ ამ ლიტერატურულ სალამოზე წაიკითხა ერთი ადგილი „კაცია აღამიანიდან“ და გრ. ორბელიანის ლექსი „დიმიტრი ონიკოვის დარდები“, ხოლო აკაკიმ თავისი „ადვოკატის დილა“ და „სცენა საპურობილეში“<sup>1</sup>.

მეორე ლიტერატურული სალამო მოეწყო 1875 წ. აპრილის 22-ს. ამ სალამოს პროგრამა დაახლოებით იგივე უნდა ყოფილაყო, რაც 4 აპრილის ლიტერატურული სალამოსი, მხოლოდ უფრო გაფართოებული. მონაწილეობდნენ ი. ქავჭავაძე, აკაკი, დ. ყიფიანი, რაფ. ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი და სხვ.<sup>2</sup>

„დროების“ დამოწმებით, ეს ლიტერატურული სალამო დიდის წარმატებით ჩატარდა, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო 4 აპრილის სალამომ თავისი წარუშლელი შთაბეჭდილებებით.

„ქართული საზოგადოება, — წერდა „დროება“, — როგორც სჩანს, ამ ახალ დროს გატარებას ეჩვევა: ამ მეორე სალამოზე ბევრათ უფრო მომეტებული ხალხი იყო, ვიდრე პირველზეო“.

ასეთია ამ ორის ლიტერატურული სალამოს მხატვრულ-ზინაარსეული მხარე, მაგრამ საინტერესოა მათი ფულადი მდგო-

<sup>1</sup> „დროება“, 1875 წ., № 42.

<sup>2</sup> „დროება“, 1875 წ., № 44.

მარეობაც, იგი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რა პირობებში ტარდებოდა ეს საღამოებო, როგორი იყო მათი შემოსავალი, გაწეული ხარჯები და რას ხმარდებოდა ეს თანხები.

საღამოს გამგებლის ს. მესხის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 22 აპრილს ლიტერატურულ საღამოზე შემოსულა სულ 254 მანეთი და 25 კაპ. ამ თანხის უდიდესი ნაწილი (140 მანეთი), პირობის თანახმად, თეატრის მეპატრონეს წაუღია. ამას ემატება სხვა ხარჯებიც და სუფთა შემოსავალი დარჩენილა სულ 95 მანეთი და 25 კაპ.

აქედან 50 მანეთი გადაუციათ თბილისის საქალო უფასო სკოლას სასარგებლოდ, ხოლო დარჩენილი 45 მანეთი და 25 კაპ. ქართული სცენის სასარგებლოდ გადაუდგიათ<sup>1</sup>.

1875 წლის აპრილის ლიტერატურულმა საღამოებმა ფრიად დიდი გამომწაურება ჰპოვა და განზრახვაც იყო, რომ ამავე საღამო ჩატარებულიყო ქუთაისშიც.

ასეთი წარმატებით დამთავრებულ პირველ ლიტერატურულ საღამოებს, ექვი არ არის, მომავალში უფრო ფართო ხასიათის საღამოები უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა იმთავანის შესახებ ცნობებს ჩვენამდის ვერ მოუღწევია, არსებული მასალების მიხედვით კი მხოლოდ ზოგიერთ ამთავანზე თუ შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა.

1876 წლის იანვრის 29-ს კავკასიის მუსიკალური საზოგადოების კლუბში მორიგი დიდი ლიტერატურული საღამო ჩატარებულა. საღამოს მონაწილეთა შორის, ჩვეულებრივად, განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ ილია ქავკაჟაძისა და აკაკი წერეთლის გამოსვლებს<sup>2</sup>.

მაყურებელთა ყურადღება და პატივისცემა დაუშინახურებია აგრეთვე ეტლია ბებურიშვილს, რომელიც თავისი დროისათვის ცნობილი იყო როგორც გურულ-იმერული სცენების ოსტატური მკითხველი. „ყველაზე უფრო მომეტებული ყურადღება და ტაში ამ საღამოს უფ. ეტლია ბებურიშვილმა დაიმსახურა თავისი გურული სცენების არტიტულად წაკითხვით“ — წერდა „დროების“ მიმომხილველი.

<sup>1</sup> „დროება“, 1875 წ., № 57.

<sup>2</sup> „დროება“, 1876 წ., № 12.

## საუნივერსიტეტო დღესასწაულები საქართველოში

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთ საკითხად თითქმის ყოველთვის აყენებდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნას.

ქართულ პრესას არა ერთხელ გაუწუქებია თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის აუცილებლობა. დამახასიათებლად შეიძლება მიჩნეულ იქნას გაზეთ „დროების“ მოწინავე სტატია 1871 წ. სათაურით „საქიროა კავკასიაში უნივერსიტეტი თუ არა?“<sup>1</sup>.

„დროება“ (რედაქტორი სერგი მესხი) ხაზს უსვამდა უნივერსიტეტის მნიშვნელობას კავკასიის ხალხთა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების გარდაქმნის საქმეში და აყენებდა მისი გახსნის აუცილებლობის საკითხს.

„უნივერსიტეტის შემწეობით, - წერდა გაზეთი, - ჩვენი მეურნეობა, ჩვენი ვაჭრობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება წინ წაიწევედა; უნივერსიტეტის წყალობით ჩვენ გავიცნობდით ჩვენ თავს, ჩვენ შევიტყობდით რამდენი სიმდიდრე, რამდენი სიუხვე მოუცია ჩვენი ქვეყნისათვის ბუნებას და, მისივე შეწევნით, ამ სიმდიდრის გამოყენებას დავისწავლიდით. ერთი სიტყვით, ვერ ჩამოთვლის კაცი იმ სარგებლობას, რომელსაც ჩვენ უნივერსიტეტი მოგვიტანდა“ და ა. შ.

გაზ. „დროება“ გარკვევით აყენებდა კითხვას: „შესაძლებელია ჩვენში უნივერსიტეტის გახსნა, თუ არა? თუ კივეში,

<sup>1</sup> „დროება“, 1871 წ., № 26.



ყაზანში, ხარკოვში, ოდესაში შესაძლებელი იყო, თბილისში რატომ არ შეიძლებოდა?"

- იქნება ზოგიერთებმა სთქვან, - განაგრძობს გახეთი, - რომ სხვა უნივერსიტეტშიაც ნაკლებათ არიან პროფესორები, თორემ ჩვენსაში ვინლა მოყოა? იქნება ისიც სთქვან, რომ მოსწავლეები ნაკლებათ იქნებიანო?"

ამ მოსაზრებათა წინააღმდეგ სტატია მიუთითებს საქართველოს ბუნებრივ პირობებზე და დაასკვნის, რომ საქართველო თავისი ხელუხლებელი (ე. ი. მეცნიერულად შეუსწავლელი.) ბუნებრივი სიმდიდრით (მადნეულობა, მცენარეულობა და სხვ.) და მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებით ყოველთვის მიიზიდავს აქ სამუშაოდ პროფესორ-მეცნიერებს: ლინგვისტებს, ბუნებისმეტყველებსა და მათემატიკოსებსაც-კი.

მოსწავლეთა კონტინენტის მხრივ სტატია მიუთითებს თბილისისა და ქუთაისის სასწავლებლების კურსდამთავრებულებზე, აღნიშნავს, რომ საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის არ არსებობის გამო მხოლოდ ქუთაისიდან ამ წელს (1871) 25 ახალგაზრდა აპირებს გამგზავრებას რუსეთისა და უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. გაზეთს გამოყავს საერთო რიცხვი, რომელიც შეიძლება ყოველწლიურად იქნას მიღებული უნივერსიტეტში, თუ ასეთი თბილისში გაიხსნება. მისი გამოანგარიშებით, თბილისის უნივერსიტეტს ყოველწლიურად შეეძლო მიეღო ასიდან ასორმოცდაათამდის უმაღლესი განათლების მსურველი.<sup>1</sup>

აპრიგად, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე მთელი სიმწვავეით იდგა საკითხი თბილისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ძირშივე სპობდა ნაციონალური უმაღლესი განათლების ორგანიზაციის ყოველგვარ ცდას და საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთა (ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ს. მესხი, ალ. ყაზბეგი და სხვა.) ყოველი ცდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისა უშედეგოდ რჩებოდა.

<sup>1</sup> „დროება“, 1871 წ., № 25.

უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ერთერთ სახედ უნდა ჩაითვალოს ის დღესასწაულები, რომლებიც თითქმის ჩვეულებად იქცა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მოსკოვის, პეტერბურგისა და კიევის უნივერსიტეტების დღესასწაულები საპატიო გამოხმაურებას პოულობდნენ ქართულ სინამდვილეში, ეს დღესასწაულები ყოველთვის დაკავშირებული იყო ქართულ სინამდვილესთან, ისინი ყოველთვის ერთ მიზანს ემსახურებოდნენ—ეს იყო პროპაგანდა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის, ფართო საზოგადოებრივი აზრის შემუშავებისათვის უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე.

ჯერ კიდევ 1869 წლის თებერვალში თბილისში გადახდილ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლისთავის დღესასწაული<sup>1</sup>.

1878 წ. თბილისში გადახდილ იქნა აგრეთვე სადილი მოსკოვისა და სხვა უნივერსიტეტების ყოფილი სტუდენტების მიერ; ამის შესახებ გაზ. „დროება“ წინასწარ იტყობინებდა: „ჩვენ გვითხრეს, რომ ამ იანვრის 12-ს ზოგიერთი სტუდენტები მოსკოვისა და სხვა უნივერსიტეტისა აპირებენ მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების დღესასწაულობას. ამ დღეს ერთს რომელსაჲე თბილისის სასტუმროში სადილი იქნება გამართული და თუ ვისმე ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება ჰსურს, შეუძლიან სამეურნეო საზოგადოებაში ჩაეწეროს და ხვედრ ფულსაც იქ წარადგენსო“<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტების დღესასწაულები უმთავრესად ეიწრო წრეში ტარდებოდა და ზოგჯერ გართობის სახესაც იღებდა, ხშირად მეტისმეტად სასარგებლო შედეგებით მთავრდებოდა: არა იშვიათად აქ აგროვებდნენ შემოწირულებებს ამა თუ იმ სასწავლებლის ან მოსწავლის სასარგებლოდ და სხვა.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქუთაისში ჩატარებული ერთი ასეთი დღესასწაული.

<sup>1</sup> „Кавказ“, 1869 წ., № 21-22.

<sup>2</sup> „დროება“, 1878 წ., № 1.

1877 წლის ნოემბერს ქუთაისში გადახდილ იქნა კიევის უნივერსიტეტის დაარსების დღესასწაული.

ზეიმში, სხვათა შორის, მონაწილეობა მიუღია კიევის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ექიმ კარპოვიჩს, რომელიც 80-იან წლებში თბილისში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა და ამ დღეს შემთხვევით ქუთაისში მოხვდა.

კიევის უნივერსიტეტის სადღესასწაულო ზეიმის დროს წამოქრილა საკითხი იმის შესახებ, რომ უნდა ჩამოყალიბებულიყო საზოგადოება, რომელიც დაზმარებას გაუწევდა ქუთაისის სასწავლებლებში მოსწავლე ღარიბ ახალგაზრდობას.

იმავე ზეიმზე შეუგროვებიათ თანხები დაზმარებისათვის და აურჩევიათ კომისია. რომელსაც უნდა შეედგინა წესდება და ჩამოყალიბებინა ღარიბ მოსწავლეთა დამზარე საზოგადოება.

1877 წლის საუნივერსიტეტო დღესასწაულმა თავისი საყურადღებო შედეგებით გამოხმაურება პოვა იმ დროის ქართულ პრესაში. გარდა იმისა, რომ იგი აღნიშნა გაზ. „დროება“<sup>1</sup>, ამ შეკრებას განსაკუთრებით გულთბილად შეხვდა ილია ჭავჭავაძის „ივერია“.

დღესასწაულის სისრულით წარმოდგენისათვის აუცილებელი მასალაა „ივერიის“ ერთი კორესპონდენცია, რომელიც ამ შეკრებას ეხება. კორესპონდენცია მით უფრო საინტერესოა, რომ მას აშკარად ამჩნევია, როგორც რედაქტორის, ილია ჭავჭავაძის ხელი და აქაც პირდაპირ მოჩანს მისი დამოკიდებულება და მზრუნველობა ქართულ სკოლებზე XIX საუკუნის 80-იან წლებში.

„მოგეხსენებათ, - წერდა „ივერია“, - რომ სტუდენტებს ჩვეულებად აქვთ იდღესასწაულონ დაარსების დღე იმ უნივერსიტეტისა, სადაც გაუტარებიათ „თავისი სიცოცხლის უკეთესნი დღენი“-როგორც ამბობს ერთი გამოჩენილი რუსი მწერალი. ცხრას ნოემბერს რამდენიმე სტუდენტმა კიევის უნივერსიტეტისამ აქ, ქუთაისში, ისწრვეს ამ უნივერსიტეტის დაფუძნებას დღის დღესასწაულება. მათ მიემხრნენ სხვა უნივერსიტეტის ზოგიერთნი სტუდენტიცა და ამნაირად შეიყარნენ სადილად

<sup>1</sup> „დროება“ 1877 წ. № 196.

25 კაცი. მათ შორის იყო თბილისელი დოქტორი უფ. კარპოვიჩი, რომელიც იმ ეპოქაში მგზავრად იმყოფებოდა ქუთაისში და შეეტყო თუ არა რის თაობაზედაც შეყრილიყვნენ სტუდენტები სადილად „ლივადიის“ სასტუმროში და რადგანაც თვით პირველი სტუდენტი ყოფილა კიევის უნივერსიტეტის დაფუძნების დროს, გულმა ველარ მოუთმინა თურმე და მიიბრინა, რომ აადილს დასწრებოდა. ყველას იაქა ამ მოხუცებულის მოსვლა და ის სტუდენტების „ვეტერანი“ ამოიჩინეს ნადიმის თავმჯდომარედ. წარმოითქვა რამდენიმე მხურვალე სიტყვა სტუდენტების მნიშვნელობაზე, განგვიახლდა მახსოვრებ ამ მშვენიერის დროებისა, როდესაც კაცი ისე უანგაროდ, ისე თავდაუზოგავად გატაცებულია საზოგადო სიკეთისათვის, და ხშირად მშვიერ-მწყურვალე, გაქირვებული და შევიწროვებული იბრძვის სწავლის შეძენისათვის. ვიგალობეთ საზოგადო სტუდენტობის ლექსი „gaudeamus igitur“ და მართლაც „მოხუცი ალორძინდენ და კაბუჯნი კისკასობდნენ.“

„აქვე ზოგიერთმა წარბოხტქვა, რომ კარგი იქნებოდაო, ჩვენ სტუდენტებმა შევადვინოთ საზოგადოებაო ლარიბ მოსწავლეეთა შეწვევისათვის ქუთაისის გიმნაზიაში და პროგიმნაზიაშიო. მათ გამოსახეს ის გაქირვებული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება უფრო ბევრი ნაწილი მოსწავლეეთა, აღიარეს, რომ მშვენიერის ნიჭის და გულისყურის პატრონები არიანო, მაგრამ ულაჯობით ვერას ხდებიანო. „ნუ დაევიწყებთო, განმარტა ერთმა, რომ გიმნაზია უმზადებს უნივერსიტეტს სტუდენტებსაო, იგია მისი სათავე და საფუძველიო. სხვათა შორის წარმოსთქვეს პაზრი, რომ ამ საზოგადოების მეოხებით უნდა აღიზარდნენო ყველა ლარიბი, რა ტომის, შტამამაჯლობისა და სარწმუნებისაც უნდა იყვნენო. ეს პაზრი ყველამ მოიწონა და იქვე ამოიჩინეს ხუთი კაცი, რომელთაც მიანდეს ამ საგანზედ წესდების შედგენა, წარდგენა მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად და წევრთა მოწვევა ამ საზოგადოების შესადგენად. აქვე მოგროვდა ათ თუმნამდე შესადგენათ თავნისა ამ საქმისათვის. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამორჩეულთ პირთ დაუწყებიათ კიდევ წესდების შედგენა და იწვევენ ყველა თანამგრძობელს წევრად ამ მართლა და საკეთილო საზოგადოებისათვის. ამას-

თანავე შევიტყუეთ, რო ამ მოკლე ხანში კონცერტი და ცხოველი სურაოები იქნება გამართული ამ საქმის სასარგებლოდ, ვიმედოვნებთ, რომ ამ ქველურ საქმეში მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას (რასაკვირველია, თვითვე თავის შეძლებისდაგვარად) ჩვენი ნასწავლი ახალგაზრდობა, ჩვენა თავად-აზნა ურობა, სამღვდელოება და ვაქარი ხალხიცა. მოვიხსენიოთ, თუ რამდენი მშენებელი ნიქი იკარგება ღონისძიების უქონლობის გამო, რამდენი ნიქიანი ყმაწვილი იძულებულია თავი დაანებოს სწავლას და შესამე თუ მეოთხე კლასიდან გამოვიდეს, მოვიხსენიოთ, რომ რუსეთის ყველა გუბერნიის და თვითქმის უზღდის ქალაქებშიაც გამართულია ამნაირი საზოგადოება და რა ცუდი იქნება, რომ ჩვენშიაც თავი გამოვიდოთ და ამ საკითლო საქმეში სხვას უკან არ ჩამოვრჩეთ. თუ გვინდა, რომ ჩვენი ხალხი ხალხობდეს, დროა შევხედოთ რას შერება ყველა განათლებული ხალხი თავის შვილთა აღსაზრდელად, როგორ უწყობენ მათ ყოველნაირად ხელს და ამით გზას იხსნიან კარგი და ბედნიერი შომაგლისათვის. თუ ჩვენ ვკსურს საზოგადოების სახელი ვიქონიოთ, დროა გულშტკივნეულად დაუკვირდეთ ჩვენის სასწავლებლის და მოსწავლის ბედს და უბედურობას<sup>1</sup>.

ასე წერდა „ივერია“ ქუთაისში ჩატარებული კიევის უნივერსიტეტის დღესასწაულისა და ახალი საზოგადოების დაარსებისათვის საფუძვლის ჩაყრის შესახებ.

საზოგადოების დაარსებისათვის მუშაობა საქმაო პასუხისმგებლობით გაშლილა, რის შედეგად 1878 წლის მაისის 20-ს ქუთაისის მთავარ სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებულ იქნა მისი წესდება „ქუთაისის სასწავლებლების გაკირვებულ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების“ სახელწოდებით<sup>2</sup>.

თავის მხრივ ეს საზოგადოებაც წარმოადგენს ერთგვარ წრეს, რომელიც მოსწავლეებისათვის დანმარების აღმოჩენის საქმეში იყენებს მთელ რიგ საზოგადოებრივი დანმარების ფორ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1877 წ., № 38, გვ. 2-3.

<sup>2</sup> „დროება“, 1878 წ. № 234—235 „წესდება ქუთაისის სასწავლებლების გაკირვებულ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოებისა“.

მებს. იგი დახმარებისათვის, მატერიალური ბაზის შესაქმნელ საშუალებათა შორის, კარბად იყენებს წარმოდგენებს, სალამო-კონცერტებს და სხვა მსგავს საშუალებებს. ამ საზოგადოების წესდების მე-2 პარაგრაფი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ მისი შემოსავალი შემდეგი წყაროებისაგან შედგება:

- ა) „წევრების ყოველწლიურ შემოტანილ ფულიდან.
- ბ) „შემოწირულ ფულიდან.

გ) „ბალებისა, კონცერტებისა და წარმოდგენების შემოსავლიდან, რომელსაც გამართავს საზოგადოება და სხვა კანონიერ საშუალებიდან“.

ეს საზოგადოება, სცენისმოყვარეთა წრესთან ერთად, დიდხანს ეხმარებოდა ქუთაისის სასწავლებლებსა და მოსწავლეებს. 1880 წ. გაზ. „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „ამ საზოგადოებამ რამოდენიმე მასკარადები გაართა, რამოდენიმე სპექტაკლი, რამოდენიმე სკირნობა და სხვანი და სხვანი.“

ეს ფულებიც კარგათ მოიხმარა. ბევრს შეეწია ღარიბ ყმაწვილებს, ზოგს სწავლისთვის გიმნაზიებში და სასწავლებლებში გადასახადი ფულები მისცა, ბევრს ტანთსაცმელი შეუკეთა, ბევრს წიგნები მისცა და სხვ. -.

„ქუთაისის სასწავლებლების გაკვირვებულ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოება“ მთელი თავისი საქმიანობით ემსახურებოდა იმავე მიზნებს, რასაც XIX საუკუნის 80-იანი წლების ლიტერატურული წრეები—შეკრებები და შინაური სალამო-წარმოდგენები

ასეთია საქართველოში კიევის უნივერსიტეტის ერთი დღესასწაულის შედეგები:

## მუდმივი ქართული დასის მოგზაურობა.

XIX საუკუნის 50-იანი წლების თეატრის დახურვა ქართული კულტურის უდიდესი დანაკლისი იყო და იგი სამართლიანად აღელვებდა ნაციონალური კულტურის ყველა გულშემატკივარს.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული შინაური წარმოდგენები, რომელთა რიცხვი უეჭველად მეტია, ვიდრე აქ მოტანილი, საბოლოოდ მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა—ეს იყო ოფიციალური სცენიდან განდევნილი ქართული თეატრის გადარჩენა. 70-იანი წლების დამდეგს შექმნილ „არტისტულ წრეს“ თავისი მოქმედების დღეიდან 50-იანი წლების ქართული თეატრის აღდგენა ჰქონდა. ამავე წლებში ს. მესხი თავის სტატიაში „თბილისის დროის გასატარებელი ადგილები და ქართული თეატრი“ პირდაპირ აყენებდა საკითხს მუდმივი ქართული დასის შექმნის შესახებ.

ს. მესხის ეს მოთხოვნა პასუხი იყო იმ დროის მთელი ქართველ მოწინავე ინტელიგენციის ცულისტქმისა. იგივე აზრი არა ერთგზის გამოთქმულა მთელი ათეული წლების მანძილზე ქართულ პრესაში. ამიტომაც იყო, რომ „დროების“ ერთერთი კორესპონდენტი ნაღვლიანად წერდა: „ქართული სამუდამო ტრუპა. საცოდავი ფრაზა, ვის აპირში არ გამოთქმულა ეს სამი სიტყვა და ვის არ უნატურია, რომ ამ სამი სიტყვის მნიშვნელობა ნამდვილად აღსრულდებოდა“.

მც-იანი წლებშიათვის მუდმივი ქართული დასისა და სცენის იდეა უკვე მომწიფებულია. ამ დროს თბილისში ქართული სცენის მოაჯარეთა ძლიერი წრე მოქმედებს (კოტე ყიფიანი, ზაალ მაჩაბელი, გ. თუმანიშვილი, ნიკო ავალიშვილი, ნ. შინიანიშვილი, ა. ცაგარელი და სხვ.), ქართულ სცენას გავლელი აქვს ის პე-

რიოდი, როდესაც იგი განსაკუთრებით განიცდიდა ქალთა კადრის ნაკლებობას. ამ დროს სცენაზე მოღვაწეობენ მაკო საჯაროვი, პარიამ ყიფიანი, ნატო გაბუნია, ბარბარე კორინთელი და სხვები.

ამევე წლებში დინ. ყიფიანის, ი. ქაეჭავაძის და სხვათა თაოსნობით ყალიბდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც თავის მხრივ საკმაო წილი უღელს ქართული თეატრის განვითარების საქმეშიაც და სხვა.

ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარება პირდაპირ უკარნახებდა ქართული თეატრის შექმნას.

1878 წ. უკვე პრაქტიკულად იწყება საქმიანობა მუდმივი ქართული თეატრის შექმნისათვის. ყალიბდება კომიტეტი, დირიჟორი ყიფიანის, გ. თუმანიშვილის, ნ. ავალიშვილისა და სხვათა შემადგენლობით, რომელსაც დაველებული აქვს შეადგინოს „ქართული დრამატული საზოგადოების“ წესდება და ხარჯთაღრიცხვა თეატრისა და დასისათვის.

მუდმივი დასის შექმნას წინ ელობებოდა მთელი რიგი სიძნელეები. თვითმპყრობელური რუსეთის მოხელეები ყოველმხრივ აბრკოლებდნენ მუდმივი ქართული სცენის შექმნის საქმეს. დამახასიათებელია სერგი მესხის სტატია 1879 წ., სადაც აეტორი პირდაპირ ამხელს ოფიციალური ხელისუფლების დამოკიდებულებას ქართული თეატრისადმი. „...ფულით შემწევობას ჩვენ არ ვთხოვლობთ მთავრობისაგან,—წერს ს. მესხი,—ჩვენთვის ისიც საკმაო იქნება, იმისათვისაც მადლობელი ვიქნებით, მთავრობა რომ მოახდენდეს განკარგულებას, რომ თეატრის ზალის ქირა არ გარდაგვახდევინონ“.

„მოგეხსენებათ,—განაგრძობს ს. მესხი,—რომ ჩვენი საგაზაფხულო თეატრი, თავის გარდერობით, დეკორაციებით და სხვა ყოველგვარ მოწყობილობით, მუქთად აქვს მიცემული უფ. პალმს იმ დრომდინ, სანამ ახალი დიდი თეატრი არ აშენდება თბილისში. უფ. პალმი კარგად სარგებლობს ამით, ამბობენ, თვეში რამდენიმე ათასი მანეთი წმინდა მოკება რჩებაო.“



თიროველ სალამოს თეატრის ზალისათვის ქართულ და სომხურ ტრუპპას ის 200 მანეთს ახდევინებსო<sup>1</sup>.

ასეთი იყო ქართული წარმოდგენების მდგომარეობა 80-იან წლებში, ამ სიძნელეებთან ბრძოლაში იკაფავდა იგი გზას წლების მანძილზე, ხოლო 1879 წლის გაზაფხულიდან, მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, მუდმივი ქართული დასი ჩამოყალიბებულად ითვლება.

80-იანი წლების მუდმივ ქართულ დასში დაარსების დღიდან შესულან: კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ზაალ მაჩაბელი, ნიკო შიშნიაშვილი, ნოდარ ჯორჯაძე, ადამ ჩუბინაშვილი, მაკო საფაროვი, მარიამ ყიფიანი, ბარბარე კორინთელი, ნატო გაბუნია და სხვ.<sup>2</sup>

მუდმივი ქართული დასის შექმნას განსაკუთრებით გულთბილად შეხვდა ი. ჭავჭავაძის „ივერია“. „ივერიას“ ქართული თეატრი მიაჩნდა ისეთი მნიშვნელობის საზოგადო საქმედ, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუპართოს.

„...ამ ბოლო დროს დაეწყო ქართული თეატრის საქმეცა,— წერდა „ივერია“.—აი კიდევ ერთი საზოგადო საქმე, რომელსაც დიდის სიფრთხილით მოქცევა უნდა. ლეერთმა ეს ახლად შობილი საქმე მაინც ააშოროს იმ მტრობასა და შურს, რომელიც ბანკების საქმეს შეუდგა ჩვენში. ჩვენ წინადაც გავთქვამს და ესლაც ვამბობთ რომ თეატრს დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუპართოს. სახელი და დიდება თბილისის ბანკის კრებას, რომ ქართული თეატრი საზოგადო საქმეცა და სამასი თუმანი ფული შესწირა“<sup>3</sup>.

ასე აფასებდა მუდმივი დასის დაარსებას ილია ჭავჭავაძე. დასმა ჩამოყალიბების დღიდანვე მეტად ნაყოფიერი მუშაობა გაშალა, 1879 წ. 1-ლ სექტემბრიდან 1880 წ. 1 მარტამ-

<sup>1</sup> „დროება“, 1879 წ., № 261.

<sup>2</sup> აქვ. ცაგარელი—„კომედიები“, ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. 360.

<sup>3</sup> „ივერია“, 1879 წ. № 4 გვ. 159—160.

დის გამართა 27 წარმოდგენა. ამ წარმოდგენებზე დადგმულა 38 ორიგინალური და თარგმნილი პიესა— „გაყრა“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, „მე მინდა კნეინა გავხდე“, „პეპო“, „ხათაბალა“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, „ქმრები გავებით მახეში“, „ცოლი ოუ გინდა ეს არი“; „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „კინტო“, ბუტიობა“ და სხვა. <sup>1</sup>

1879 წლის იენისისა და იელისის თეატრებში ახლად ორგანიზებულმა მუდმივმა ქართულმა დასმა ფრიად მნიშვნელოვანი მოგზაურობა ჩაატარა. დასმა გამართა ქართული წარმოდგენები მთელ რიგ ადგილებში (გორი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი, აბასთუმანი და ახალციხე).

ეს მოგზაურობა თავისი დროისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა იყო. იგი, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა ჩვენს პროვინციებში ფართო ხასიათის ქართული წარმოდგენების ტრადიციის დანერგვას, ხოლო, მეორის მხრივ, მოგზაურობას ჰქონდა მაორგანიზებელი მნიშვნელობა. თვით მუდმივი დასისათვისაც, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა. ის საყოველთაო სიყვარული და თანაგრძნობა, რომლითაც იგი იყო გარშემორტყმული ყველგან, სადაც კი ჩავიდოდა, არ შეიძლება არ გამხდარიყო ერთერთ ძლიერ სტიმულად მუდმივი დასის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის.

ქართული დასის ჩასვლა ჩვენს პროვინციულ ქალაქებში ერთგვარი დღესასწაულის ხასიათს იღებდა. დამახასიათებლად შეიძლება მიჩნეულ იქნას ის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა, რომლითაც გორის საზოგადოებრიობა შეხვდა მოგზაურ დასს. აი როგორ აგონდება ეს შეხვედრა ცნობილ დრამატურგს აქვსენტი ცაგარელს:

„ესეც მივედით გორში, — წერს აქვ. ცაგარელი, — გაჩერდა მატარებელი, გადმოვხტით სადგურზედ, მაგრამ ძნელია იმ ენტუზიზმის, იმ უსაზღვრო აღტაცების გამოთქმა, როგორც ჩვენ გორის საზოგადოება დაგვიხვდა. სახალხო მატარებლის მისვლის დროს ხომ ყველა სადგური ხალხით ივსება, აქ სხვებს

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილი— „როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა“, 1880 წ.

ჩენი დამხვედრნიც მიმატებოდნენ და სხვა ცნობის მოყვარენი. ამგვარად სადგური წარმოადგენდა ხალხის ზღვას, რომელიც ჩვენს დანახვაზე აღელდა, შეირყა და „ვაშას“ ძახილით მოგვეგება<sup>1</sup>

გორში მომხდარი შეხვედრის ეს სურათი საერთოა თითქმის ყველა იმ ადგილისათვის, სადაც კი მოგზაური დასი ჩავიდა. დასის მიერ გატარებული დღეები ჩვენს ქალაქებში (გორი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და სხვ.), აქვ. ცაგარლის მიერ გულთბილად დაწერილი მოგონებების მიხედვით, როდენავე, ქართული კულტურის გულშემატკივარი ადამიანებისათვის იყვნენ დღეები განუსაზღვრელი სიხარულისა და აღმაფრენისა. დასი ყველგან გარშემორტყმული იყო საზოგადოებრივი ყურადღებითა და თანაგრძნობით.

მოგზაურ დასში შედიოდნენ: მაკო საფაროვი, მაშო ყიფიანი, ბაბო კორინთელი, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, აქესენტი ცაგარელი, ზაალ მაჩაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, ადამ ჩუბინაშვილი და სხვ.

დასმა მოგზაურობა დაიწყო 1879 წლის 23 ივნისიდან. ამ დღეს დილით გავიდა თბილისიდან და ამავე დღეს იყო იგი გორში.

გორში პირველი წარმოდგენა ჩატარდა ივნისის 24-ს, წარმოდგენილ იქნა „აყალპაყალი ცოლ-ქმარს შუა“, „ბნელ ოთახში“ და „სხვა რიგი სიყვარული“. წარმოდგენა დიდის წარმატებით ჩატარდა და დამსწრეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ წარმოდგენის შესახებ გაზეთი „დროება“ კმაყოფილებით აღნიშნავდა: „ჩვენ გვითხრეს, რომ ჩვენი „მოგზაური ტრუპა“, რომელსაც გასულ კვირას და გუშინ, სამშაბათს, გორში ჰქონდა დანიშნული წარმოდგენა, გორის საზოგადოებას დიდის პატივისცემითა და თანაგრძნობით მიუღია. კვირანდელი წარმოდგენა ძალიან კარგად წასულა, და რადგან ხარჯი თითქმის სრულიად არა ჰქონიათ რა, მოთამაშეებს ოც თუმანადის დარჩენიათ. უფ. აღ. თუთაევსა და „კრუეოკის“ სტარშინებს უმადლიან ხელის შეწყობისათვის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აქვ. ცაგარელი—„კომედოები“, ი. ვრიშაშვილის რედაქციით, 1936 წ. გვ. 363.

<sup>2</sup> „დროება“, 1879 წ., № 134.

მეორე წარმოდგენა ჩატარდა 1879 წ. ივნისის 26-ს, დადგმული იყო გ. სუნდუკიანცის „პეპო“. პირველი წარმოდგენის წარმატებით ჩატარებამ მეორე წარმოდგენას კიდევ მეტი მაცურებელი გაუჩინა. „პეპომ“ წარმტაცი შთაბეჭდილება მოახდინა მაცურებლებზე. რეცენზენტის სიტყვით, „ბევრი ზიმზიმოვების სინილისი დაიწვა“.

ჩატარებული წარმოდგენები გორის საზოგადოებრიობამ გულთბილად მიიღო. დამსწრეთა ეს კმაყოფილება გამოხატულია „დროების“ ერთერთ რეცენზიაში, სადაც განხილულია ეს წარმოდგენები.

მეორე წარმოდგენის შესახებ რეცენზენტი „ერთი მაცურებელთაგანი“<sup>1</sup> წერდა: „წარმოდგენეს „პეპო“, სუნდუკიანცის კომედია. ამის წარმოდგენაზედ ხალხი ქარგა ბლომად წავიდა. უფრო ბევრი მოვიდრდა ხალხი, მაგრამ საშინელმა თქემმა და ნიაღვარმა დაუშალა. საშინელი აღბეჭდილება იქონია ხალხზე, ე. ი. გორის საზოგადოებაზე, ამ პიესამ. პეპოს სიტყვები ბევრს მოხვდა, ბევრი ზიმზიმოვების სინილისი დაიწვა. ჩემის ურით გავიგონე ერთი გორელი ზიმზიმოვის საყვედური პიესის უხეირობაზე.“<sup>2</sup>

ასეთი იყო მოგზაური დასის მიერ გორში ჩატარებული წარმოდგენები.

გორიდან დასი ქუთაისს გაემგზავრა. აქაც იგივე გულთბილი და მეგობრული შეხვედრა და სხვ. ქუთაისში პირველი წარმოდგენა გაძართულ იქნა 1879 წ. ივნისის 29-ს და დაიდგა „პეპო“ და „სხვა რიგი სიყვარული“.

„ქუთაისის ჯერ არ უნახავს ქართული ტრუჰჰა და ასე დაწყობილი წარმოდგენა-ქართული. მოთამაშეებს ეტყობათ, რომ ცდილობენ, გულით ჰკიდებენ ხელს თავის საქმეს; ეტყობათ, რომ რეჟისორს უგონებენ“—წერდა ამ წარმოდგენის შესახებ „ქუთაისელი“. რეცენზენტი, აფასებს რა ქართული დასის შექმნისა და ამ მოგზაურობის დიდ მნიშვნელობას, პირდაპირ მიმართავს მის მონაწილეებს: „ლპერთმა კეთილი ქნას,

<sup>1</sup> „ერთი მაცურებელთაგანი“ შეიძლება იყოს ს. მგალობლიშვილი.

<sup>2</sup> „დროება“, 1879 წ., № 137.

ძვირფასო სტუმრებო, ამ ჩვენს ქალაქში თქვენი მოზრდანება! ვისურვებ ავესრულებინათ ის დიდი სამსახური, რომელიც შეუძლია ახლა გაუწიოს სცენამ ქართულს ენას და ქართულ საზოგადოებას <sup>1</sup>

მეორე წარმოდგენაზე, რომელიც განსაკუთრებით მოეწონა მაყურებელთ, დადგმულ იქნა ვოდვილები „აყალმაყალი ცოლქმარს შუა“ და „ბნელ ოთახში“. რეცენზენტის დამოწმებით „დღევანდელი წარმოდგენა თბილისის ქართული ტრუპისა კიდევ უკეთესი იყო“.

მეორე წარმოდგენასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ერთ მომენტს. ამ საღამოსათვის აუიშაში ყოფილა და უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო ილია ჭავჭავაძის პიესა „გლებთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, მაგრამ საღამოზე იგი აღარ წარმოუდგენიათ და ხარვეზი პ. უმიკაშვილისა და აქვ. ცაგარლის სცენებით ამოუვსიათ.

საფიქრებელია, რომ ილია ჭავჭავაძის „სცენები“ შემთხვევით არ ყოფილა ამოღებული პროგრამიდან, ეს უნდა მომხდარიყო ცენზურის ზემოქმედებით მოგზაურებზე. მართლაც, სულ რაღაც ხუთი თვის შემდეგ ქუთაისის პროგიმნაზიაში (და ექვი არ არის, რომ აგრეთვე სხვა სასწავლებლებში), შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, აკრძალულ იქნა ილია ჭავჭავაძის „კაცია-აღამიანისა“ და „გლახის ნაამბობის“ კითხვა.

აი რა საინტერესო ცნობას იძლევა ამის შესახებ გაზ. „დროება“: „ქუთაისიდან გვწერენ, რომ იქაურ პროგიმნაზიის ინსპექტორს უფ. იუდინს აუკრძალავს მეოთხე კლასის შაგიოდებისათვის გარდა „დედა ენისა“, „საყმაწვილო კონისა“ და „ბუნების კარისა“, ქართულს ენაზე სხვა რომელიმე წიგნის კითხვა. ქართული ენის მასწავლებლისათვის უთქვამს უფ. ქუთაისელ პედაგოგს, თუ შევიტყუო, რომ „ვეფხისტყაოსანი“, ან „გლახის ნაამბობი“, ან „კაცია-აღამიანი“ მივიტყუო ყსაწვილებისათვის საკითხავად, უსათუოდ პასუხის გებაში მიგცემო“. <sup>2</sup>

<sup>1</sup> „დროება“, 1879 წ., № 138

<sup>2</sup> „დროება“, 1879 წ., № 249.

მოყვანალი ამონაწერი საფუძველს გვაძლევს დაეასკვნათ, რომ ივლისის საღამოს პროგრამიდან ილია ქავეკაეაძის - გლებ-თა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები მოხსნილ იქნა ცენზურის მიერ, მაგრამ „სცენების“ მოხსნამ, როგორც ჩანს, ვერ შეამცირა ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელსაც მოგზაური დასი ახდენდა. „დროების“ რეცენზენტი პირდაპირ წერს: სხვები ისე მშვენივრად, წარმოადგინეს, რომ უკეთესი აღარ შეიძლება“.

მესამე წარმოდგენა ქუთაისში მოეწყო ივლისის 4-ს, წარმოდგენილ იქნა ვოდევილები „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“, „მოტია“ და „ცელქები“. როგორც ჩანს, ეს წარმოდგენა ვერ ჩატარებულა ისე კარგად, როგორც პირველი ორი. „დროება“ პირდაპირ წერდა: „რამდენადაც პირველი და განსაკუთრებით მეორე წარმოდგენა წასულა კარგად, იმდენად ეს მესამე წარმოდგენა გაუფუჭებიათ“, <sup>1</sup> მაგრამ საფიქრებელია, რომ 4 ივლისს წარმოდგენის ეს შეფასება დაუმსახურებელი იყო, „დროებას“ ასეთი განცხადებისათვის საფუძველად უნდა ჰქონოდა ერთერთი რეცენზია, რომელიც დაბეჭდილია იმავე „დროების“ ფურცლებზე.

რეცენზენტის (მაყურებელი) რეცენზიიდან აშკარად ჩანს, რომ ავტორი წევრია ქუთაისის ქართული სცენის მოყვარეთა წრისა. იგი თითქოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკმაყოფილოც კი არის იმით, რომ თბილისის ქართული დასი უსაზღვრო წარმარებით სარგებლობს ქუთაისელ მაყურებელთა შორის. ეს კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ ავტორს პირველი ორი წარმოდგენის რეცენზიისა (ქუთაისელი) თბილისის დასის მიერ დადგმული წარმოდგენების მაღალ მხატვრული ღირსების ცხადყოფის მიზნით ერთგვარი შედარებისათვის მოჰყავდა ადგილობრივი (ქუთაისის) სცენის მოყვარეთა წრის მიერ გამართული წარმოდგენების შედარებით დაბალი მხატვრული დონე.

4 ივლისის წარმოდგენის რეცენზენტი ცდილობს ერთგვარი ჩრდილი მიაყენოს თბილისის ქართული დასის მოღვაწეობას

<sup>1</sup> „დროება“, 1879 წ., № 142.

ქუთაისში. იგი თავის რეცენზიას ასეთი არასერიოზული და არაგულწრფელი სიტყვებით ამთავრებს: „გათავების დროს, როცა გადაეხიდე აუარებელ ხალხს, ჩემ-უნებურად მომადგა ტუჩებზე ანდაზა: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“<sup>1</sup>. საეკეო არ არის, რომ აქ „შინაურ მღვდელში“ ნაგულისხმევია ქუთაისის ქართული სცენის მოყვარეთა წრე, რომელსაც თბილისის ხალად ორგანიზებულ მუდმივ დასთან შედარებით „შენდობა“ არა ჰქონია.

ფიქრობთ, ამ გაუგებრობაზე იყო აღმოცენებული ის შკაცრი შეფასება „დროებისაგან“, რომელიც ზემოდ იყო დასახელებული.

მოგზაური დასის მიერ ქუთაისში გატარებულ დღეებიდან ყურადღებას იქცევს აგოეთვე ერთი ნაღიმი, რომელიც სტუმრების პატივსაცემად იქნა მოწყობილი. აი რა სანტიერგო ცნობას იძლევა აქვ. ცაგარელი ამ ნაღიმის ორგანიზაციის შესახებ: „წამოსვლის წინა დღეს<sup>2</sup> ქუთაისის ინტელიგენციამ დიდებული ნაღიმი გაგვიკეთა. ამ დღეს იოსელიანის ბაღში მოიყარეს თავი დიდებულსა და ათასფერად შემკულს სუფრაზე მოცინარ-მომღიმარ ქალთა და კაცთა, ჩვენ ყველანი ერთად მივედით და ეს ძვირფასი საზოგადოება აღტაცებითა და სამხედრო მუსიკის დაკვრით დაგვხვდა კარებშივე. ნიგვიწვიეს და გაიმართა ნაღიმი ტკბილი, სასიამო, მზიარული და აღტაცებული. ასზე მეტი ქალი და კაცი ბრძანდებოდნენ ჩვენი ნასპინძლები, და ეს დიდებული მეჯლისი განუწყვეტლივ მარტოოდენ ჩვენდამი მადლობის გამოხატვის და ჩვენი ნაკისრის საზოგადო საქმის სიდიადის გარკვევა-გამოთქმაში ატარებდა დროს. ითქვა ბევრი ღრმა და გულის აღმძვრელი სიტყვა. ყველა გამოსთქვამდა თავის აზრს გულწრფელად, სიყვარულით და სასოებით. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი ძვირფასი მოწინავე ქართველები, როგორც თ. კირილე ლორთქიფანიძე, ბ-ნი მოსე ქიქოძე, აწ განსვენებული ანტონ ლორთქიფანიძე და სხვა მრავალნი, მამული-შვილური გრძნობით გამსქვალულნი, თავიანთი

<sup>1</sup> „დროება“, 1879 წ., № 143.

<sup>2</sup> ე. ი. 5 ივლისს, რადგან დასი ქუთაისიდან 6 ივლისს დილით გამოვიდა. ა. მ.

უებრო „სიტყვებით“ ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენდნენ ყველა იქ დამსწრეებზედ, განსაკუთრებით ჩვენზედ, სტუმრებზედ<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, ნადიმზე არა ერთი გზით უნდა გამოთქმულიყო საერთო გულისნადები, რომელიც იმ ეპოქის მოწინავე ქართველ ინტელიგენციას აღელვებდა—ეს იყო ნაციონალური, ქართული თეატრის, საერთოდ ქართული კულტურისა, და ენის გადარჩენა, წინააღმდეგ იმ რეაქციისა, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა მიმართავდა იმ დროს. ამ ნადიმზე წარმოთქმული „მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალულნი“ და „ღრმა და გულის აღმძვრელი“ სიტყვების აღდგენა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში უდაოდ ერთი საგულისხმობ ფურცელი იქნებოდა.

ასეთია ქუთაისში მოგზაური დასის პატივსაცემად მოწყობილი ნადიმის ზოგადი ხასიათი.

მოგზაური დასი ქუთაისიდან ფოთს გადავიდა. აქაც მეორედება ის გულთბილი მიღება და მეგობრული დამოკიდებულება მოგზაურთაღმძი, რასაც ადგილი ჰქონდა გორსა და ქუთაისში<sup>2</sup>.

ფოთში, სასწავლებლის დარბაზში, მოგზაურ დასს ჩაუტარებია სულ სამი წარმოდგენა და ამათში ერთი თვით ფოთის სასწავლებლის სასარგებლოდ. გავეცნოთ მხოლოდ ერთ კორესპონდენციას, რომელიც მოვეცემს ზოგად წარმოდგენას მოგზაური დასის მიერ ფოთში გამართული ქართული წარმოდგენების შესახებ. აი რას წერდა ამის შესახებ რეცენზენტი (ფოთელი):

„თბილისის ქართული თეატრის ტრუპამ ჩვენს ფოთელებსაც გვადირსა თავისი წარმოდგენა. სულ სამჯერ წარმოადგინეს, ორჯელ თავიანთ სასარგებლოდ და მესამეთ—ფოთის სავაჟო სასწავლებლისათვის. ორს წარმოდგენაზე შემოვიდა ბი-

---

<sup>1</sup> აქვ. ცაგარელი—„კომედიები“, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1936 წ., გვ. 374—375.

<sup>2</sup> აქვ. ცაგარელს განსაკუთრებით ტკბილად აგონდება ჯაბა (იგივე ჯამბაკურ) გურიელის გულუხვი მასპინძლობა. ქვიფი ჯაბას კარზე-ბალებში და შებდეგ პალიასტომის ტბაზე ნაევებზე გამართული ფართო სუფრით.



ლეთების ფულა 400 მანეთაჲდის და სკოლის სასარგებლოდაჲც 200 მანეთამდის.

ფოთის საწოგადობეა იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ ხუთჯერ კიდევ რომ წარმოედგინათ, ჰაინც არ მოსწყინდებოდა და სასიხარულოთ და სასიამოვნოთ დარჩებოდათ<sup>1</sup>.

ქართულმა დასმა აქაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და აქედან მოგზაურნი გეგმით ბაჰუმს გაემგზაურნენ.

ბათუმისათვის ეს ის პერიოდი, როცა რუსეთ-ოსმალეთის ომი ახალს დამთავრებულა და ქართული საღამო-წარმოდგენები მხოლოდ ახლად იკიდებენ ფეხს. ამ წლის (1879) ივლისის თვეში პირველად დაიდგა ქართული წარმოდგენა ქეთევან ქურულის ინიციატივით. აი რას წერდა „ბათუმელი ქართველი“ ბათუმის თეატრისა და ამ ქართული წარმოდგენის შესახებ: „ბათუმში სკოლის გახსნის მიზნით, გავლილ კვირას, პატივცემულის ქეთევან ქურულის თავოსნობით, ქართული სცენის მოყვარებმა ანტონოვის თხუზულებიდან კომედია „ვანა ბიძიამ ცოლი შეირთო“ წარმოადგინეს. წარმოდგენა იყო გამართული სულ ახლად აშენებულ საზაფხულო თეატრში, სადაც არის სასტუმრო „არტაანი“<sup>2</sup>.

მოგზაურ ქართულ დასს ამ საზაფხულო თეატრში ჰქონდა წარმოდგენები. თეატრი სავსე იყო ხალხით. საჩუქრები ბევრი მოსდიოდა ჩვენს არტისტ ქალებსო, —წერს აქვ. ცაგარელი.

მოგზაური დასის პირველი წარმოდგენა ბათუმში უნდა ყოფილიყო 1879 წ. ივლისის 12-ს, „დროების“ რეცენზენტი (ბათუმელი) ივლისის 12-ს დაწერილ რეცენზიაში წერს, რომ „გუშინ ღამე პირველი წარმოდგენა იყო ქართული ტრუპისაგან „არტაანის“ სასტუმროს ბაღში ახლად გაკეთებულ სცენაზე“. ამ საღამოს წარმოედგენათ „ძალად ექიმი“ და „აყალმაყალი ცოლ-ქმარს შუა“. ბოლოს ქართული სიმღერებით გამოსულა ნატო გაბუნია, რომელსაც დამსწრეთა შორის უსაზღვრო აღფრთოვანება გამოუწვევია.

აი რას წერს რეცენზენტი ნ. გაბუნიას გამოსვლის შესახებ: „წარმოდგენილი ვოდევილებისაგან ბევრი სევდიან და

<sup>1</sup> „დროება“, 1879 წ., № 156.

<sup>2</sup> „დროება“, 1879 წ., № 144.

უბილავი ძალით დაბმულ გულეებზე გადაფარებული შავი ღრუბ-  
ლები გადასწმინდა უკანასკნელად ფარდის ახდამ და ნ. გაბუნიას  
ქალის ქართულ ტანისამოში დაიროს ჟღრიალით გამოჩენამ.  
თითქმის ყველას სახეზე აღმური იყო ანთებული და ყველა  
მოუთმენლად იყო მშვენიერი ხმის გასაგონლად; იმ წამს ბევრი  
იმას ნატრობდა, რომ ორი თვალის მაგიერ ათი თვალი ჰქო-  
ნოდა და ორი ყურის მაგიერ ოცი. უფრო... ოჰ, თუ რა ხმა იყო  
ის მშვენიერი ხმა, რომელმაც პირველისივე ამოშვებით ბევრის  
გონება უგრძობლად გაიტაცა „სუბუქ ფრთითა“, „ბრავეს“  
ძახილს და ტაშის კერას ყურები ჰქონდა წაღებულნი, იქამდე  
აიტაცნენ ზოგიერთები, რომ უკანასკნელი მადლობის თქმისა-  
თვის ადგილებიდან წამოხტნენ და სცენაზე მიიქრნენ<sup>1</sup>.

მეორე წარმოდგენა გაიმართა ივლისის 15-ს. პირველი წარ-  
მოდგენის წარმატებით ჩატარებამ ხელი შეუწყო მეორე წარ-  
მოდგენის დამსწრეთა რიცხვის გადიდებას. რეცენზენტი პირ-  
დაპირ წერს: „ხალხს ორი მიზეზი ჰქონდა, რომ პირველ წარ-  
მოდგენაზე უფრო მეტი დასწრებოდა, რადგანაც ერთი რომ კვი-  
რა იყო და მეორე რომ გაბუნიას ქალის მშვენიერმა ხმამ მთე-  
ლი ბათუმი აალაპარაკა, და სწორეთ ამ მიზეზითაც იყო, რომ  
მეორე და უკანასკნელ წარმოდგენაზე მეტი ხალხი დაესწრო.  
ქართულის „ინჩის“ უცოდინრებიც კი ლებულობდნენ ბილე-  
ტებს, რომ გაეგოთ, რა იყო ამისთანა მშვენიერი ხმა<sup>2</sup>.

წარმოდგენილ იქნა გ. სუნდუკიანცის „პეპო“ და ალ. პიკი-  
ნაძის ვოდევილი „მოტია“. ხოლო პროგრამის გარეშე ამლე-  
რეს ნატო გაბუნია.

წარმოდგენით ღრმა შთაბეჭდილებისაგან კმაყოფილმა წრე-  
ებმა, იმავე რეცენზენტის თქმით, მოგზაურთათვის ფართო  
ხასიათის ნადიმის ორგანიზაცია განიზრახეს. იმავე საღამოს  
დაიწყო სელის მოწერა და თანხების შეგროვება ნადიმზე გასა-  
წევი ხარჯებისათვის.

„მოგზაური დასის მიერ ბათუმში გატარებული დღეები, — ისე,  
როგორც ქუთაისში, გორში და სხვაგან, — პირდაპირ ზეიმის შთა-

<sup>1</sup> „დროება“, 1879 წ., № 149

<sup>2</sup> „დროება“, 1879 წ., № 155

ბექდილებას სტოვებდა. მაშინდელი ჩვენი დროის გატარება ბათუმში, — წერს აქვ. ცაგარელი, — სწორედ დაუვიწყარია. ქართული აფიკრობა ყოველდღე კავალკადას გვიმართავდა; განოგვიგზავნიდნენ საუკეთესო ცხენებს, შევსხდებოდით ქალი და კაცი და გავსწევდით თამარის ციხისაკენ და „გოგოროდოკში“, სადაც ყოველთვის მშვენიერი საუზმე გველოდა<sup>1</sup>.

ბათუმიდან დასი, ფოთზე გამოვლით, უკან დაბრუნდა ახალციხე-აბასთუმნისაკენ. ხაშურიდან მოგზაური დასი კოტე ყიფიანმა ქვიშხეთში გაიწვია. აქ მათ მოელოდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მუდმივი ქართული დასის ერთერთი დამაარსებელთაგანი დიმიტრი ყიფიანი.

„გავსწიეთ ქვიშხეთისაკენ, — გადმოგვცემს აქვ. ცაგარელი, — მალე გავარჩიეთ სახლის აივანზე დინჯი და მტკიცე ნაბიჯით მოსიარულე წელში მოუხრელი დეთაგბრივი მოხუცი. დიმიტრი დიდის ღურბინდით ხელში ჩვენს გზას გამოჰყურებდა. მივედით, გადმოვხტით ეტლებიდან; დიმიტრი მოგვეგება ჰიშკარის კარებში მოდიმარი, სიამოვნებით აღესილი თვალებით. როგორც მოყვარულმა მამამ (ამ კეთილმშობლიურ გრძნობაში, როგორც მამა-შვილური სიყვარულია, ბერს მოგესენება, რომ დიმიტრის ვერავინ ვერ შეედრებოდა), გულში ჩაიკრა თავისი შვილი კოტე და შემდეგ ჩვენ ყველა. ქალი და კაცი, გაგვხადა ამბოარის ყოფის ღირსი. მიგვიწვიეს სახლში. ჩვენ, აყრილი მაწანწალა ბოშებივით გათხუნულ-გამტკვერიანებული, მოგვათავსეს ფართო ოთახებში, სადაც ტანთ-საცმელი გამოვიცვალეთ და გავსუფთავდით. გავიქეცით წყაროხედ და ამ სიცხე-ჰაპანაქებაში ნამგზავრებს, მზისაგან დამწვარ-დახრაკულებს, ეს წყარო სწორედ „უკვდავების წყლად“ გვეჩვენა. გავგრილდით, ცოტა ადამიანის ფერი დაგვედო, მალე შევიკრიბენით ზალაში, სადაც დაგვიწყო გამოკითხვა დიდის ცნობის მოყვარეობით დიმიტრიმ: როგორ ვიმგზავრეთ, როგორ დაგვიხვდა ხალხი, ხომ არა გაგვიკრიბია-რა, და როდესაც ჩვენ ვუამბეთ ხალხის აღტაცება და დიდებული დახვედრა ყველგან და უცხო ტო-

<sup>1</sup> აქვ. ცაგარელი — „კოშედიები“, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1938 წ. გვ. 389

მის ხალხისაგანაც-კი, განსვენებულის სიამოვნებამ ფრთა შეისხა და ფილოსოფიური აღტაცებით სთქვა: „ეს ასეც უნდა მომხდარიყო! საქმე დამწიფდა, ხალხმა შეიგნო საქმის ძალა“.<sup>1</sup>

მოგზაური დასის საქმიანობით კმაყოფილმა დიმიტრი ყიფიანმა მოგზაურთ სადილი გაუმართა. „...თქითონ განსვენებულმა იკისრა თამალობა, და რა არ ითქვა ამ ნეტარ-მოსაგონებელ სუფრაზე... დიდას ლხინით, სიამოვნებით და სიმღერით გავატარეთ ეს დაუვიწყარი ნაღიმი“—გადმოგვცემს აქვსენტი ცაგარელი.

ქვიშხეთიდან მოგზაური დასი ახალციხესა და აბასთუმანს გაემგზავრა. იმავე აქვ. ცაგარლის. მოწმობით, აბასთუმანში მოეწყო სამი წარმოდგენა, ხოლო ახალციხეში—ერთი. აქაც დამახასიათებელია იგივე ყურადღება და ფართო საზოგადოებრივი თანაგრძნობა მოგზაურთადმი.

ახალციხიდან დასი თბილისს დაბრუნდა. სექტემბრის თვიდან ახლად ორგანიზებული მუდმივი ქართული დასის პირველი სეზონი იწყებოდა.

---

<sup>1</sup> აქვ. ცაგარელი—„კომედიები“, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1936 წ., გვ. 394.

## რუსი კლასიკოსების საღმრთოწაშლო საღამოები თბილისში

(ალ. გრიბოედოვი და ნ. გობოლი)

დიდი რუსი მწერალი ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვი ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობისათვის ადრევე იქცა საყვარელ მწერლად. იგი თავისი პირადი მდგომარეობით (მას ცოლად ჰყავდა ცნობილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ჰავჭავაძის ასული ნინო) ძალიან ასლოს იდგა იმ დროის ქართული ლიტერატურის მესვეურებთან. მისი უკვდავი კომედია „ვაი კეკისაგან“ თბილისში ხშირად იდგმებოდა შინაურ საღამო-წარმოდგენებზე.

ალ. გრიბოედოვისადმი ასეთი გულთბილი დამოკიდებულების ბუნებრივ შედეგად უნდა ჩაითვალოს ის ინტერესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი კომედიის თარგმნისადმი XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე, საფიქრებელია, რომ „ვაი კეკისაგანის“ თარგმნა არა ერთ ქართველ პოეტს უსინჯაეს. მაგრამ ყველა ამათგან მიზანს მიაღწიეს (ისიც არა საესებით) მხოლოდ გიორგი ერისთავმა და გრივოლ წინამძღვრიშვილმა.

1879 წ. ალექსანდრე გრიბოედოვის მოკვლიდან 50 წელიწადი შესრულდა. ეს თარიღი მეტად მნიშვნელოვნად ჩატარდა თბილისშიაც. ქართული გაზეთი „დროება“ სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა იმ სიახლოვეს, რომელიც რუსეთის დიდ პოეტს ჰქონდა საქართველოსთან და ქართველ ხალხთან. აი რას წერდა გაზ. „დროება“ გრიბოედოვის მოკვლიდან 50 წლის-თავის მოახლოებასთან დაკავშირებით:

„ამ იანვრის 30-ს შესრულდება 50 წელიწადი მას აქეთ, რაც აჯანყებულმა სპარსელებმა მოჰკლეს თეირანში გამოჩენილი და სანაქებო რუსი მწერალი, კომედიის „ვაი კეკისაგან“ ავტორი, ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვი.

„მთელი რუსეთი აპირობს ამ დღის დღესასწაულობას; მაგ-  
რამ თბილისს თითქო ჰურს, რომ ამ შემთხვევაში მაინც ყვე-  
ლა რუსის ქალაქებს გადააქარბოს.

ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ა. ს. გრიბოედოვი კაეკა-  
სიასთან ძალიან დაახლოებული პირია: ის იყო, თუ შეიძლება  
ასე ვსთქვათ, ჩვენი სიძე (ჰყავდა ცოლად თ. ალექსანდრე ქავ-  
კავაძის ქალი ნინო, ეკატერინე მინგრელსკის და, ბარონ ნიკო-  
ლაის ცოლის დაი), ის აქ არის თავის ცოლით მთაწმინდის ეკ-  
ლესიაზედ დამარხული, საუკეთესო დღენი თავის ცხოვრებისა  
იმან კავკასიაში, საკუთრად თბილისში, გაატარა და ყველა  
ამის გარდა თავისი ჩინებული უკვდავი კომედია „ვაი ქუ-  
ისაგან“, რომელმანც ახალი მისართულემა პისცა მაშინდელს  
რუსის მწერლობას და რომელშიაც ასე ნიჭიერად არის გა-  
მოყვანილი საშინდელი რუსის საზოგადოების წარმომადგენელი  
დამყავებული პირები, ეს კომედია გრიბოედოვს აქ, ჩვენს  
თბილისში, დასწერა.

„აი ამიტომაც, — დაასკენიდა „დროება“, — ჩვენი ქვეყანა  
გრიბოედოვს თავის „კაცად“, თავის „შვილად“ სთვლის, და  
ასე გულმოდგინეთ აპირებს იწის იუბილეს დღესასწაულობას“.<sup>1</sup>

მართლაც, „დროების“ მიერ ნაჩვენებ დღეზე ცოტა ადრე  
(28 იანვარს) „თბილისის წრეში“ ჩატარდა ალ. გრიბოედოვის  
წლისთავსადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო;  
საღამოზე მოსმენილ იქნა სამი მოხსენება ალ. გრიბოედოვის  
ცხოვრებისა და შექმედების შესახებ. სხვათა შორის, გრი-  
ბოედოვის ბიოგრაფიის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ცნობი-  
ლი დრამატურგი დაწით ერისთავი.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო, საღამომ მეტად ფართო  
ხასიათი მიიღო, აი როგორ აჯამებდა ამ ლიტერატურული სა-  
ღამოს შედეგებს გაზეთი „კავკაზი“:

„კვირას, 28 იანვარს, — წერდა „კავკაზი“, — „კრუეოკში შეს-  
დგა ა. ს. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სა-  
ღამო. კითხვის პროგრამა იყო შემდეგი: თ. დ. ერისთავი — ა.  
ს. გრიბოედოვის ბიოგრაფია. ა. პ. ბერეე — ხოსროვ-მირზას  
ელჩობა ბოლდიშის მოხდის მიზნით 1829 წ. 30 იანვრის კატასტ-

<sup>1</sup> „დროება“, 1877 წ., № 9,

როფის გამო და ა. ი. პალში—„ვაი ქუქისაგან“ და მისი კრიტიკოსები.

„დამსწრე საზოგადოების რიცხვი იყო ძალიან დიდი. თითქმის დამსწრეთა მესამედისათვის დარბაზში ადგილი აღარ იყო და მათ დაიკავეს ნაწილობრივ სტუმრებისა და ნაწილობრივ გუნდის ადგილები“.<sup>1</sup>

ასე ფართოდ ჩატარდა თბილისში. ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალების 50 წლისთავი. მაგრამ საჭიროა აქვე განხილულ იქნას ალ. გრიბოედოვის ერთი ქართული თარგმანის ბედი, რომელიც რამდენამდე ამავე დღესასწაულთან არის დაკავშირებული.

როგორც ზევით ითქვა, ალ. გრიბოედოვის კომედიის ერთ-ერთი საგულისხმო ქართული თარგმანი შესრულებულია XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში (დაიბეჭდა 1853 წ.). ეს თარგმანი, მუხედავად ზოგიერთი ნაკლებლოვეანებისა (თარგმანი შესრულებულია პროზად), თავისი დროისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა იყო. ეს გამოცემა დღესათვის უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა და ჩვენამდის მხოლოდ რამდენიმე ეკზემპლარს ვხვდებით. აი ამ წიგნის თავფურცელი:

## ვაი ქუქისაგან

კომედია

ათხუთმედიად

თხზულება

ლექსანდრე გრიბოედოვისა

ნათარგმნი

გრიგოლ წინამძღვაროვის მიერ

ქ. თბილისს.

სტამბაჲ შინა უ. კავკასიის ნამესტარიის კანცელარიისა

1853.

<sup>1</sup> გაზ. „Кавказ“, 1879 წ., № 23.

აზრიგად, გრ. წინამძღვრიშვილის თარგმანი დაბეჭდილად 1853 წელს, მცგრამ, როგორც ჩანს, სამი ათეული წლის განმავლობაში გამოცემის მთელი ტირაჟი ტიპოგრაფიაში შენახულა და მისი გავრცელება მომზადრა მხოლოდ 1879 წ. აღ. გრიბოედოვის დღესასწაულთან დაკავშირებით. აი რა ცნობას იძლევა ამის შესახებ გაზ. „დროება“:

ჩვენ შეეიტყუეთ, რომ უფ. გრ. ბეჟ. წინამძღვაროვისაგან 1853 წელს ნათრგმანი გრიბოედოვის კომედია „ვაი ქუქისაგან“ მას შემდეგ თითქმის მთელი გამოცემა ნანესტინკის ტიპოგრაფიაში წყობილა. ახლა, ამბობენ, უფ. წინამძღვაროვს ეს კომედია გამოაქვს ხსენებული სტამბიდან და გასასყიდლათ დაარიგებს წიგნის მალაზიებშიო.<sup>1</sup>

ექვი არ არის, რომ აღ. გრიბოედოვის კომედიის ქართული თარგმანი შეჩერებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ცენზურის მიერ. გარდა იმისა, რომ თვით კომედია „ვაი ქუქისაგან“ იყო მკაცრი სატირა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბატონყმური რუსეთისადმი და ეს სატირული ტონი საკმაოდ დატული არის ქართულ თარგმანშიაც; არის კიდევ ამ თარგმანში სხვა მომენტებიც, რომლებიც კიდევ უფრო აღრმავებენ კომედიის დედააზრს. კიდევ მეტი: ქართველი მთარგმნელი წინასიტყვაობის მაგიერ წამძღვარებულ „მოკლე მოთხრობაში“ ჩვეულებრივი სასაუბრო ენით პოპულარიზაციას ახდენს დიდი რუსი ნწერლისა და იმ იდეებისა, რომლებიც ავტორმა გაატარა თავის უკვდავ კომედიაში. გრ. წინამძღვრიშვილი ქართველ მკითხველს ჯერ აწვდის მნაშენელოვან ცნობებს აღ. გრიბოედოვის ბიოგრაფიიდან, ხოლო შემდეგ ახდენს თვით ნაწარმოების დეტალიზაციას.

გრ. წინამძღვრიშვილი იხილავს რა იმ საზოგადოებრივ გარემოს, რომელშიაც დაიწერა „ვაი ქუქისაგან“, მოხდენილად და იმ დროისათვის საკმაოდ გაბედულად ფარდას ხდის ფეოდალური არისტოკრატის ფუჟსაგატურ ცხოვრებას და ბიუროკრატულ-ჩინოვნიკური აპარატის სიმახინჯეს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მთარგმნელი პოპულარუ-

<sup>1</sup> „დროება“, 1879 წ., № 26.



ლი ენით თითქოს ავსებებს, უფრო ხელშესახებებს ხდის მთელ რიგ მომენტებს და მოქმედ პირთა ხასიათებს კომედიანში.

გრ. წინამძღვრიშვილი საკმაოდ გონებამახვილურად ხსნის იმ მიზეზებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს უკედავი კომედიის შექმნას. იგი, მართალია, არა პირდაპირ და სრულყოფილად, მაგრამ მაინც საკმაოდ ოსტატურად ახერხებს ამქლავნოს ის შინაგანი სიკალიერე, რომელიც ფამუსოვების ეპოქის რუსეთის ფეოდალური არისტოკრატისა და ბიუროკრატული სახელმწიფო აპარატის მოხელეთა დამახასიათებელი ნიშანი იყო.

აი რას წერდა გრ. წინამძღვრიშვილი ალ. გრიბოედოვისა და იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს შექმნილიყო კომედია „აი ქუჩისაგან“:

„გრიბოედოვი იყო ძალიან განათლებული კაცი,—წერს გრ. წინამძღვრიშვილი,—ყოვლის გულით და ყოვლის სულით უყვარდა მას თავისი ქვეყანა—რუსეთი და სურდა მისთვის კეთილი. როგორც ყველა ახალგაზრდა, ისე გრიბოედოვს უყვარდა საზოგადოება და იარებოდა ხშირად საზოგადოებაში. ქეშმარიტად განათლებულმა გონებამ გამოუჩინა გრიბოედოვს მრავალი ნაკლებობა, მრავალი წუნი და მრავალი დასაკინი საქმე საზოგადოებისა. გრიბოედოვმა ნახა, რომ მრავალთა ახალგაზრდათა არ მიეღოთ ქეშმარიტი განათლება, არც თუ ესმოდათ რა არის ქეშმარიტი განათლება. გარეგანი ცვლილება, მაგალითად, ტანისამოსის გამოცვლა, უცხო ქვეყნების ტანისამოსის ჩაცმა, უცხო ქვეყნების ენების ცოდნა, უცხო ქვეყნების ენებზე ლაპარაკი, უცხო ქვეყნის ცხოვრება, ჩვეულება, სამსახურში ჩინების და პატივის მალება, ჯვრები, ვარსკლავები, ეპოლეტები, დოვლათი, ყმა, ჩამული, ბალებში და ვეჩერებში სიარული, მოდების აყოლა, ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც გარეგანია, რაც არაფერ სარგებლობას არ აძლევს გონებასა,—ეს ეგონათ განათლებად; გონებისათვის კი დაენებებინათ თავი და არა ცდილობდნენ გაენათლებინათ გონება სწავლითა. რას არგებს გარეგანი ცვლილება, თუ კაცი ამასთანავე არ გამოიცვლება შინაგანათაც სწავლითა?“

„ღმერთმა ყველას მოგვცა გონება; ჩვენ უნდა ვეცადნეთ განვავრცელოთ ღვთისაგან მოცემული ნიჭი და გონება სწავ-

ლიფა, არა თუ ავეყვეთ სულელების საქმეს—გარეგან ცვლილებას, გონებას კი თავი დაეანებოთ. ის კაცი, რომელსაც მიუღია გარეგანი ცვლილება, გონება კი არ გახუვოცულებია და არ განუნათლებია სწავლითა, ჰგავს იმ ყორიანს, რომელსაც შეუსხავს ფარშავანგის ბ. მბული.

„გრიბოედოვმა დაანება თავი რუსეთსა და გადმოვიდა ჩვენკენ—აზიაში. ამბობენ, რომ შოქს ყოფნაში უფრო კარგათ გაიცნობსო კაცი საგანსაო, შორითგან უფრო კარგათ და ცხადათ წარმოიდგენსო ყოველ ღირსებას და ყოველ ნაკლებულებას საგნისასო: გრიბოედოვემა, საქართველოში და სპარსეთში ყოფნის დროს, ასე გაიცნო თავისი ქვეყანა—რუსეთი და იქაური საზოგადოება, ასეთ რიგათ განსჩხრიკა მოსკოვი და იქაური ხალხის ცხოვრება, რომ ვერც ერთი შიგ რუსეთში, შიგ მოსკოვში მცხოვრებელი ვერ გაიცნობდა იმისსავით. აზიაში გრიბოედოვმა წარმოიდგინა კარგათ რუსეთის ძველებურ კაცთა და მრავალთა ახალგაზრდათა ნაკლებულება; იმათი ტყუილი განათლება, იმათი მეიმუნისავით უცხო ქვეყნების—ნამეტნავად ფრანცუზების—მიბაძვა და იმათგან ყველაფრის მეიმუნისავით გადმოღება. რუსეთში ყველაფერი, რაც რომ გარეგანია, გადმოვლოთ ფრანცუზებისაგან: ცხოვრება, ტანისამოსი, ჩვეულება, ენა, სახლის მორთულობა, სურათები, სიმღერები და სხვანი. ყოველ მაღალ ხალხის შეკრებულებაში კაცნიც და დედაკაცნიც ლაპარაკობდნენ და ახლაც ლაპარაკობენ სულ ფრანციკულად, თავიანთ ბუნებითი ენას კი ივიწყებდნენ; სძულდათ ყველაფერი თავიანთ ქვეყნისა; თვით მასწავლებელთაც იჭერდნენ უცხო ქვეყნისას, ნამეტნავად ფრანცუზებს, ვინც უნდა ყოფილიყო. თუნდ სკოლნიყო რამე თუნდ არა, ოღონდ კი ყოფილიყო უცხო ქვეყნის კაცი, მაშინვე შეიყვანდნენ ხოლმე სახლში ყმაწვილების სასწავლებლად. ერთის სიტყვით, მრავალთა რუსთა ყველაფერი, რაც გარეგანია, გადმოვლოთ ფრანცუზებისაგან, რომელთაც მეიმუნისავით მიბაძვიდნენ ყოველ ფერში, რაც გარეგანია, გონება კი გაუნათლებელი რჩებოდათ. ასე დაბრმავებულიყვნენ უცხო ქვეყნის მეიმუნისავით მიბაძვითა, რომ არავინ არა ცდილობდა გონების განათლებისა და ქვეშაირიტ განათლების მიღებას. ამგვარი თა-

ვიანთ ქვეყნის დამცირება, თავიანთ ქვეყნის მოძულობა, მრავალთა ძველებურთა კაცთა და ახალგაზრდათა განათლება ეგონათ. ასე დარწმუნებულნი იყვნენ ამაზე ძველებურნი კაცი და მრავალნი ახალგაზრდანი, რომ სულელათ სახაედნენ იმას, ვინც დაიწუნებდა იმათ ყოფნა-ქცევასა იმათ ჰაზრებსა, იმათ გონებასა, იმათ ჩვეულებასა, იმათ ნეინჯენსავეით ჟრანცუზების მიბაძვასა". (იხ. „მოკლე მოთხრობა“, გვ. 7—8).

„ამისთანა მდგომარეობაში იყო რუსეთი, — დაასკვნის გრ. წინამძღვრიშვილი, — ამისთანა საკლებულება ნახა გრიბოედოვმა რუსეთის საზოგადოებაში, იმას უნდოდა ეჩვენებინა მეიმუნსავეით უცხო ქვეყნების მიმბაძველთათვის, როგორ საცინელნი და როგორ საძაგელნი არიან: უნდოდა აეხილებინა ამათთვის თვალები და ეჩვენებინა რა არი ქვეშარიტი განათლენა, რა ვალი აქვს ყოველ კაცს თავის მამულისა, რას უფრო უნდა მიეღ ტოდეს კაცი: გარეგან თუ შინაგან ცელილებასა? ამას გარდა გრიბოედოვს უნდოდა ეჩვენებინა, როგორნი უნდა იყვნენ ახალგაზრდანი, ქვეშარიტად განათლებულნი, ამის გამო დასწერა „ვაი ჭკუისაგან“ და სხვ. („მოკლე მოთხრობა“, გვ. 9)

მოყვანილი ამონაწერი არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ ადგილს ქართული თარგმანისადმი წამძღვარებულ „მოკლე მოთხრობაში“. ამავე საკითხებს მთარგმნელი უბრუნდება აგრეთვე წიგნის ე. წ. „დამატებაში“. ყველაფერი ეს, ალ. გრიბოედოვის კომედიასთან ერთად, საკმარისი იყო იმისათვის, რომ ცენზურას აღნიშნული წიგნი ბაზარზე არ გამოეშვა. გამოცემის მთელი ტირაჟი (საგულეებელია მხოლოდ უმნიშვნელო გამოყენაკლისი) სამი ათეულა წლის განმავლობაში სტამბაში ინახებოდა, გაზ. „დროების“ ცნობით, იგი მხოლოდ 1879 წელს, ალ. გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღნიშვნის დღეებში, გამოვიდა მზის სინათლეზე.

—:—

1886 წლის აპრილში შესრულდა 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც პეტერბურგის სცენაზე პირველად დაიდგა ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის კომედია „რევიზორი“. თბილისში ეს ლიტერატურული თარიღიღც დიდის გულთბილობით იქნა აღნი-

ზნული. ჯერ კიდევ სამხადისის პერიოდში გაზ. „ივერია“ დღედადღე იტყობინებოდა ამ დღესასწაულის მოახლოებას და ახდენდა საზოგადოებრივი უურადლების მიაზილიზაციას<sup>1</sup>.

1886 წ. მაისის 6-ს ქართული „დრამატული საზოგადოების“ ინიციატივით მოეწყო ნიკ. გოგოლის ხსოვნის აღსანიშნავი ლიტერატურული საღამო. საღამოზე მოსმენილ იქნა მოხსენება გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, წაკითხულ იქნა რამდენიმე ლექსი, მიძღვნილი ცნობილი რუსი მწერლისადმი, და ბოლოს წარმოდგენილ იქნა თვით „რევიზორი“.

აი რას წერდა „ივერია“ 6 მაისის ლიტერატურულ საღამოს შესახებ:

„ამ წელს შესრულდა ორმოცდაათი წელიწადი მის შემდეგ, რაც პირველად წარმოდგინეს გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი“. მთელმა რუსეთმა დიდის ამბით იდღესასწაულა ხსენება თავის სახელოვანის, მალა-ნიკიერის მწერლისა. ჩვენმა დრამატულმა დასმაც არ დაივიწყა რუსეთის სახელოვანი მწერალი და ღირსეულად პატივი სცა მის სახელს. გუშინ, 6 მაისს, „დრამატულს საზოგადოების“ თაოსნობით გაიმართა წარმოდგენა გოგოლის სახსოვრად. ითამაშეს „რევიზორის“ მე-2 და მე-3 მოქმედება. წარმოდგენის წინაღ, აიხსნა თუ არა ფარდა, სცენაზე გამოჩნდნენ არტისტები ხუთის ყვავილის გვირგვინით ხელში. სცენაზე ამალგებულს წითელის მაუდით დაფენილს და ყვავილებით შემკულ ადგილას გოგოლის სურათი იდგა.

„პირველად წარმოსდგა წინ დრამატულის საზოგადოების წევრი ბ-ნი ავალიშვილი და წაიკითხა საზოგადოების წინაშე წერილი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გოგოლის რუსეთის მწერლობაში. ამის შემდეგ ბ-მა ვ. თუმანიშვილმა წაიკითხა რუსულად ბ-ნ თხორჟევსკის ლექსი, განებ ამ შემხვევისათვის დაწერილი. ბოლოს გამოვიდა ჩვენი სახელოვანი აკაკი და დიდის გრძნობით წაიკითხა თავისი მშვენიერი,

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“. 1886 წ., № 92, 97, 98, 99.

გრძნობით და აზრით სავსე ლექსი. ლექსმა მთელი საზოგადოება აღტაცებანი მოიყვანა <sup>1</sup> სამივემ წაკითხვის შემდეგ გოგოლის სურათის ქვეშ გვირგვინები დააწყეს.

ამის შემდეგ დაიწყო „Ревишар-ის წარმოდგენა. ყველაზე უკეთესად თავი იჩინა არტისტმა საბუელმა. საბუელი სწორედ რომ შეუდარებელი „ოსიპი“ იყო. ურიგო არ იყო აგრეთვე „Горюхи“—სცენის მოყვარული ბ-ნი ან. ლორთქიფანიძე, თუმცა გამბედაობა აკლდა. ბ-ნი აბაშიძე შესაფერი „ხლესტაკოვი“ იქნებოდა, ბოლოს ცოტად რომ არ გადაეჭარბებინა. „ბოზინსკის“ და „დობჩინსკის“—ბ ნ თ. მაქსიმოძესა და ალექსი მესხიევს—მშვენიერად გაეკეთებინათ სააე“.

ასე ჩატარდა ნიკ. გოგოლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო აბილისში.

---

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 99, „გოგოლის შესახებ“.

## ლიტერატურული შეკრებები დავით სარაჯიშვილის ბინაზე.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ლიტერატურული ხასიათის შეკრებები ხშირად ხდებოდა დავით სარაჯიშვილის ბინაზე. სარაჯიშვილის ბინა მოგვაგონებს ერთგვარ ლიტერატურულ სალონს, სადაც დროგანოშვებით თავს იყრიდნენ ცნობილი მწერლები და მოღვაწეები, ხდებოდა ამათუი მწერლის ნაწარმოების წაკითხვა, იმართებოდა აზრთა გაცვლა-გაშოცვლა და სხვა. ყველაფერი ეს ბოლოს მთავრდებოდა ვახშით, ქეიფით.

დ. სარაჯიშვილის სტუმრები იყვნენ: ილია ქავქავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ყიფშიძე. იონა მეუნარგია, პეტრე ჟორიკაშვილი, დავით ერისთავი, ვასო აბაშიძე, აქვსენტი ცაგარელი, ივანე მაჩაბელი, იაკობ მანსვეტაშვილი და სხვ.

დ. სარაჯიშვილის ბინაზე მომხდარ შეკრებათაგან ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ იმ ფართო ხასიათის შეკრებებს, რომელთაც ჰქონდათ გარკვეული მნიშვნელობა ისეთ დიდ ადამიანებთან დაკავშირებით, როგორიც იყვნენ ილია ქავქავაძე და სხვები.

1882 წლის მიწურულს ილია ქავქავაძემ დაამთავრა პოემა „განდეგილი“. ამავ ეამთარში ილიას ეს პოემა ხელნაწერის სახით წაუკითხავს დ. სარაჯიშვილის ბინაზე. გრიგოლ ყიფშიძის დამოწმებით, წაკითხვას დასწრებია ქართველ მწერალთა მთელი მოწინავე ჯგუფი. „...მაშინდელი ინტელიგენცია, — წერს გრ. ყიფშიძე, — მოყვარულნი მწერლობისა, თითქმის სულ იქ იყვნენ“.

ილიას წაუკითხავს „განდეგილი“ და დამსწრეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. „თუ ხსოვნა არ მალა-

ღობს, —გადმოგვეცემს გრ. ყიფშიძე, —წარმოდგა ი. მ-ა, <sup>1</sup> ცნობალი მოყვარული ქართულის მწერლობისა, და სთქვა ალტა-  
ცებით: მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სუ-  
რათს ვერა ვხედავთ, თვით განდევგლის სურათს. მის გარე-  
ვნობის აღწერას, შის პორტრეტსაო<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ ამ შეკრებამ ხარულაც ბრწყინვალე შე-  
დეგი გამოიღო. ძნელია წარმოვიდგინოთ პოემა „განდევგლი“  
რომელშიაც არ იქნება ის გამოკვეთილი სურათი განდევ-  
გლისა, რომელიც ილიამ ამ მითითების შემდეგ გამოაქანდაკა.

წარმოდგენის სისრულისათვის საჭიროა მოვიტანოთ მთლი-  
ანად ეს ადგილი „განდევგლიდან“.

„არ იყო ხნიერ, მავრამ, ვით წმინდანს,  
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა,  
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი  
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.  
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი,  
სიწმინდის მანძლით დაჰშვენებოდა,  
და მაღალს შუბლსა, ნაოქად შეკრულს,  
შარავანდელი გადაჰფენოდა.  
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება  
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,  
თითქო მათშიგან ჩასახლებულა  
თვით სათნოება კდემით მოსილი,  
თითქო ნელისა სიხარულითა  
სამოთხის ღია კარს შეჰხარია  
და სულთან ერთად უფლისა მიმართ  
სასოებიტა მისწრაფიან.  
ლოცვით და მარხვით ხორც-უძღურ-ქმნილი  
ჰგვანდა წმინდასა იგი წამებულს,  
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა  
ძღვეით-მოსილსა და განდიდებულს“.

<sup>1</sup> იონა შუენარგია.

<sup>2</sup> გრ. ყიფშიძე — ილია ქავჭავაძე, ბიოგრაფია. იხ. ილია ქავჭავაძის  
თხზულებანი, ტ. 1, 1914 წ., თბილისი. მიხ. გვდევანიშვილის გამოცემა.

ასეთი იყო შედეგი ერთი შეკრებისა, მაგრამ „განდეგილის“ წაკითხვასთან დაკავშირებით, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ერთი „ნაკვესი“. „ნაკვესი“ ცნობილ რაფიელ ერისთავს შეეხება, მაგრამ იგი ზოგიერთ საჭირო ცნობასაც შეიცავს იმ შეკრების შესახებ, რომელზედაც წაკითხულ იქნა პოემა „განდეგილი“.

აი ეს „ნაკვესი“.

ილია ქავჭავაძემ „განდეგილი“ რომ დაწერა, დავით სარაჯოვმა მიიწვია ვახშნად ყველა ჩვენი მწერალი იმ განზრახვით, რომ ვახშმის წინათ დამწერს წაეკითხა თვისი ახალი პოემა.

წაკითხვის შემდეგ გაიმართა ვახშამი და ტოლუმბაშობა რაუაელს დაულოცეს. ყველას სწვდა ცოტ-ცოტად რაფაელის მახვილი ენა, მაგრამ სხვაზე უფრო პეტრე უმიკაშვილს ერგო. პეტრე კარგად იყო მორთული ამ საღამოს და ჩვეულებრივამებრ უღელშიც მოპარსული ჰქონდა.

—თუ ეს სტაქანი არ დაცალოს პეტრემ, უღელში აუწიეო, უბრძანა მრისხანედ ტოლუმბაშმა თავის თანაშემწეს<sup>1</sup>.

დ. სარაჯიშვილის ბინაზე წაიკითხა ილია ქავჭავაძემ აგრეთვე თავისი „ოთარაანთ ქვრივი“. კითხვა მეტად ფართო ხასიათისა ყოფილა. აი რას წერს ამის შესახებ წაკითხვის ერთ-ერთი აქტიური დამსწრე—მონაწილე, ი. მანსვეტაშვილი:

„საღამოს რვა საათი იქნებოდა. სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში, დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის“ ყველა თანამშრომელნი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის იყვნენ: მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, გრ. ვოლსკი,—საღცხოვო მცოდნე ქართული ენისა, პოეტი და საზოგადო მოღვაწე—და კიდევ ბევრნი სხვანი“<sup>2</sup>.

„ოთარაანთ ქვრივის“ წაკითხვის შემდეგ, ისე როგორც „განდეგილზე“, დაიწყო ახრთა გაცვლა—გამოცვლა. მთავარი და დამახასიათებელი ის არის, რომ შეკრება ერთხმად მიესალ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1890 წ., № 27.

<sup>2</sup> ი. მანსვეტაშვილი—„მოგონებანი“, 1936 წ. გვ. 116.



მა დიდი მწერლის კმნილებას. ი. მანსვეტაშვილის გადმოცემით, გრ. ვოლსკის უთქვამს: „მაგ მოთხრობას მე „ოთარაანთ ქერიეს“ კი არა, „ობოლ მარგალიტს“ დავარკმევდიო. ქერივი, როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც გადაამეტა, გადააქარბა: ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრობით, ფერადების სიუხვით, ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა—პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელი“<sup>1</sup>. და სხვ.

ამავე შეკრებაზე ილიასათვის მიუციათ ერთგვარი შენიშვნები ნიკო ნიკოლაძეს, თვით გრ. ვოლსკის და სხვ. მაგრამ დიდი ნიჰის უკანასკნელი პოეტური ნაყოფისათვის ავტორს შესწორებანი საჭიროდ აღარ დაუნახავს და „ოთარაანთ ქერივი“ ზრავითარი შესწორების ნიშანს არ ატარებს.

ეს წაქითხვაც დ. სარაჯაშვილის სახლში ვახშმითა და დროს ტარებით დამთავრდა. „დავით სარაჯიშვილმა,—წერს ი. მანსვეტაშვილი,—ყელანი ვახშმად მიგვიწვია. შევედით დიდ სასადილო ოთახში, სადაც დიდებული სუფრა იყო გაშლილი. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. მეტადრე ლაზათი დასდო სუფრას თამადამ, მოხუცმა რაფ. ერისთავმა რომელიც განთქმული იყო, როგორც ჩვენი მწერლობის პატრიარხი და გლებთა მგოსანი. რაფიგლი იყო აპასთანავე ენაწყლიანი. ჭკუა-მახვილი. ოხუნჯი, ხოლო ამისი ოხუნჯობა იყო ნამდვილი ძველებური ქართული, დარბაისლური. ვის სადღეგრძელოსაც დაჰლევედა, უსათუოდ შესაფერ სახუმარო სიტყვითაც მიჰმართავდა, ხან ექსპრომტით ლექსსაც ჩააქერებდა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. მანსვეტაშვილი—„მოგონებანი“, 1936 წ., გვ. 16-117.

<sup>2</sup> ი. მანსვეტაშვილი—„მოგონებანი“, 1936 წ., გვ. 118.

## ლიტერატურული შეკრება-საღამოები იხთხმოდაათიან წლებში

XIX საუკუნის 90-იანი წლები საქართველოში ლიტერატურული შეკრებებისა და საღამოების შემდგომი გაშლისა და გაფართოების ხანაა.

ამ პერიოდში, ისე, როგორც წარმოდგენები, ლიტერატურული საღამოები და კონცერტები ფართოდ იკიდებენ ფეხს საქართველოს პროვინციალურ დაბებსა და ქალაქებში, მაგრამ ყველა ამათგან პირველ რიგში საჭიროა გამოყოფილ და შესწავლილ იქნას ის ლიტერატურული საღამოები, რომლებიც ტარდებოდა თბილისში და მიმართულებას, აძლევდა მთელს ამ მოძრაობას საქართველოში.

1886 წლის დამდეგიდან ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთად გადაკეთდა. ქართული ლიტერატურისათვის ეს უდაოდ დიდი შენამატი იყო და მისი პირველი ნორმის გამოსვლასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძემ საზეიმო შეკრება მოაწყო.

1885 წ. დეკემბრის 31-ს ღამით „ივერიის“ რედაქციაში მოეწყო შეკრება ვახშმით, რომელშიაც მონაწილეობდნენ ცნობილი მწერლები და სპუზოგადო მოღვაწეები—რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, ილია ხონელი (ბახტაძე), გრიგოლ ყიფშიძე და სხვ.

ამ შეკრებას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ამის მიზნით „ივერიის“ გაზეთად გადაკეთება იყო, ამ ზეიმს ბოლომდის არ დაუკარგავს აქტიური ლიტერატურული შეკრების ხასიათი. შეიძლება ითქვას, რომ ეს შეკრება, მოწყობილი „აზრთა მპყრობელის“ მიერ, იყო მნიშვნელოვანი სტიმული შეკრების მონაწილე სამწერლო აქტივისათვის.

სამწუხაროდ, საკმაო ცნობების მოუღწევლობის გამო, ახლა უკვე შეუძლებელი ხდება ამ მნიშვნელოვანი შეკრების სრული სახით აღდგენა, მაგრამ ის ორიოდ ლიტერატურული წყაროც, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია, შესაძლებელს ხდის შეკრების ზოგადი სახის გათვალისწინებას.

აი რას წერდა „ივერიის“ რედაქციაში მოწყობილ ამ შეკრების შესახებ ზეიმის ერთერთი მონაწილე ილია ხონელი:

„არც ერთ საჩუქარზე არ გავცვლიდი იმ სიამოვნებას, რომელიც პარგუნა ახალმა წელმა. მე ჩემის თვალთ ვნახე, თუ როგორ დიდის ხნით დადუმებულმა საბჭოელებმა მაშინამ ხელახლად აატრიალა თავისი ბორბლები და სიხარულის გრავინვით გამოისროლა პირველი ნომრები ახალი გაზეთისა, ვნახე ისიც, თუ როგორ შემოჰყვა ეს ჩვენი ყველა სატრფოზე უტკბესი სატრფო პაწია ახალ წელს რედაქციის დარბაზში, სადაც იმ დროს ყველა ჩვენი ლიტერატურისათვის გულშემატკივარ კართველთათვის მეკლისი იყო გამართული, გავიგონე ის ტაშის კვრა, ის სიხარულის კიეინა, რომელმაც თითქო აიტანა ზევით ერთი სახლი ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე. უხუცესმა და „უუტოლუმბაშესმა“ ჩვენმა პოეტმა, რაფიელ ერისთავმა, კისრად აიღო ახლად-შობილის მონათვლა, ასხურა მას „მილით მისაყვანი“ ყვარელის ღვინო, მოაყარა ზედ მარილი და დალოცა ექსპრომტით ნათქვამი ლექსებით. ამგვარი ლექსები ამ სამახსოვნო საღამოს ბუზებსავით დაფრინავენ სუფრაზედ“<sup>1</sup>.

ასე წერდა ამ საზეიმო შეკრების შესახებ ილია ხონელი, მაგრამ შეკრების ლიტერატურული ხასიათის კიდევ უფრო მკვეთრ დადასტურებას წარმოადგენს დავით ერისთავის ექსპრომტები, თქმული ამ საზეიმო შეკრებაზე. დავით ერისთავი თავის პირველ ექსპრომტს შეკრების მბცრვან მონაწილეს, შეკრებათა აღიარებულ თამადას რაფიელ ერისთავს უძღვნის.

„ტოლუმბაშათ განთქმული ხარ,  
პოეტთ შორის პატრიარხო,  
ვისურვებ, რომ ძველი წელი  
კვლავ მრავალი დაგვიმარხო.“

<sup>1</sup> „ივერია“, 1828 წ. № 3

შეორე ექსპრომტი დავით ერისთავისა „ივერიას“ ეკუთვნის. ექსპრომტი ხაზგასმულია ის დიდი სიძნელები, რომლებიც ამ ღროის ქართულ პრესას საერთოდ, და „ივერიას“ კერძოდ, ელოებოდნენ.

ამალამა იშვა ბავშვი,  
ილიამ ჰრქვა „ივერია“,  
მეტად დიდი გამოვიდა,  
ხოხელიც ვერ მოერია!

სტამბაშიაც ძლივს მოაწყეს,  
ხელაძესაც აერია,  
ერთის შიშით კანკალებდა!  
არ წაპილწოს ნომერია!

მაგრამ იშვა, კვლავ ვისურვოთ  
ქართულის ჰქონდეს მას ფერია,  
იმდენ ხანსა იდღეგრძელოს,  
რომ ვიძახდეთ: „რა ბერია!“

შესამე, და უკანასკნელი, ექსპრომტი მიძღვნილია, როგორც რედაქტორისადმი, თვით ილია ქაეკევაძისადმი. აქ ხაზგასმულია ის მზრუნველობა და თავდადება, რომელსაც ი. ქაეკევაძე იჩენდა „ივერიისადმი“.

„ღმერთმა ინებოს, ილია,  
არ მოგერიოს ძილია,  
და კარგათა გაგეზარდოს-  
ეს მამის-ერთა შეილია“<sup>1</sup>.

ეკვი არ არის, რომ აღნიშნულ შეკრებაზე მსგავსი ექსპრომტები მრავლად იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი აღდგენა დღეს უკვე შეუძლებელი ხდება.

ასეთია არასრული სურათი იმ შეკრებისა, რომელიც მოწყობილი იყო გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით.

<sup>1</sup> „ივერია“, 1886 წ., № 3, 5 აკვესი.

(ექსპრომტი, ახალ-წლის ღამეს ნათქვამი „ივერიის“ რედაქციაში)

1886 წ. დეკემბრის 20-ს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების<sup>1</sup> სასარგებლოდ თბილისში მოეწყო სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. საღამოზე, „ივერიის“ ცნობით, მონაწილეობდნენ ნატო გაბუნია, აკაკი წერეთელი, კოტე მესხი, ვასილ თუმანიშვილი, გ. ყორღანაშვილი, მ. იპოლიტოვი-ივანოვი, ზარუდნაია, ე. ასლამაზოვი და სხვ.

ამ საღამოს შესახებ „ივერია“ წერდა: „შაბათს საღამოს გამართულმა კონცერტმა კარგად ჩაიარა. ხალხი დიდ-ძალი მოგროვდა. კლუბის დიდს და უშველებელს დარბაზში თითქმის ტევა აღარ იყო. ამის გამო ხალხი უფრო გამხიარულდა: ყვფლას სიამოვნება ეტყობოდა სახეზედ.

აი დაიწყო მღერა, კითხვა ლექსებისა და სცენებისა და მოისმა ხმა სხვა-და-სხვა საკრავთა. საზოგადოებისა ყურადღება მიიქცია ბ-ნის ზარუდნიას მიერ ქართულის ხმების თქმამა. ამ ქალმა იმღერა „მკრთალი ნათელი“ და „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“. საზოგადოებას ძალიან იაძა და დიდხანს არ შეუწყვეტია ალტაცებული ტაშის-ცემა.

კონცერტის შემდეგ გაიმართა მშვენიერი ლექური. ლექურს დიდხანს თამაშობდნენ და ძალიან კარგი ლექურიც იყო, იმიტომ, რომ კარგი მოთამაშენი, ქალი თუ კაცი, შეჰხვდნენ.

საზოგადოება თითქმის დილის 4 საათამდე არ დაშლილა<sup>2</sup>.

აღნიშნული საღამო საკმაო შემოსავლიანიც იყო. მან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ საგრძნობი თანხა შეჰმატა. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ანგარიშის თანახმად, საღამოზე შემოსულა სულ 921 მანეთი და 50 კაპეიკი. აქედან დახარჯულა სულ 228 მან. და 80 კაპ. ამრიგად, წმინდა<sup>3</sup> შემოსავალი საზოგადოებას ჰქონდა 692 მან. და 70 კაპ.

<sup>1</sup> „ივერია“, 1886 წ., № 278.

<sup>2</sup> „ივერია“, 1887 წ., № 3.

1887 წ. მარტის 21-ს ქარციული დრამატიული დასის არტიტმა ვალერიან გუნიამ ბანკის თეატრში გამართა ლიტერატურული საღამო ცოცხალი სურათებით. საღამოზე მონაწილეობდნენ ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი და სხვ. ცოცხალი სურათები მხატვრულად გააფორმა იმ დროს ცნობილმა მხატვარმა ბაშინჯალიანმა<sup>1</sup>.

ეს ლიტერატურული საღამო წარმატებით ჩატარდა. „ივერიის“ დამოწმებით, „...სურათები კარგად და მართლა ცოცხლად იყო დადგმული მხატვარის ბ.ნ ბაშინჯალიანის მიერ პოემიდან „მეფე დიმიტრი თავდადებული“—ილია ჭავჭავაძისა<sup>2</sup>. გაზეთის წიგნობილველი გულნარკენი აღნიშნავდა იმასაც, რომ ლიტერატურულ საღამოს დამსწრეთა ძლიერ მკიცრე რიცხვი ჰყავდა, მაგრამ თბილისის მაყურებელთა ასეთი გულგრილობა ვალ. გუნიას ლიტერატურული საღამოსადმი შეიძლება ახსნილ იქნას ერთი გარემოებით: ერთი კვირით ადრე ამ საღამომდის, ე. ი. მარტის 14-ს, ჩატარებული ლიტერატურული საღამო (მოწყობილი იყო ვ. თამაზიშვილის სასარგებლოდ) მეტად უგემურად ჩატარდა. ამ ლიტერატურული საღამოს შესახებ „ივერია“ პირდაპირ წერდა: „...ხალხი საკმაოდ დაესწრო, მაგრამ თვით სურათები მეტად უღამაზოდ და უხამსად იყო დადგმული: არც რიგიანი განათება, არც ტანისამოსი, არც სხვა რამ ღირსება არ ჰქონია ამ ცხოველ სურათებს, ასე რომ ცხოველი კი არა, სწორედ გვედარი სურათები გაშოვიდა“<sup>3</sup>.

წინა ლიტერატურული საღამოს ასეთი რეკომენდაცია საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, „რომ მორიგ საღამოზე უარყოფითი გავლენა მოეხდინა.

---

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ., № 60.

<sup>2</sup> „ივერია“, 1887 წ., № 62.

<sup>3</sup> „ივერია“, 1887 წ., № 56.

1887 წლის დეკემბრის 19-ს ისევ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ მოწყობილ ექნა დიდი სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. მონაწილეობდნენ ზარუდნაია, დავით ერისთავი, ვასილ თუმანიშვილი, იპოლიტოვი-ივანოვი, ე. კოკოვცევისა, მ. ბ. მეღველევი, ი. სარაჯიშვილი, გ. ყორღანაშვილი, ელადიმერ აღნიაშვილის ქართული მომღერალი გუნდი და სხვ.

ეს საღამოც ბრწყინვალედ ჩატარდა. დამსწრეთა განსაკუთრებული პატივისცემა დაიმსახურეს დავით ერისთავმა, ზარუდნაიამ, მეღველევმა და სხვ.

დამსწრე საზოგადოებამ, ისე, როგორც სხვა საღამო-კონცერტებზე, ამ საღამოსაც ალტაცებით ყიილო ქართული მომღერალთა გუნდი.

ეს ლიტერატურული საღამო ფართოდ გააშუქა „ივერიამ“. მოვიტანოთ ეს ცნობა მთლიანად.

„ტფილისის „საბრანიაში“ 19 დეკემბერს, სასარგებლოდ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, გამართული იყო სალიტერატურო და სამუსიკო საღამო, რომელმაც საუცხოოდ ჩაიარა. საზოგადოება ბლომად დაესწრო, ასე რომ არა თუ არც ერთი სკამი არ იყო ცარიელი, არამედ მთელს დარბაზში, საცა-კი ფეხზე დგომა მოხერხდებოდა, ყველგან დაქერილი იყო ადგილი მაყურებელთაგან. არტისტებმა წარჩინებულად შეასრულეს თავ-თავიანთი საგალობელი, დასაკრავი და წასაკითხავები. ქ-ნები ზარუდნაია, იუზეფოვიჩი, კოკოვცევისა და ბ-ნი მეღველევი ისეთ გუნებაზე იყვნენ, რომ რაკვი ნიჭი და ხელოვნება ჰქონდათ, ამ კონცერტზე გამოიჩინეს და მართლაც დაატკბეს მსმენელთა ესტეტიკური გრძნობა. ტაშის კერასა, „ბრავოს“ და „ბისის“ ძახილს ბოლო არა ჰქონდა. ყველა არტისტაგანი იძულებული გახადეს მსმენელთ სამ-სამჯერ მაინც გამოსულიყვნენ და ემღერნათ. ნამეტნავად ქ-მა ზარუდნაიამ აამა ტფილისის საზოგადოებას იმითი, რომ თავისის მშვენიერის ხმით იმღერა ქართული ლექსები, ნოტებზე გადაღებული ბ-ნი იპოლიტოვი-ივანოვის მიერ, თ. დავით ერისთავმა

საუკეთესოდ წაიკითხა რუსულად კოპპეს ლექსი „მკედელი“. მეტადრე მშვენიერი იყო ბ-ნი ურისთავი, როდესაც მივიდა იმ ადგილზე, სადაც მკედელმა აიღო ორი კვერი, ამათგან სა-უკეთესო გადაუგდო თავის შეურაცხყოფელს და ბრძოლაში გამოიწვია. ეს ადგილი ერისთავმა ისე ნიჭიერად, ისე ღრმად, ისეთის სინამდვილით და გრძნობიერებით წაიკითხა, რომ უკეთესი სწორედ აღარ შეიძლება. საჩვენებლად იმისა, თუ როგო-რის ნიჭიერებით წაიკითხა ბ-ნმა ერისთავმა ხსენებული ლექსი, ვიტყვით მხოლოდ, რომ კარგი წამკითხველები ისეთს ლექსს აირჩევენ ხოლმე, რომ იმის წაკითხვას შეიძის წუთზე მეტი დრო არ მოუნდეს და მსმენელთა ყურადღება არ შესუსტდეს. კოპპეს პოემას-კი მოუნდა სრული 16 წუთი, მაგრამ არა თუ არ შე-სუსტდა მსმენელთა ყურადღება, არამედ ბოლოში უფრო და უფრო გაძლიერდა და საზოგადოებამ გათავეებისას დაასა-ჩუქრა მკითხველი ხანგრძლივის ტაშისკვრითა და „ბრავოს“ და „ბისის“ — ძახილითა.

აძლევა რუ შეფასებას სალამოს სხვა მონაწილეებს, რე-ცენზენტი წერდა: „კარგად წაიკითხა პატარა-პატარა კუპლე-ტები აგრეთვე თ. ვ. თუჰანიშვილმა, რომელიც რამდენჯერმე გამოიწვია საზოგადოებამ. არ იყო ურიგო ბ-ნ ვლ. აღნიაშვი-ლის ქართული ხარო, რომელსაც ჰლოტბარობდა ბ-ნი რატი-ლი, მშვენიერად იმღერეს „ნეტავი, გოგოვ, ღე და შენ“, „მუმ-ლი მუხასა“, „ფაცხა“ და „მგზაერული“. ბ-ებმა ყორღანოვმა და სარაჯოვმა დაატკბეს საზოგადოება თავიანთის ხელოვნუ-რის დაკვრითა.

კონკერტის შემდეგ მიჰყვა ცეკვა-თამაში, რომელმაც კარგა ხანს გასტანა“<sup>1</sup>.

მოტანილი ამონაწერი საკმაო წარმოდგენას იძლევა დეკემ-ბრის 19-ს გამართული ლიტერატურული სალამოს შესახებ. -

ეს ლიტერატურული სალამოც საკმაოდ შემოსავლიანი აღ-მოჩნდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. მან წმინდა შემოსავლის სახით მისცა 760 მა-ნეთი და 20 კაპეიკი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ., № 269.

<sup>2</sup> „ივერია“, № 1888 წ., № 9.



1888 წ. მარტის 22-ს ქართული თეატრის ცნობილმა მოღვაწემ, ვასო აბაშიძემ, გამართა ლიტერატურული საღამო ცოცხალი სურათებით. საღამოზე, ვაზ. „ივერიის“ ცნობით, მონაწილეობდნენ ნატო გაბუნია-ცაგარლასა, ანდრონიკოვისა, ალექსანდრე ყაზბეგი (მოხევე), აქვ. ცაგარელი, ნებიერიძე, მაქსიმისძე, თვით ვ. აბაშიძე და სხვ. <sup>1</sup>

აღნიშნული ლიტერატურული საღამო ურიგოდ არ ჩატარებულა, მაგრამ ქართული სცენის ოსტატისაგან მაყურებელი მეტს მოელოდა, და ამით თუ შეიძლება ახსნილ იქნას ის ერთგვარი წუნი, რომელიც „ივერიის“ ქვემო მოყვანილ შეფასებაში იგრძნობა:

...ვ. აბაშიძემ, —წერდა „ივერია“, —გაჰმართა ქართულს თეატრში ლიტერატურული საღამო, სურათებითა, სიმღერებითა და სცენებით. ცხოველ სურათების დადგმა ითავა ბ-ნმა ბაშინჯალიანმა. სურათები მართლა ჩინებულის ხელოვნებით იყო დადგმული, მაგრამ, საუბედუროდ, ძლიერ ბუნდადა სჩანდა, რადგან სინათლე ჯერ მეტად ნაკლები იყო და თანაც ისე აყენებდნენ ამ სინათლეს, რომ პირი-სახესა და გამომეტყველებას-კი არა, ზურგს ანათებდა. ამიტომ ერთის ნორმის გარდა სხვა ვერც ერთმა სურათმა ვერ იქონია მაყურებელზე ის ზედ-მოქმედება, რომელიც აუცილებელი უნდა ყოფილიყო, უკეთეს სინათლე ჯეროვანად ეხმარათ.

ამ საღამოს მაყურებელთათვის გაქსაკეთრებით გული დაუწყვეტია ერთ ხარვეზს პროგრამიდან: ვ. აბაშიძეს არ უმღერია ქართული კუპლეტები, რითაც იგი განსაკუთრებით ხიბლავდა მაყურებელს. საღამოს რეცენზენტი ამ ხარვეზის შესახებ წერდა: „საზოგადოება მეტად ნაკლები დაეხსწრო და ისიც გულ-ნაკლული წავიდა, რომ ვერ მოისმინა ბ-ნ აბაშიძისაგან კუპლეტების სიმღერა, რაიცა დაპირებული იყო; სცენაზე გამოვიდა ვიღაც ყმაწვილი და გამოაცხადა, რომ ბ-ნი აბაშიძე ავად გახდა და ველარ იმღერებს კუპლეტებსო“ <sup>2</sup>.

<sup>1</sup>) „ივერია“, 1888 წ., № 61.

<sup>2</sup>) „ივერია“, 1888 წ., № 63.

1889 წ. მარტის 5-ს ვასო აბაშიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა სალამო-წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა გ. ერისთავის პიესა „ყვარყვარე ათაბაგი“. ამავე სალამოზე კოტე უიფიანმა წაიკითხა ილია ქავჭავაძის პოემა „განდევილი“. კითხვას თან ახლდა ცოცხალი სურათები<sup>1</sup>.

—:—

1889 წლის მარტის 25-ს თბილისში ჩატარდა დიდი ქართული ლიტერატურული სალამო, ეს სალამო თავისი ფართო პროგრამითა და სერიოზული წინასწარი სამზადისით გამოირჩევა XIX საუკ. 90-იან წლებში გამართული ქართული ლიტერატურული სალამოებისაგან. ამ ლიტერატურულ სალამოს მონაწილეთა შორის იყვნენ: ილია ქავჭავაძე, ვასილ მაჩაბელი, შაკო საფაროვი-აბაშიძისა, დავით ერისთავი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, გრიგოლ ვოლსკი, ცნობილი დეკლამატორი ნიკო ერისთავი, ვლად. აღნიაშვილის ქართული მონღერალთა გუნდი და სხვ.

სალამოსათვის წინასწარ სერიოზული მზადებისა და მისი „შინაარსეული მხარის შესახებ საკმაო მასალას იძლევა „ივერიის“ ერთი ცნობა, რომელიც გამოქვეყნებული იყო თვით ამ ლიტერატურული სალამოს დღეს (მარტის 25):

აი რას წერდა „ივერია“ ამის შესახებ:

„დღეს, 25 მარტს, ბანკის ქართულ თეატრში დანიშნულია სალიტერატურო და სამუსიკო სალამო „წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ სასარგებლოდ. როგორც პროგრამიდანაა სჩანს, ეს სალამო ფრიად საინტერესო სალამო იქნება. პროგრამა დიად ვრცელია და სხვა-და-სხვა გვარს სააბო გასართობს ჰპირდება დამსწრე საზოგადოებას. პირველს განყოფილებაში სხვათა შორის მუსიკა დაუკრავს ქართულ მარშს, აღნიაშვილის ხორო იმღერებს. იქნება კითხვა სხვა-და-სხვა ლექსებისა, მღერა რომანსისა და თქმა იმერულის სცენებისა ბნკ. მესხის მიერ. მეორე განყოფილებაში წარმოდგენილ იქნება პატარა, მხიარული ვოდვილი, ქნის საფაროვისა და ბნ აბაში-

<sup>1</sup>) „ივერია“, 1889 წ., № 49.

ძის მონაწილეობით. მესამე განყოფილებაში წაიკითხავს სცენას მოთხრობიდან „ოთარაანთ ქერიე“ ბ-ნი ილია ქაეკაეაძე, ხოლო პირველში ლექსს იტყვის სხვათა შორის ბ-ნი დავით ერისთავი<sup>1</sup>.

„ივერია“ განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ ნაციონალურ, ქართულ იერს, რომელიც ამ საღამოს უნდა ჰქონოდა. საღამოს პროგრამაში შეტანილი იყო გრ. ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“ და აი როგორი უნდა ყოფილიყო, „ივერიის გადმოცემით, ცოცხალი სურათები „სადღეგრძელოდან“:

„...დასასრულ სალიტერატურო და სამუსიკო საღამო გათავდება ცხოველის სურათებით გრ. ორბელიანის პოემიდან „სადღეგრძელო“. წარმოდგენილი იქმნება ქართული ლხინი და ხორო აღნიაშვილისა იტყვის „შეკრათ წითელ-წითელი“, გაშოჩნდება ცხოვლად მეფე ფარნაეაზ და იგივე ხორო იმერულს კილოზე იმღერებს, დავინახავთ ვახტანგ გორგასლანს და ხორო იტყვის მხედრულს ხმას, მერე დავით აღმაშენებელი და აქაც შესაფერი სიმღერა, თამარ მეფე და სიმღერა: „თამარის დროშა გაშალეს“. დასასრულ „ერეკლე“ და ხორო იტყვის: „აღსდგე, გმირთ გმიროს“.

„ერთის სიტყვით.—დაასკვნის „ივერია“, —პროგრამა ჩინებულია და, იმედი, ჩინებულადვე იქმნება შესრულებული, და ეს საღამო დიდად ასიამოვნებს, დაატკბობს, გულს გაუყვებებს ჩვენს საზოგადოებას.

იმედი გვაქვს, სრული იმედი, რომ დღევანდელის საღამოსათვის „წერა-კითხვის საზოგადოება“ დიდად ეცდებოდა და არავითარს ღონისძიებას არ დაჰზოგავდა, რომ საღამო სასიამოვნოდაც დარჩეს დამსწრეთა და სასარგებლოდაც<sup>1</sup>.

ასე ფართოდ მზადდებოდა ეს ლიტერატურული საღამო, და ბუნებრივია, რომ იგი ბრწყინვალედაც ჩატარდა. „ივერიის“ დამოწმებით, „საღამოზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. კონცერტმა რიგიანად და მხიარულად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებამ საკმაოდ ისიამოვნა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „ივერია“. 1859 წ., № 65.

<sup>2</sup> „ივერია“, 1859 წ., № 16.

მარტის ლიტერატურულ საღამოს სერიოზული რეცენზია უძღვნა ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილ-მა<sup>1</sup>. ი. გოგებაშვილის ეს რეცენზია უალრესად საყურადღებო მასალაა და ჩვენ მას გზადაგზა ფართოდ გამოვიყენებთ საღამოს მონაწილეთა და მათ მიერ მოხდენილ შთაბეჭდილებათა აღდგენისათვის.

ი. გოგებაშვილის მოწმობით, საღამო გაიხსნა ვლ. აღნი-აშვილის ქართულ მომღერალთა გუნდის საკონცერტო ნაწილით. სიმღერების შემდეგ დაიწყო ლიტერატურული წაკითხვები. საღამოს ეს ძირითადი ნაწილი დაიწყო ი. ქავკავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ წაკითხვით. ამ პოემის ერთი ნაწილი წაკითხულ იქნა ნიკო ერისთავის მიერ. ნ. ერისთავმა დამახასიათებელი დეკლამაციითა და მოხდენილი თქმით წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

აი როგორ აგვიწერს ნიკო ერისთავის გამოსვლას ამ საღამოზე ი. გოგებაშვილი:

„საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება მას, რადგანაც ცნობილია, როგორც ფრიად რიგიანი მკითხველი. მოსაწონის კითხვისათვის ამ ახალგაზრდას შესწევს ხმაც, კილოც, მიხერა-მოხვრაც და პირის სახის მოძრაობაც; ამიტომ მისი გამოსვლა სცენაზე ყოველთვის სასიამოვნოა. როგორც ერთი ადგილი „დიმიტრი თავდადებულისაგან“, ისე ორი-სამი სხვა ლექსი, თანახმად საზოგადოების მოთხოვნილებისა, მან წაიკითხა გრძნობით, მეტყველად და ნამდვილი სიამოვნება აჩვენა საზოგადოებას“.

ვასილ მაჩაბელმა ამ საღამოზე წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები „მერანი“ და „ვპოვე ტაძარი“. ვ. მაჩაბელის მიერ ბარათაშვილის ლექსების კითხვას, ი. გოგებაშვილის თქმით, ჰქონია ზოგიერთი სუსტი მხარეც „პირველი ლექსის (ე. ი. „მერანის“ ა. მ.) ხელოვნური წაკითხვა,—წერს ი. გოგებაშვილი,—არა ერთხელ გაუგონია ქართველს საზოგადოებას და ამიტომ ძლიერ ძნელი იყო მკითხველისაგან სრულიად დაეკმაყოფილებინა საზოგადოების მოთხოვნილება. მეორე ლექს-

<sup>1</sup> „ივერია“, 1899 წ., № 73. ფელეტონი ხელმოწერით „იაკობ ავიმონიძე“.

სის წაკითხვა კი სწორედ სასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენდა მსმენელებზე, ორგან-სამგან რომ არ წაეთუორხილნა და იძულებული არ გამხდარიყო მიემართნა წიგნისათვის“.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე მაკო საფაროვმა: „მონოლოგი ცქრიალა, ოცნებიანის მოზარდის ქალისა ისეთი არტისტული ღირსებით შეასრულა ქალბატონმა საფაროვისამ, რომ ნაშდვილს ალტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება“—წერდა. ი. გოგებაშვილი.

ასევე მიმზიდველი იყო ამ ლიტერატურულ საღამოზე კოტე მესხის გამოსვლები.

ი. გოგებაშვილის თქმით, „იგი გამოვიდა თქარათქურით, თამამად, მოქნილის ხელის რხევით და მხიარული, იმედიანის სახით, ლაზათიანად გაჩერდა სცენის წინ. გაისმა გულიანი ტაშის კერა და მოჰყვა მას სცენა „რკინის გზა“. მთელი ეს რთული სცენა მოქმელმა ჩაატარა ისე, როგორც შეჭფერის ცოცხალს იმერელს არტისტს. კომიზმი და მახვილობა, ხელხელ გადაბმული, აწარმოებენ ამ სცენას და ჰხდიან მას საუკეთესო რადმე თეატრში წარმოსათქმელად“.

რეცენზენტის სიტყვით, საზოგადოებამ გულთბილად მიიღო არტისტი-მკითხველი და სამჯერაც ათქმევიანა ახალ-ახალი სცენები.

ამავე საღამოზე მონაწილეობდა გრ. ვოლსკი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით, თუ რა წაიკითხა საღამოს ამ სერიოზულმა მონაწილემ და იძულებული ვართ დავჯერდეთ იმ მცირედ ცნობას, რაც ი. გოგებაშვილის იმავე რეცენზიას შემოუნახავს.

„ბატონი ვოლსკის ხმა ვერ გასწვდა დიდს ზალას,—წერდა ი. გოგებაშვილი,—სიტყვები ნახევრობით არ ისმოდა და ამიტომ იმისმა აზრიანმა, კლოიანმა და კეჟუიანურმა კითხვამ შესაფერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა საზოგადოებაზედ“.

საღამოს ერთ-ერთ ნაწილად წარმოდგენილ იქნა ვოდვეილი „აყალმაყალი ცოლ-ქმარ შუა“. ვოდვეილში მთავარ როლებს ასრულებდნენ მაკო საფაროვ-აბაშიძისა (ცოლი) და ეასო აბაშიძე (ქმარი).

დასასრულ, ამ ლიტერატურული საღამოს მეთაური და ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო ილია ქავეკავაძე. ილიამ აქ წაი-

კითხა ერთი ადგილი „ოთარაანთ ქვრივიდან“. ავტორს შესანიშნავი თბულებების ერთი ადგილის (სცენა გიორგის სიკვდილისა) საქვეყნოდ გამოტანით დამსწრეებზე უდიდესი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, და ასეც მოხდა.

ი. გოგებაშვილი თავის რეცენზიაში, სრულიად დამსახურებულად, განსაკუთრებით ჩერდება ი. ჭავჭავაძის ამ გამოსვლაზე ფართო საზოგადოებრიობის წინაშე. ი. გოგებაშვილის ამ დახასიათებას ჩვენ მთლიანად გავეცნობით, რომ დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა, რასაც იწვევდა დამსწრეთა შორის ილია ჭავჭავაძის ყოველი გამოსვლა, მაგრამ აქვე საჭიროა გვახსოვდეს ერთი მოვლენაც, რომ ამით აცილებულ იქნას ერთგვარი გაურკვეველობა, რომელიც შეიძლება ამ ამონაწერმა გამოიწვიოს.

ი. გოგებაშვილი მის მიერ მიცემულ შეფასებაში დაურიდებლად ამბილს იმ „სუსტ“ მხარეებს, რომლებიც ილიას კითხვას ახლდა, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ცდილობს ჩრდილი მიაყენოს ი. ჭავჭავაძის უდიდეს ავტორიტეტს ამ ეპოქაში. ი. გოგებაშვილს კარგად ესმის, რომ ილია „დეკლამატორი არ არის“, რომ ილია არ ეკუთვნის „ნაფიც მკითხველთა დასს“, მაგრამ ილია ჭავჭავაძე თავისი თბულებების თემატიკით, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან ამოღებული უტყუარი სურათებითა და ტიპებით ყოველთვის ხიბლავდა მკითხველთა ფართო წრეებს.

აი რას წერდა ი. გოგებაშვილი აპრილის ლიტერატურულ საღამოზე ილიას გამოსვლის შესახებ:

„საქმე თ. ი. ჭავჭავაძეზედ მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გამალა კათედრაზედ რვეული და დაიწყო კითხვა „ოთარაანთ ქვრივიდან“ გიორგის სიკვდილისა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ზალაში ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათაყებამდის აჴ შესუსტებულა. მაგრამ მოეწია იგი მიზანს? სამტიოალო სცენის წამკითხველმა ცრემლი უნდა მოკგვაროს მშმენელს, — მხოლოდ ამ შედეგით ჰყოფს იგი თავის ხელოვნების ღირსებას. გიორგის სიკვდილი სწორედ სატირლად არის აღწერილი, ხოლო ავტორის კითხვამ ვერც ტირილი გამოიწვია საზოგადოებაში და ვერც ცრემლები და აბნეინა

ვისმე. მართალია, სრული მართალია, რომ თეატრში დატრი-  
 ალდა ნამდვილი სიმწუხარის ატმოსფეროა, მაგრამ ეს ნახევარ-  
 გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, რად მოხდა ესა? რატომ ცო-  
 ტაოდენი ცრემლი მაინც არ დაიფრქვა? იქნება კითხვის ნაკლის  
 ბრალი იყო? არა ვგვონია. მართალია, ილია დეკლამატორი  
 არ არის, ნაფიც მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სა-  
 მაგიეროდ შემკულია ბუნებრივის მკითხველის ღირსებითა: ხმა  
 აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწევ-და-  
 წევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისა-  
 ხისა შეესაბამება წასაკითხის შინაარსსა და საზოგადოდ მისი  
 ხმა მკაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძობასა, რომელ-  
 საც—კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები წასაკითხისა. მაშ  
 რატომ არ გამოიწვია მსმენელებში შესაბამი ძალის გრძობა?  
 იმიტომ, რომ ილია წიგნში კითხულობდა და არა ზეპირად  
 ამბობდა. როდესაც მკითხველმა ზეპირად არ იცის წასაკითხი,  
 წიგნში იხედება, ხმა მოკლებულია თავისუფლებას, მიდის ქვე-  
 ვით იატაკისაკენ და იქიდან უკუქცეული იფანტება თეატრში.  
 ხმას ეკარგება სიმკვირცხლე, გამომეტყველება, სიმკაფე და შთა-  
 ბეჭდილება ერთი-ორად და სამად სუსტდება. სამაგიეროდ,  
 როცა მკითხველი წიგნში არ იხედება, პირი საზოგადოებისაკენ  
 აქვს მიქცეული და ზეპირად ამბობს, მაშინ მისი ხმა სრულიად  
 თავისუფლად მოძრაობს, მკაფიოდ გაისმის, პირდაპირ მიდის  
 მსმენელთა ყურებამდის და შესაფერ ჩასახულებას ჰბადებს მის  
 გულსა და გონებაში. ამ გვარადვე უცვლის სიმღერას ზეპირად  
 მისი თქმა და ნოტებში ექერა. შეადარეთ ის შთაბეჭდილება,  
 რომელიც გიორგის სიკვდილმა მოახდინა, იმ ძლიერ შთახუ-  
 ლებასთან, რომელიც დაჰბადა მსმენელებში ლექსების ზეპირად  
 წარმოთქმამ ილიასავე მიერ და თქვენ დამეთანხმებით, რომ  
 ჩვენ სწორედ მართალს ვამბობთ. ან წარმოიდგინეთ, რომ  
 კ. მესხს რკინის გზის სცენა რვეულში წაეკითხნა და არა ზეპი-  
 რად ეთქვა და ოდნავადაც არ ამიხიროდებით, თუ გეტყვით, რომ  
 ერთი-ხუთად წააგებდნენ სცენაც და არტისტიც ამ ცვლილე-  
 ბებით. ისიც უნდა ვთქვათ, რომ გიორგის სიკვდილი მარჯვე  
 არჩევანს არ შეადგენს სცენისათვის, ავტორის ნაწერებში მოი-  
 პოვება ბევრი ათჯერ უფრო სცენაზედ ზედგამოქრილი ადგილი

და რატომ დასდგა ამ არჩევანზე, არ გვესმის. თუნდ ავიღოთ „აკაცია ადამიანისაგან“ ლუარსაბის სიზმარი, ილიას რომ ზეპირად დაესწავლა ეს ადგილი, მაღალ-ნიჭიერების და მახვილობით სავსე, და თავისუფლად წარმოეთქვა საზოგადოების წინაშე, ისეთს ინტენსიურს სიამოვნებას დაბადებდა მასაში, რომ ძლიერ ტაშის კვრას გამოიწვევდა, რომ ვგონებ თეატრი მაღლა აიწვედა“.

ასე აფასებდა ი. გოგებაშვილი ილიას გამოსვლას ამ ლიტერატურულ საღამოზე. საერთოდ, დასახელებული რეცენზია უთუოდ საკირო მასალაა თვით ი. გოგებაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის მეცნიერულად შესწავლა-დაბუშავებისათვის. სტატია პირდაპირ მიუთითებს დიდი პედაგოგის დიდ ლიტერატურულ და მუსიკალურ აღლოზე.

იმავე ი. გოგებაშვილის ცნობით, 25 მარტის ლიტერატურულ საღამოზე, სხვადასხვა მიზეზის გამო, მონაწილეობა ვერ მიუღიათ აკაკი წერეთელსა და ნატო გაბუნიას.

1889 წელს თბილისში რამდენიმე ლიტერატურული საღამო — შეკრება მოეწყო, მაგრამ ყველა ამათგან თავისი მხატვრულ-შინაარსეული ღირებულებით განსაკუთრებით გამოირჩევა ზემოთ განხილული ლიტერატურული საღამო. იგი ამ პერიოდის დასასრულიც არის. მომდევნო წლიდან, როგორც თბილისში, ისე პროვინციულ ქალაქებსა და სოფლებში, მათი რიცხვი კიდევ უფრო იზრდება და ფართოვდება. ახალ ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებით მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც იზრდება და იგი ცალკე შესწავლას საჭიროებს.



## ლიტერატურული წყაროების მაგნიფიკენტი

1. დიმიტრი ყიფიანი—„მემუარები“, ს. ხუნდაძის რედაქციით, შენიშენებითა და წინასიტყვაობით, 1930 წ., გვ. 4.
2. ხ. კიკინაძე—სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი“, გვ. 5.
3. 5. ბარათაშვილი — „ლექსები, ბედი ქართლისა, წიგნები“, 1922 წ., გვ. 1<sup>ა</sup> და
4. გიორგი ერასთავი—„თხზულებანი“, 1884 წ., გვ. XXXVII და XI.
5. პროფ. მიხ. ზანდუკელი—„ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. II. 1934 წ., გვ. 38.
6. კრებული „Гѣтръ в Тифлисе с 1845—1856 г.“ „Тифлис, 1888.
7. ხ. კიკინაძე—„ივ. ივ. კერესელიძე“, 1902 წ., გვ. 19 და 21.
8. აკვ. ცაგარალი—„კომედიები“, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმითა და ლექსიკონით, 1936 წ., გვ. 36, 365, 374, 375, 389, 394
9. ილია ჭავჭავაძე—„თხზულებანი“, ტ. I, მიხ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914 წ.
10. გ. თუმანიშვილი—„როგორ აიფა თუხი ქართულმა თეატრმა“, 1880 წ.
11. ი. მანსვეტაშვილი—„მოგონებანი“, ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშენებით, 1931 წ.
12. საქართველოს მუზეუმის ყოფ. წ.კ. გამავრცელებელი სახ. ფონდი, ხელთნაწერი № 5103.
13. ურნალი „მნათობი“, 1869 წ., მარტი.
14. ურ. „ივერია“, 1877 წ., № 38.
15. ურ. „ივერია“, 1879 წ., № 4.
16. ურ. „განათლება“, 1908 წ., № 1.
17. გაზ. „დროება“, 1868 წ., 5,6.
18. 1869 წ., № 1,11,48.
19. 1870 წ., № 17,34,47.

20. გაბ. „დროება“,	1871 წ., № 1,1,26,32
21. „	1872 წ., № 14,27,28.
22.	1873 წ., № 41,45,404.
23.	1874 წ., № 403,418,423.
24.	1875 წ., № 37,42,44,52,57,88
25.	1876 წ., № 12.
26.	1877 წ., № 196.
27.	1878 წ., № 1,234,235.
28.	1879 წ., № 9,26,134,137,138,147,143,144, 149,155,156,246,261.
29. გაზეთი „ივერია“	1886 წ., № 3,92,97,98,99,278.
30.	1887 წ., № 3,56,60,62,269.
31.	1888 წ., № 9,61,63.
32.	1889 წ., № 49,65,66,73.
33.	1890 წ., № 27.
34. „	1900 წ., № 5,7.
45. გაბ. „Кавказ“	1872 წ., № 33.
36.	1879 წ., № 23.
37. „თემი“	1912 წ., № 55.

შ ი ნ ა ა რ ხ ი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	5
რამდენიმე შეკრება „ციცქართან“	19
ლიტერატურული შეკრება გ. წერეთელთან	23
შინაური სათამო-შეკრებები სამოცდაათიან წლებში	26
პირველი ლიტერატურული საღამოები თბილისში .	45
საუნივერსიტეტო დღესასწაულები საქართველოში	49
მუდმივი ქართული დასის მოგზაურობა . . .	56
რუსი კლასიკოსების სადღესასწაულო საღამოები თბილისში . . . . .	70
ლიტერატურული შეკრებები დავით სარაჯიშვილის ბინაზე . . . . .	79
ლიტერატურული შეკრება-საღამოები ოთხმოცდაათიან წლებში . . . . .	83
ლიტერატურული წყაროების მაჩვენებელი .	98